ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ორშაბათი, 27 აპრილი, 2009 №20 (3513) | ფასი 1 ლარი

# რომან აბრამოვიჩმა კოკორითსაც ... აკოცა



დარია ჟუკოვა და რომან აბრამოვიჩი




## სად არის ჩვენი ჰიმნი?



## თბილისში მხოლოდ ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო დარჩა

# რატომ მალავს თემურ ქეცბაია ოლიმპიაკოსს?



თემურ ქეცბაია ათენში ჩავიდა და „ოლიმპიაკისის“ პრეზიდენტს შეხვდა — ეს ინფორმაცია გაავრცელეს წუხელ ბერძნულმა სააგენტოებმა და იქვე ქეცბაიას სიტყვებიც დაწერეს, სადაც ქართველი მწვრთნელი ამტკიცებს, რომ ათენში პირადი საქმეების მოსაგვარებლად ჩავიდა და „ოლიმპიაკოსის“ პრეზიდენტი თვალითაც არ უნახავს. ბერძენი ჟურნალისტები კი დაჟინებით ამტკიცებენ, ქეცბაია რაღაცას მალავსო. „ეს ჭორია. „ოლიმპიაკოსთან“ მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებ. ათენში სხვა მიზნით ჩამოვედი“ — განუცხადა 40 წლის ქართველმა მწვრთნელმა ბერძნულ „გაზეტას“. ქეცბაიას ამგვარი საქციელი სხვა რამეზე მეტყველებსო, ასკვნიან ჩვენი ბერძენი კოლეგები. მათი აზრით, თემური ასე იმიტომ იქცევა, რომ „ოლიმპიაკოსს“ ჯერაც ჰყავს მწვრთნელი და მის წინ ფარული მოლაპარაკებების გამართვა არაეთიკური გამოვაო. მოკლედ, „გაზეტა“ თავისას არ იშლის და წერილის ბოლოს ერთ საინტერესო დეტალსაც ამხელს — ქეცბაიამ ბერძნულად რომ უარყო ეს ამბავი და მაინც ვერ დაგვარწმუნა, ბოლოს მშობლიურ ენაზე გადავიდა და ქართულადაც იმავეს გვიმტკიცებდაო...

# ქართველები უცხოეთში

# გვაზა–ვაა!

## ექვსი ქართული ევროგოლი და თარხნიშვილი მეცხრედ

**გერმანია:** წარმატებული ტური ჰქონდათ ბუნდესლიგელ ქართველებს — გელზენკირხენის „შალკემაც" და „კარლსრუემა" სამ-სამი ქულა აიღეს, თანაც ურთულეს მატჩებში.

„ხუმარებმა" სტუმრად 1:0 დაამარცხეს მიუნხენის „ბაიერნი".

ლევან კობიაშვილმა სრულად ითამაშა და ერთხელ გოლის გატანაც შეძლო, მაგრამ მეკარემ აუღო.

შალკელთა მეორე ქართველი ლევან ყენია კი სათადარიგო იყო.

ალექსანდრე იაშვილის გუნდმა კი ასევე სტუმრად სენსაციურად დაამარცხა „ლევერკუზენი" — 1:0.

ქართველი ფეხბურთელი 67-ე წუთზე შევიდა მოედანზე და ხუთ წუთში მისიანებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს.

ამ მოგებით „კარლსრუეს" ბუნდესლიგაში დარჩენის იმედი ისევ მიეცა და ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს ამ ურთულეს ამოცანას.

მეორე ბუნდესლიგაში „მიუნხენ 1860"-მა სტუმრად 1:1 ითამაშა „ობერჰაუზენთან" და მათე ლვინიანიძე სათადარიგო იყო.

„ვეენმა" ბოლო წუთზე გაშვებული გოლით 0:1 წააგო „კაიზერსლაუტერნთან" და, ფაქტობრივად, ლიგაში დარჩენის იმედი გადაიწურა.

ლევან ცქიტიშვილს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ამიტომ ველარ ეხმარება თავის გუნდს.

ლიდერმა „ფრაიბურგმა" 2:1 სძლია „ზანკტ პაულს" და დავით თარგამაძე ამჯერადაც სათადარიგო იყო. „აუგსბურგი" კი 1:2 დამარცხდა „ფიურტთან" და ოთარ ხიზანეიშვილის განაცხადში არყოფნას უკვე შევეჩვიეთ კიდეც.

**იტალია:** ქართველების გუნდები, „მილანი" და „პალერმო" ერთმანეთს შეხვდნენ და „შავ-წითლებმა" უპრობლემოდ, 3:0 მოუგეს სიცილიელებს.

მილანელი კახა კალაძე რომ ტრავმას იშუშებს, გეცოდინებათ, პალერმოელი **ლევან მჭედლიძე** კი 57-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

**ინგლისი:** „ბლექბერნმა" საჭირო სამი ქულა აართვა „უიგანს" — 2:0.

„ვარდების" ქართველი მცველი **ზურაბ ხიზანიშვილი** ამჯერადაც სათადარიგო გახლდათ.

**ავსტრია:** გრაცის „შტურმმა" 2:0 სძლია „ლინცერს".

ილია კანდელაკმა 90 წუთი ითამაშა, გიორგი შაშიაშვილი კი სათადარიგო იყო.

**რუსეთი:** ყაზანის „რუბინმა" შინ 0:2 წააგო მოსკოვის „სპარტაკთან".

ქართველთაგან მხოლოდ დავით კვირკველია იყო შემადგენლობაში, მეკარე ნუკრი რევიშვილი და მცველი ლაშა სალუქვაძე კი განაცხადში ვერ მოხვდნენ.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ სალუქვაძემ წინა ტურში ფეხი დაიშავა და შესაცვლელი გახდა, თუმცა საშიში არაფერია — ქართველი ფეხბურთელი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს გუნდთან ერთად.

ნალჩიკის „სპარტაკმა" 4:1 გაანადგურა პერმის „ამკარი" და ერთი გოლი გოგიტა გოგუამ მიითვალა.

გოგუა 74-ე წუთზე შეცვალეს, ალექსანდრე ამისულაშვილმა კი სრულად ითამაშა.

გია გრიგალავას „მოსკვამ" შინ 2:1 აჯობა „ტომს".

გრიგალავა სრულად გაისარჯა და ყვითელი ბარათი მიიღო.

მოსკოვის „ლოკომოტივი" ისევ უგერგილოდ თამაშობს და ამჯერად კრასნოდარის „კუბანთან" წაიფორხილა — 0:1.

დავით მუჯირი 21-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში...

გროზნოს „ტერეკი" შინ ქულასლა გამორჩა „სატურნს" (1:1), მაგრამ ამ მატჩში ლევან გვაზავამ ისეთი გოლი გაიტანა, რომ...

ქართველმა ნახევარმცველმა 26-ე წუთზე ორი მცველი მოატყუა და უძლიერესი დარტყმით შორეულ ცხრიანში შეაგდო ბურთი.

და აქვე, უკვე მერამდენედ გვიჩნდება ეს კითხვა: მეტი რა უნდა ქნას ამ ბიჭმა, რომ ეროვნულ ნაკრებში გამოძახება და თუნდაც ამხანაგურ მატჩში გასინჯვა დაიმსახუროს?!

ჩვენი თუ არ სჯერა ჰექტორ რაულ კუპერს, იქნებ, რუსულ პრესას ან სულაც საკუთარ თვალებს დაუჯეროს და ერთხელ მაინც ნახოს გვაზავას თამაში.

**უკრაინა:** ჯაბა კანკავას, ბექა გოცირიძის და სანდრო კობახიძის „დნიპრომ" შინ 2:1 სძლია ლაშა ჯაკობიას „არსენალს".

ამ შეხვედრაში ქართველთაგან მხოლოდ ჯაკობია გამოჩნდა — 63-ე წუთზე შევიდა მოედანზე, დნიპროელები კი უქმობდნენ.

ოდესის „ჩერნომორეცი" სტუმრად 0:1 დამარცხდა დონეცკის „შახტართან", თუმც შავიზღვისპირელთა განაცხადში ირაკლი მოდებაძის გვარი ვერ ამოვიკითხეთ.

კიევის „დინამომ" 1:0 მოუგო „ხარკოვს" და კვლავ არ უთამაშია მალხაზ ასათიანს. უკრაინელი ჟურნალისტების ცნობით, იური სიომინმა ის შემადგენლობა დააყენა, რომლითაც ამ კვირაში უეფას თასის ნახევარფინალში ითამაშებს.

„კარპატიმ" სტუმრად 1:2 დათმო „ვორსკლასთან".

ლვოველთა ქართველი ნახევარმცველი **სანდრო გურული** 62-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

გურულის ძირითად შემადგენლობაში არდაყენება იმ ტრავმის ბრალია, რომელიც ჩვენიანმა ახლახან მოიშუშა.

სიმფეროპოლის „ტავრია" ვასილ გიგიაძისა და ლადო ბურდულის გარეშე დაუხვდა გიორგი ციმაკურიძის „ზარიას" — 2:1.

ციმაკურიძე მე-19 წუთზე ჩაერთო თამაშში და 20 წუთში გოლითაც გამოირჩა.



ლევან გვაზავამ (მარჯვნივ) ულამაზესი გოლი გაიტანა

**ჩეხეთი:** „პლზენმა" შინ 3:1 აჯობა „ბოჰემიანსს".

დიმიტრი ტატანაშვილი, ჩვენდა გასაკვირად, ძირითად შემადგენლობაში იყო, თუმცა დაშავდა და 33-ე წუთზე შესაცვლელი გახდა.

**უნგრეთი:** „დიორ ეტომ" 4:1 მოუგო „პაკშს". რატი ალექსიძემ ბოლო ხუთი წუთი ითამაშა, დავით ოდიკაძე კი განაცხადში არ იყო.

დავით იმედაშვილის „ნიირედიჰაზა" უგოლოდ დაშორდა მტკ-ს.

ქართველი მცველი 85-ე წუთზე შეცვალეს.

**ლატვია:** „სკონტომ" შინ 1:3 წააგო „ვენტსპილსთან" და ამ მატჩში ერთი ქართული გოლი გავიდა. ექსსკონტოელმა ზურაბ მენთეშაშვილმა სტუმრები მე-12 წუთზე დააწინაურა.

მენთეშაშვილი მე-80 წუთზე შეცვალეს, რიგელმა დავით გამეზარდაშვილმა და ვლადიმერ დვალიშვილმა კი სრულად ითამაშეს.

**მოლდოვა:** „დაჩიამ" მოულოდნელად 1:2 წააგო „დინამოსთან".

ეს ერთადერთი ბურთი ჯაბა დვალმა გაიტანა 75-ე წუთზე.

დვალის გარდა „დაჩიაში" კახა მჟავანაძემაც ითამაშა, ლევან კორლალიძე კი არ გამოჩენილა.

კიშინიოველთა წაგებით უმალ ისარგებლა ტირასპოლის „შერიფმა", სტუმრად 3:0 დაამარცხა „ნისტრუ" და ზედიზედ მეცხრედ გახდა მოლდოვის ჩემპიონი.

ჩვენც ვულოცავთ ტირასპოლელთა ქართველ კაპიტან ვაჟა თარხნიშვილს მორიგ ტიტულს!

**აზერბაიჯანი:** „სიმურგმა" 3:1 მოუგო „სტანდარდს" და პირველი ბურთი დავით ბოლქვაძემ შეაგდო, ვინაც 67-ე წუთზე გაძევეს. „სტანდარდიდან" კი დავით ჭიჭველიშვილი ავტოგოლით „გამოირჩა".

„სიმურგში" **კახა ჩხეტიანმა და მიხეილ მახვილაძემ** შეუცვლელად ითამაშეს, ისევე, როგორც ჭიჭველიშვილმა. მისი თანაგუნდელი ლევან სილაგაძე კი 77-ე წუთზე შეცვალეს.

„ოლიმპიკმა" სტუმრად 0:1 წააგო „თურანთან".

ბაქოელთა შორის ალექსანდრე **გოგობერიშვილმა** სრულად ითამაშა, **რევაზ გეწაძე** 67-ე წუთზე შეცვალეს, **რომან ახალკაცი** კი ბოლო 33 წუთი გაისარჯა.

„გაბალამ" შინ 0:1 წააგო „ბაკოსთან". მასპინძელთა შორის თორნიკე აფციაურმა და გოგა ბერაიამ 90-90 წუთი ითამაშეს, სტუმართაგან კი მხოლოდ გიორგი ადამია იყო შემადგენლობაში (85-ე წუთზე შეცვალეს). ამირან მუჯირი და გიორგი დემეტრაძე არ გამოჩენილან.

„ქარვანმა" 3:0 გაანადგურა მოიკ-ი. ევლახელთა შორის მიხეილ მესხმა და ალექსანდრე ინწკირველმა სრულად ითამაშეს.

გივი ჩხეტიანის „მულანმა" 1:0 დაამარცხა „ბაკილი". ქართველმა ნახევარმცველმა 90 წუთი ითამაშა.

**ძაბა შალამბერიძე**

## ბიზნესმენთა ჩემპიონთა ლიგა

# ჯილდოების ტური

**ბიზნესის** სუპერლიგაში მეექვსე ტური ჩატარდა, რომელშიც ლიდერი სეუ „იბერიასთან" დამარცხდა. არადა, „სტუდენტები" ორი ბურთით იგებდნენ, მაგრამ არჩილ არველაძემ და როსტიაშვილმა გაათანაბრეს, გამარჯვებისა კი გოჩა ჯამარაულმა გაიტანა.

ტრადიციულად ჩატარდა საქველმოქმედო აქციაც. დევნილი ბავშვები სპორტული ეკიპირებით პატრულის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე მერაბ ვახტანგიშვილმა და „შერატონის" უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა მიხეილ ოთარაშვილმა დაასაჩუქრეს.

ორგანიზატორებმა მეოთხე და მეხუთე ტურების საუკეთესო ფეხბურთელებიც დაასახელეს და დააჯილდოვეს. მეოთხე ტურის საუკეთესოდ პალიტრელი ნიკოლოზ კბილაძე ცნეს, მეხუთე ტურში კი — სპორტის დეპარტამენტის მოთამაშე გია ფირცხალავა.

### სუპერლიგა

**პალიტრა 2:4 დეპარტამენტი**

0:1, 0:2 მაზიაშვილი (2, 3), 1:2 კბილაძე (13), 2:2 სარქისიანი (19), 2:3 სოლოღაშვილი (26), 2:4 კასრაძე (30)

**პესი 1:2 ოლ. ვარსკვლავი**

1:0 შერმადინი (7), 1:1, 1:2 ზარქუა (12, 28)

**ალგორითმი 3:4 ვისოლი**

1:0 ფურცელაძე (2), 1:1 ხარჩილაძე (5), 1:2 ვაჩეიშვილი (9), 2:2 ჩანთლაძე (15), 2:3 ვაჩეიშვილი (16), 3:3 ჩანთლაძე (17), 3:4 ვაჩეიშვილი (27)

**პატრული 1:4 შერატონი**

0:1 ლავთაძე (4), 1:1 გელაშვილი (7), 1:2 ბელიტაშვილი (14), 1:3 ლავთაძე (27), 1:4 დარიბეგოვი (29)

**სეუ 2:3 იბერია**

1:0, 2:0 ჩალაძე (4, 7), 2:1 არველაძე (13), 2:2 როსტიაშვილი (21), 2:3 ჯამარაული (26)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სეუ | 6 | 4 | 0 | 2 | 29:21 | 12 |
| დეპარტამენტი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:7 | 10 |
| ალგორითმი-1 | 4 | 3 | 0 | 1 | 15:7 | 9 |
| ვისოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 8 |
| ოლ. ვარსკვლავი | 5 | 2 | 2 | 1 | 11:10 | 8 |
| იბერია ბ/ჯ | 5 | 1 | 3 | 1 | 7:8 | 6 |
| სარბიელი | 5 | 1 | 3 | 1 | 14:17 | 6 |
| შერატონი | 5 | 2 | 0 | 3 | 10:15 | 6 |
| პალიტრა | 5 | 0 | 3 | 2 | 11:18 | 3 |
| პატრული | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| პესი | 6 | 0 | 2 | 4 | 6:11 | 2 |

### უმაღლესი ლიგა

**გადადებული მატჩები**

**სპორტმედია 4:6 აფხაზეთი**

1:0 ბარათაშვილი (3), 1:1 გადელია (8), 2:1 გოქაძე (10), 2:2 გადელია (17), 2:3 ჯელაძე (21), 2:4 სანაკოევი (22), 3:4, 4:4 მიგინეიშვილი (27, 28), 4:5, 4:6 გადელია (28, 29)

**აფხაზეთი 2:1 სტანდარტბანკი**

1:0 ჯელაძე (9), 1:1 ქანათაშვილი (20), 2:1 ქუთელია (20)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აფხაზეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 17:6 | 12 |
| სტანდარტბანკი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:5 | 9 |
| იუ ჯი თი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:3 | 9 |
| დინამო | 4 | 3 | 0 | 1 | 12:10 | 9 |
| უნივერსიტეტი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| თიბისი ბანკი | 4 | 2 | 0 | 2 | 12:7 | 6 |
| საქ. ბანკი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:8 | 4 |
| ალგორითმი-2 | 4 | 1 | 0 | 3 | 9:12 | 3 |
| სპორტმედია | 4 | 0 | 0 | 4 | 9:17 | 0 |
| AMTS-JAMC | 4 | 0 | 0 | 4 | 2:24 | 0 |

ქართული სიტყვა უცხო პრესაში

# დადგა დრო, როცა ნაბიჯი წინ უნდა გადამედგა...

## თემურ ქეცბაია: მინდა, ეს საკითხი მალე დავხურო



კვიპროსული „ანორთოსისიდან" წამოსული ქართველი მწვრთნელი თემურ ქეცბაია ჯერაც ახალი სამსახურის ძიებაშია. „საბერძნეთის სუპერლიგის ნახევარზე მეტს ქართველი მწვრთნელი სურს" — წერენ ბერძნული გაზეთები და იმასაც აღნიშნავენ, რომ მათგან ყველაზე მეტად „პანიონიოსი" აქტიურობდა, თუმცა ეს ვარიანტი ალბათ აღარ გამოვა. „ოლიმპიაკოსი", „ატრომიტოსი" და „არისი" — ახლა ეს გუნდები არიან რიგში. თუმცა ამათ გარდა რუმინულ „კლუჟზეც" ითქვა. ჩვენებური კი ჯერ კონკრეტულს არაფერს ამბობს. მოკლედ, ჯერ ყველაფერი გასარკვევია და ვნახოთ, რას ფიქრობს თავად ქეცბაია — მას ბერძნული „სპორტი" ესაუბრა...

**— რა მიზეზით დატოვეთ „ანორთოსისი"?**

— რთული გასაანალიზებელია ის მიზეზები, რის გამოც მომიხდა გუნდიდან წამოსვლა. ვფიქრობ, ასე უკეთესი იქნებოდა ჩემთვისაც და „ანორთოსისთვისაც".

**— რა იქნება მომდევნო ნაბიჯი თქვენს კარიერაში?**

— ხუთი წელი გავატარე კვიპროსზე და ვთვლი, რომ აქ ყველაფერს მივაღწიე, რისი მიღწევაც შეიძლებოდა. ამის გვირგვინი კი, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგაში თამაში იყო. ეს უკვე წარსულია და ახლა წინ უნდა გავიხედო. მაქვს გარკვეული წინადადებები და იმედია, ახალ სეზონს ახალ გუნდში შევხვდები. ძალიან მინდა, მომდევნო წელიც წარმატებული გამომივიდეს.

**— რა იყო თქვენი წარმატების საიდუმლო?**

— როგორ გითხრათ... ჩვენი წარმატება ჩვენი მუშაობის შედეგი იყო. ვულოდი, რომ რაღაც გამოგვივიდოდა და ძალიან ბედნიერი ვარ, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა რომ მოვახერხეთ. თუმცა უფრო ბედნიერი ვარ იმით, რომ ჯგუფში დავამტკიცეთ ჩვენი ძალა — ყველას ვაჩვენეთ, რომ იქ შემთხვევით არ მოვხვედრილვართ. მიუხედავად იმისა, რომ იყო გარკვეული ნეგატიური მომენტები, რომლებმაც უფრო წინსვლის საშუალება არ მოგვცეს, კვიპროსმა მაინც უნდა იამაყოს „ანორთოსისით".

**— ამის შემდეგ კი გუნდიდან წახვედით...**

— იყო გარკვეული მიზეზი, რის გამოც მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. ჩვენ ყველას უნდა გვეფიქრა გუნდის მომავალზე — ეს მნიშვნელოვანია, რადგან მუდმივი არაფერია. დღეს აქ ხარ, ხვალ სხვაგან იქნები. ამით კი „ანორთოსისი" არ უნდა დაიჩაგროს.

**— პრეზიდენტ ანდრეას პანტელისის კლუბიდან წასვლამ რამდენად იმოქმედა?**

— ეს ჩემი გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი იყო. ხუთი თვე ვცდილობდი, კლუბში მდგომარეობა შემეცვალა, მაგრამ ეს რთული გამოდგა. ამის შედეგად კლუბი ორ ნაწილად გაიყო — ერთნი იყვნენ მწვრთნელის მომხრენი, მეორენი კი მოწინააღმდეგენი. ეს სიტუაცია გამოუვალ ჩიხში გვაგდებდა და ამიტომაც მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. დადგა დრო, როცა ნაბიჯი წინ უნდა გადამედგა და ეს გამოვიყენე.

**— როგორი იქნება „ანორთოსისის" მომავალი?**

— ვფიქრობ, კარგი. ისეთი, როგორიც ანდრეას პანტელისის პერიოდში იყო. გუნდს კარგი საფუძველი აქვს. კი, გვქონდა ფინანსური პრობლემები, მაგრამ ახლა „ანორთოსისს" სიმშვიდე სჭირდება, რათა წინსვლა გააგრძელოს.

**— როგორ გაიხსენებთ კვიპროსზე გატარებულ დროს?**

— ეს ძალიან ტევადი პერიოდი იყო. განსაკუთრებით ბოლო წელი...

**— რომლის წყალობითაც უეფამ წლის საუკეთესო ხუთ მწვრთნელს შორის დაგასახელათ...**

— ეს ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის. თუმცა ჯერ იმას არ ნიშნავს, რომ დიდი მწვრთნელი ვარ. ფეხბურთში ყოველდღე ხდება სიახლეები და ამას ფეხი უნდა აუწყო. ის, ვინც ფიქრობს, რომ ყველაფერი იცის, ბოლოს აღმოაჩენს, რომ ბევრი რამ არ სცოდნია. მე დიდი გზა მაქვს გასავლელი და ვეცდები, ყოველდღიურად გავიღრმავო ცოდნა. ეს აუცილებელია.

**— რამდენს ნიშნავს მწვრთნელისთვის ხელმძღვანელობის ნდობა?**

— ძალიან ბევრს. თუ მწვრთნელი გრძნობს, რომ მუშაობს ისეთ ხალხთან, რომლებისგანაც ბევრი წინაღობა ხვდება, შედეგს ვერ აჩვენებს. ყველა მწვრთნელს სჭირდება მხარდაჭერა და ძალიან მინდა, ასე იყოს ჩემს მომავალ კლუბში. მხოლოდ ამ დროს შეგიძლია, სრული პასუხისმგებლობა აიღო წარმატებაზეც და წარუმატებლობაზეც.

**— და შემდეგი ნაბიჯი „პანიონიოსია" თუ „ოლიმპიაკოსი"?**

— ასეთი ხმები ჩემამდეც მოვიდა, მაგრამ ოფიციალური წინადადება არ მიმიღია. ჯერ არ მინდა ასეთ რამეებზე ლაპარაკი. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ მსურს ისეთ გუნდში ვიმუშავო, რომელსაც ევროთასზე წარმატების მიღწევა შეუძლია. ეს ალბათ იდეალური ვარიანტი იქნება ჩემთვის. ბერძნული კლუბებიდან კი ჯერ არავინ დამკავშირებია.

**— ალბათ სხვა უცხოური კლუბების ვარიანტებიც გაქვთ...**

— არის გარკვეული საუბრები, თუმცა ვერ დავაკონკრეტებ, რადგან ჯერ ოფიციალური არაფერია.

**— ჩქარობთ გუნდის მოძებნას?**

— უბრალოდ, მინდა, რომ ეს საკითხი მალე დავხურო და გავარკვიო, სად გავაგრძელებ კარიერას. ამდენი წელია, ფეხბურთში ვარ და ეს დღეები ყველაზე მეტ დისკომფორტს მიქმნის. სჯობს, ყველაფერს მალე დაესვას ბეჭედი.

## ანორთოსისის მტკივნეული პუნქტი და... ნუთუ არისი?

**პარგად** დაწყებულის მტკივნეული დასასრული — ასე დ.. სათაურეს კვიპროსულმა გამოცემებმა თემურ ქეცბაიას „ანორთოსისიდან" წასვლა.

დღე არ გავა, იქაურ გაზეთებში ქართველ მწვრთნელზე სიტყვა არ დაიწეროს.

კლუბმა თემურ ქეცბაიას ოფიციალური ბანკეტით მოუწყო გაცილება და მადლობაც გადაუხადა გაწეული სამუშაოსთვის.

კვიპროსული სააგენტოების ცნობით, სადღეისოდ ყველაზე მეტად სალონიკის „არისი" ცდილობს ქეცბაიას გადაბირებას, თუმცა ქართველი მწვრთნელი ჯეროვნად... ჯერჯერობით არ ადასტურებს ამ ინფორმაციას.

და ერთიც: კვიპროსული პრესის ცნობით, ქეცბაიამ იოლად დაიძვრინა თავი ფამაგუსტური კლუბისგან, რადგან კონტრაქტში ეწერა შესაბამისი პუნქტი, რომ ნებისმიერ დროს შეეძლო მისი გაწყვეტა.



თემურ ქეცბაია ანდრეას პანტელისის კლუბიდან წასვლას ვერ შეეგუა

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

29 ტური

# ვიტ ჯორჯია დინამოს ბოლნისში დააკვირდება

## ბერიაშვილი ლიდერს ლიდერობს



სარბიელის არქივიდან

გიორგი ბერიაშვილი

**მესხეთი 0:3 ვიტ ჯორჯია**

**ვიტელებმა** დამაჯერებლად დაამარცხეს ახალციხის „მესხეთი“ და ერთპიროვნულად ლიდერობენ გათამაშების ცხრილს.

არადა, ამ შეხვედრას მასპინძელთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — წინა დღეს ხომ „გაგრამ“ და „სპარტაკმა“ სამ-სამი ქულა აიღეს და...

„ვიტ ჯორჯიამ“ აქტიურად დაიწყო თამაში და მე-10 წუთზე დაწინაურდა კიდეც. გიორგი ბერიაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა და 0:1.

პირველი ტაიმი ასეც ჩამთავრდა, განსაკუთრებული მომენტი არც ერთ კართან შექმნილა, შესვენების განახლებიდან ათიოდ წუთში კი ისევ სტუმრებმა იმარჯვეს და ისევ ბერიაშვილმა გამოიჩინა თავი — 0:2.

აბა, ახალციხელებს ამის შემდეგ რაღა შანსი ექნებოდათ, პირიქით, კვლავ ვიტელები ყოჩაღობდნენ და ეს დაუფასდათ კიდეც — ლუკა რაზმაძემ თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

„ვიტ ჯორჯია“ უკვე ოთხი ქულით უსწრებს თბილისის „დინამოს“, თუმცა მომდევნო ტურში ისვენებს და მთელი თვალ-ყური ბოლნისისკენ ექნება მიმართული, სადაც „დინამოს“ ურთულესი მატჩი ელის „სიონთან“.

მოკლედ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის და ვნახოთ, როგორი სხვაობით შეხვდებიან „ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“ 10 მაისს, დღეს, როცა ერთმანეთთან შეხვედრაში მოუწევთ უძლიერესის გარკვევა.

**კახა ზალამბერიძე**

# ზესტაფონმა მგლები შეჭამა

## იონანიძე ისევ ახალგაზრდაა

**ზესტაფონი 3:1 მგლები**

**წინა** ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ წაგებით გაფუჭებული ხასიათი „ზესტაფონმა“ ზუგდიდელთა დამარცხებით გამოიყენეს.

იმერელთა უპირატესობა პირველ ტაიმში უფრო თვალსაჩინო იყო და აკი ეს ორ გოლშიც გამოისახა.

მე-18 წუთზე ირაკლი ძარიამ ულამაზესი გოლი გაიტანა — ნიკა კვასხვაძის ჩაწოდებულს შეუჩერებლად დაარტყა და კუთხეში შეაგდო ბურთი.

ისე ჩანდა, თითქოს გიორგი სომხიშვილს მოგერიება შეეძლო, მაგრამ...

ტაიმის ბოლოს უბერებელი ზურაბ იონანიძე გამოირჩა — კუთხურიდან ჩაწოდებულზე თავურით ორამდე გაზარდა ანგარიშში სხვაობა.

შესვენების შემდეგ „მგლები“ უფრო ფხიანად ათამაშდა, თუმცა გოლი მაინც მასპინძლებმა გაიტანეს — ისევ იონანიძემ იყოჩაღა, როცა მარცხენა ფეხით ზუსტად დაარტყა შორეულ კუთხეში.

ერთადერთი, რაც ზუგდიდელებმა შეძლეს, როინ ონიანის გოლი იყო — ზესტაფონელთა ყოფილმა მცველმა თავურით იხეირა — 3:1.

**ოთარ მხეიძე**



სარბიელის არქივიდან

ზურაბ იონანიძეს გოლების გატანა არ დავიწყებია

---

24 აპრილი. 16 საათი

**ლოკომოტივი თბილისი – სკ გაგრა 0:1**

თბილისი. მ. მესხი. 100 მაყურებელი

0:1 გაბედავა (67)

*ტყეშელაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (33, აცილა)*

ლოკომოტივი: გ. ლომაია, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, მ. ლომიძე, ელიავა, დიაკვნიშვილი, კ. მახარაძე, კახელიშვილი, ნულაძე (გ. მოდებაძე 68), ჩირიკაშვილი, შ. კვანტალიანი (დ. ჩაგელიშვილი 59)

*სათადარიგონი:* ბელელური, გ. კვანტალიანი, ლ. ჩაგელიშვილი, სარალიძე, ა. კობიაშვილი

მწვრთნელები: გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე

გაგრა: თევდორაძე, ტყეშელაშვილი, გიგაური, კუპრეიშვილი, ჯ. გაბუნია, ჩარგეიშვილი, შარიქაძე, ლ. ნოზაძე, ოვონიკოკო (ფილია 59), გაბედავა, დ. ჩხაიძე

*სათადარიგონი:* ხომერიკი, კოზლენკო, თუხარელი, მოსიაშვილი, გედენიძე

მწვრთნელი: გოჩა ჩიქოვანი

გაფრთხილება: ლომაია (33)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ა. კოკაია, ა. ნონიკაშვილი

---

24 აპრილი. 16 საათი

**სპარტაკი ცხინვალი – სიონი ბოლნისი 2:1**

გორი. ქართლი. 100 მაყურებელი

1:0 სირბილაძე (57), 2:0 ჯიქია (61), 2:1 გოცირიძე (87)

სპარტაკი: გ. იაშვილი, ქარქუზაშვილი, გ. კვახაძე, შ. ლონლაძე, ქორიძე, ჯანგიძე, შონია, თარხნიშვილი, შ. ჯიქია (გ. თურმანიძე 77), ნ. მაისურაძე (ზ. მეტრეველი 63), სირბილაძე (სახოკია 80)

*სათადარიგონი:* კოდალაევი, ავალიანი, ჩივაძე

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

სიონი: ბობღიაშვილი, ჯ. მუჯირი, ი. ვაშაკიძე, დ. სვანიძე, კაკაშვილი, ზალამბერიძე (რუხიეშვილი 50), ლ. ბაჯელიძე, მიკუჩაძე (უგულავა 46), გ. ხიდეშელი, დავითაშვილი (ჩხეტიანი 59), რ. გოცირიძე

*სათადარიგონი:* ქანტურია, უგრეხელიძე, ბობოხიძე, ოქროპირიძე

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; გ. ჩიგოგიძე, ზ. ფიფია; ი. ურუშაძე

---

25 აპრილი. 16 საათი

**სკ ზესტაფონი – მგლები ზუგდიდი 3:1**

ზესტაფონი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 ძარია (18), 2:0, 3:0 იონანიძე (45, 75), 3:1 ონიანი (87)

ზესტაფონი: მამალაძე, ს. თოდუა (ბენაშვილი 27), უ. ლობჟანიძე, გ. ხიდეშელი, მაკარიანი, ნ. კვასხვაძე (გ. ნუგ. ქელიძე 58), გორგიაშვილი (კაკალაძე 63), ძარია, შ. გრიგალაშვილი, ლ. მელქაძე, იონანიძე

*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, კვესიეშვილი, კაჭკაჭიშვილი

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

მგლები: სომხიშვილი, ქითანავა, რ. ონიანი, ა. ბაჯელიძე, რაქვიაშვილი (ხარჩილავა 81), გუჩუა, პ. დათუნაიშვილი, გულორდავა (ინჯგია 72), ქირია, გ. თოდუა (ბაკარანძე 34), ქედია

*სათადარიგონი:* ქალდანი, მალიჩავა, ჯოჯუა, ხურციძე

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: გუჩუა (34)

მსაჯები: ბ. ბეუქლიშვილი; ბ. ქიქინაძე, კ. ბერაძე; გ. კიკაჩეიშვილი

---

25 აპრილი. 16 საათი

**მესხეთი ახალციხე – ვიტ ჯორჯია თბილისი 0:3**

ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 300 მაყურებელი

0:1, 0:2 ბერიაშვილი (10, 52), 0:3 რაზმაძე (81პ)

მესხეთი: ბათიაშვილი, ლეკიშვილი, ლ. მერებაშვილი, ლ. თედიაშვილი, გ. ხორგუაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ლ. ვაშაკიძე (გონჩაროვი 76), გაბიდაური, ლ. ქებაძე (პ. ხორგუაშვილი 60), სამადაშვილი, გ. მიქაბერიძე

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, ბექვაია, ყველაშვილი, კლიმიაშვილი, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (ხურცილავა 85), გ. მალქაძე (მგელაძე 88), ბერიაშვილი, ლიპარტია (მაისაშვილი 76)

*სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე, ი. სვანიძე, როსტიაშვილი, კვალინიძე

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: ჩხეტიანი (14), კვახაძე (20), კლიმიაშვილი (21), ბექვაია (64)

მსაჯები: ო. ხეცაძე, ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი, პ. დოგრაშვილი

---

25 აპრილი. 16 საათი

**ოლიმპი რუსთავი – სკ ბორჯომი 6:1**

რუსთავი. ფოლადი. 400 მაყურებელი

1:0 ონიანი (5პ), 2:0 ჩიკვილაძე (25), 3:0 ქელიძე (49), 4:0 მეგრელაძე (57), 4:1 პაელიაშვილი (72), 5:1 ქელიძე (82), 6:1 ახალაია (85)

ოლიმპი: სტურუა, თ. ლონლაძე, გ. ონიანი, აკუასაგა, ხუბუა, ჩიკვილაძე, გ. სეთურიძე, ბაბუნაშვილი, გ. ჩხეტიანი (გ. ნოდ. ქელიძე 46), გ. დეკანოსიძე, მეგრელაძე (ახალაია 68)

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

ბორჯომი: შეყრილაძე, მენთესაშვილი (გოგოლაძე 46), ხაჩიძე, ი. ლომიძე, ნ. ლომიძე, ი. კიკნაძე, დევიძე, გაჩეჩილაძე, როხვაძე (გოგოლაძე 57), პაელიაშვილი, ლ. დათუნაშვილი (ლობჟანიძე 71)

მწვრთნელი: ჯუნგლი ქართველიშვილი

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. ჯვარიძე, ლ. თოდრია, ვ. გუმბერიძე

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — 29 ტური

# ბორჯომი უკვე პირველლიგელია



ლადო ახალაია

## ოლიმპმა ახალაია გოლით გამოაჩინა

**ოლიმპი 6:1 ბორჯომი**

**რუსთაველებმა** ულაპარაკოდ გაანადგურეს აუტსაიდერი „ბორჯომი“ და თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩის წინ მშვენიერი განწყობა შეიქმნეს.

ამ წაგებით ბორჯომელებმა ოფიციალურად „გაიფორმეს“ პირველი ლიგის საგზური, რომლებსაც უკვე ველარაფერი უშველის — სტუმრები ლოგიკურად მივიდნენ იქამდე, საითაც თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში „მიიწევდნენ“.

მცველების, გიორგი ონიანისა და თენგიზ ჩიკვილაძის დაწყებული საქმე თავდამსხმელებმა, გიორგი ჭელიძემ და გიორგი მეგრელაძემ გააგრძელეს და 57-ე წუთზე უკვე 4:0 იყო ანგარიში.

მერე ბორჯომელთა ლიდერმა ილია პავლიაშვილმა შეამცირა სხვაობა, თუმცა „პაჭელომ“ თავის პირველ რუსთაულ გოლს ერთიც მიუმატა, რასაც 85-ე წუთზე ლადო ახალაიამაც შეაშველა თავისი. დიახ, ერთ დროს თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი, ვინც ბოლოს ახალციხის „მესხეთში“ თამაშობდა, რამდენიმე დღის წინ რუსთავის „ოლიმპში“ გადავიდა და სადებიუტო მატჩშივე გამოიჩინა თავი.

ამ სამი ქულით რუსთაველებმა მესამე ადგილი შეინარჩუნეს და კვლავაც ორი ქულით უსწრებენ „ზესტაფონს“.

**კახა შალამბერიძე**

# სპარტაკის თამაში

## ვისაც მოტივაცია გვაქვს, გაგვატარეთ!

**სპარტაკი 2:1 სიონი**

**ცხინვალის** „სპარტაკმა“, რა თქმა უნდა, მოიგო და კვლავ იმის იმედით ცოცხლობს, რომ ლიგიდან გავარდნას თავს დააღწევს.

სანახაობრივად უვარგის მატჩში მასპინძლები უფრო აქტიურნი ჩანდნენ.

ბოლნისელებს რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ და გარდა ამისა, მოტივაციის სიმწირესაც „უჩივიან“ — მეხუთე ადგილს ვერავინ წაართმევთ და ზემოთ ანაცვლებაც წარმოუდგენელი ჩანს.

ერთი სიტყვით, ეს შეხვედრა „სპარტაკის“ შანსი იყო.

ცხინვალელები უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ გააქტიურდნენ. მით უმეტეს, სტუმართა თავკაცმა ოთარ კორღალიძეს ისედაც შეთხელებული შემადგენლობიდან მეორე ნახევარში სამი კაცი შეცვალა და გამოცდილი სულიკო დავითაშვილის, კობა შალამბერიძის და კოკა მიკუჩაძის ნაცვლად სარეზერვო გუნდიდან შემატებული ბიჭები შეუშვა მოედანზე.

57-ედან 61-ე წუთებამდე „სპარტაკმა“ ორი ბურთის გატანა შეძლო და თავი სამშვიდობოს დაიგულა. გოლები ირაკლი სირბილაძემ და შოთა ჯიქიამ ჩაიწერეს აქტივში.

ამას სტუმრებმა ოდენ რევაზ გოცირიძის გოლით უპასუხეს და საბოლოოდ 2:1.

**ლუკა თალაკვაძე**

**ჩემპიონატის რეგლამენტი.** თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება შემდეგ კომპონენტებს: 1. მოგებათა მეტი რაოდენობა; 2. ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ქულები, ბურთები); 3. ჩემპიონატში გატანილ-გაშვებული ბურთების სხვაობა; 4. გატანილი გოლების რაოდენობა; 5. სტუმრად გატანილი გოლების რაოდენობა; 6. ფეირ პლეის პრინციპი; 7. კენჭისყრა



www.uefa.com

# გაგრა შანსს ჩამოეკიდა

**ლოკომოტივი 0:1 გაგრა**

**ჩემპიონატი** ფინიშისკენ მიიწევს და ეგრეთ წოდებული „უცნაური ანგარიშებიც“ მომრავლდა.

უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლმა „გაგრამ“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა აართვა უმოტივაციო „ლოკომოტივს“ და იმედი ერთხელაც შეიმაგრა.

ძნელი სათქმელია, მოახერხებენ თუ არა გაგრელები ლიგაში ადგილის შენარჩუნებას, თუმცა საამისოდ ძალ-ღონეს რომ არ იშურებენ, ფაქტია.

მატჩამდე გახშირებული ხმებით, ვიქტორ კაშჩეის შეგირდებს უპრობლემოდ უნდა აელოთ სამი ქულა და ასეც მოხდა.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ უცხოურ საბუქმეიკერო კანტორებში „გაგრას“ კატასტროფულად უმცირდებოდა კოეფიციენტი, რაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ მისი მოგება უფრო და უფრო იოლად გამოსაცნობი ხდებოდა.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ამ საქმეს ბოლომდე მიმყოლი არ უჩანს და გინდ ასე წერე, გინდ ისე...

სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს შეხვედრა და 33-ე წუთზე ვლადიმერ გაბედავას წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა. გიორგი ტყეშელაშვილმა ეს შანსი ქარს გაატანა — ბურთი კარს ააცილა!

ამის შემდეგ „ლოკომოტივის“ ჯერი დადგა და ძნელი სათქმელია, რატომ ვერ მოახერხეს კახა მახარაძემ, ირაკლი ჩირიკაშვილმა, რევაზ წულაძემ და შალვა კვანტალიანმა გოლების გატანა.

ეს იყო და, თბილისელებს ნიგერიელმა ოვონიკოკო აბაიომი სეუნიმაც „აუბა მხარი“ — აკაკი კუპრეიშვილის პასით მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ... ააცილა.

შესვენების შემდეგ „გაგრა“ უფრო მხნედ ათამაშდა და 67-ე წუთზე ნანატრი გოლიც გაიტანა — ვლადიმერ გაბედავამ ჩვეულად გაისროლა — 0:1.

მოგვიანებით თამაზ ჩარგეიშვილს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ვერ მოახერხა და გუნდებიც ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

„გაგრამ“ შეძლო სამშვიდობო ადგილზე გადასვლა, თუმცა კონკურენტ ახალციხის „მესხეთზე“ მეტი თამაში აქვს ჩატარებული და...

ვნახოთ, ვისი აჯობებს...

**ოთარ მხეიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 27 | 18 | 8 | 1 | 48:15 | 33 | 62 | 13 | 8 | 4 | 1 | 23:9 | 14 | 28 | 14 | 10 | 4 | 0 | 25:6 | 19 | 34 |
| 2 დინამო | 26 | 18 | 4 | 4 | 56:18 | 38 | 58 | 13 | 11 | 2 | 0 | 36:10 | 26 | 35 | 13 | 7 | 2 | 4 | 20:8 | 12 | 23 |
| 3 ოლიმპი | 26 | 13 | 9 | 4 | 35:18 | 17 | 48 | 13 | 7 | 5 | 1 | 20:6 | 14 | 26 | 13 | 6 | 4 | 3 | 15:12 | 3 | 22 |
| 4 ზესტაფონი | 26 | 14 | 4 | 8 | 33:22 | 11 | 46 | 13 | 9 | 0 | 4 | 21:11 | 10 | 27 | 13 | 5 | 4 | 4 | 12:11 | 1 | 19 |
| 5 სიონი | 26 | 10 | 9 | 7 | 29:23 | 6 | 39 | 12 | 4 | 5 | 3 | 14:10 | 4 | 17 | 14 | 6 | 4 | 4 | 15:13 | 2 | 22 |
| 6 ლოკომოტივი | 26 | 8 | 7 | 11 | 27:27 | 0 | 31 | 14 | 5 | 3 | 6 | 13:10 | 3 | 18 | 12 | 3 | 4 | 5 | 14:17 | -3 | 13 |
| 7 მგლები | 27 | 8 | 6 | 13 | 31:36 | -5 | 30 | 14 | 7 | 1 | 6 | 20:12 | 8 | 22 | 13 | 1 | 5 | 7 | 11:24 | -13 | 8 |
| 8 გაგრა | 27 | 6 | 7 | 14 | 21:41 | -20 | 25 | 14 | 4 | 5 | 5 | .15:18 | -3 | 17 | 13 | 2 | 2 | 9 | 6:23 | -17 | 8 |
| 9 მესხეთი | 26 | 5 | 8 | 13 | 15:36 | -21 | 23 | 12 | 4 | 3 | 5 | 10:14 | -4 | 13 | 14 | 2 | 4 | 8 | 5:22 | -17 | 10 |
| 10 სპარტაკი | 26 | 5 | 7 | 14 | 26:51 | -15 | 22 | 13 | 3 | 4 | 6 | 14:19 | -5 | 13 | 13 | 2 | 3 | 8 | 12:22 | -10 | 9 |
| 11 ბორჯომი | 27 | 2 | 7 | 18 | 20:64 | -44 | 13 | 14 | 1 | 5 | 8 | 11:25 | -14 | 8 | 13 | 1 | 2 | 10 | 9:39 | -30 | 5 |

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 14 — | ნიკა გელაშვილი | ზესტაფონი |
| 13 — | გიორგი მერებაშვილი | დინამო |
| 11 — | გია თოდუა | მგლები |
| 10 — | მათე ვაწაძე | დინამო |

## XXX ტური

| | |
|---|---|
| 2 მაისი. შაბათი | სიონი – დინამო |
| მგლები – მესხეთი | გაგრა – ოლიმპი |
| 3 მაისი. კვირა | ბორჯომი – ზესტაფონი |
| სპარტაკი – ლოკომოტივი | ვიტ ჯორჯია ისვენებს |





# რა იმალება ტრავმის უკან?

## გაგრა ცხადაძის მოკვეთას არ ადასტურებს

„ერთ-ერთი ვარჯიშის დროს საფეხბურთო კლუბ გაგრას თავდამსხმელმა ბაჩანა ცხადაძემ მარჯვენა ფეხი დაიშავა თანაგუნდელთან ბურთისთვის ბრძოლის დროს და მინდორი ექიმის დახმარებით დატოვა. როგორც გუნდის ექიმი აცხადებს, ცხადაძის ტრავმა საკმაოდ სერიოზულია, ხოლო საბოლოო პასუხი, რა სახის ტრავმა მიიღო ცხადაძემ, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. შეძლებს თუ არა ის დარჩენილ სამ მატჩში თამაშს, ამაზე ჯერჯერობით საფეხბურთო კლუბ გაგრას სამედიცინო შტაბი კონკრეტულ პასუხს ვერ იძლევა“ — ეს ინფორმაცია დევს „გაგრას“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

როგორც აღმოჩნდა, ბაჩანა ცხადაძე ტრავმირებულია და ამის გამო ვერ დაეხმარა გუნდს გასულ ტურში, თბილისის „ლოკომოტივთან“ მატჩში, თუმცა...

იქამდე საფეხბურთო სამყაროში სხვა ამბავიც გავრცელდა — ცხადაძეს ცხინვალის „სპარტაკთან“ შეხვედრისას კონფლიქტი მოუვიდა უკრაინელ მწვრთნელ ვიქტორ კაშჩეისთან, რომელმაც ის გუნდიდან მოკვეთაო.

„სპარტაკთან“ მატჩის მე-80 წუთზე კაშჩეიმ ცხადაძე შეცვალა და ვითარებაც მაშინ დაიძაბა. ფეხბურთელმა უმოცრურად გამოხატა უკმაყოფილება, რასაც კაშჩეიმ მკვეთრი რეაქციით უპასუხა.

ასე იყო ის ამბავი, თუმცა „გაგრას“ პრესსამსახურს თუ ვენდობით, ჩანს, კონფლიქტი ამოწურულია და ბაჩანას უთამაშებლობის მიზეზი ტრავმაა.

რაღა დაგვრჩენია, თუ მართლა ასეა, მალე გამოჯანმრთელება ვუსურვოთ ნიჭიერ ფეხბურთელს...

ოთარ მხეიძე

# რატომ ესწრება კუპერი ჩემპიონატს?!

## ეს რჩეული კი არა, არჩეულია!

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა 21 აპრილს მორიგი „სამშაბათობა“ ჩაატარა.



არგენტინელ სპეციალისტს სულ 16 ფეხბურთელი ჰყავდა გამოძახებული, რომელთაგან მხოლოდ დავით სირაძეა უგუნდოდ — რუმინულ „სტიაუაში“ მისი გადასვლა არ ხერხდება.

*მეკარეები:* გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);

*მცველები:* უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), გურამ კაშია (დინამო), დავით გიგაური (გაგრა), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია);

*ნახევარმცველები:* ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), გიორგი ცხადაია (გაგრა), ლევან ხმალაძე (დინამო), გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია);

*თავდამსხმელები:* გიორგი მერებაშვილი (დინამო), დავით სირაძე (უგუნდოდ).

საგურამოში ჩატარებული წვრთნისას ორი უსიამოვნო ამბავი მოხდა: ალექსანდრე კვახაძემ ფეხი გადაიბრუნა, მურთაზ დაუშვილმა კი კუნთი დაიზიანა და მათ ვარჯიშის გაგრძელება ველარ მოახერხეს.

და კიდევ: როგორც ჩანს, კუპერმა უკვე აარჩია „სასამშაბათო“ ბირთვი და მხოლოდ მათ იძახებს ხოლმე. არადა, თავიდან ითქვა, რომ ის ყოველ ტურში თავგამოჩენილ ფეხბურთელებს მიიწვევდა, რაც ამ ბიჭებს მოტივაციას გაუზრდიდა.

დავიჯეროთ, ყოველ ტურში ერთიდაიგივე ფეხბურთელები მოსწონს კუპერს? მაშ, რაღა აზრი აქვს თამაშებზე მის სიარულს, თუ ისედაც წინასწარ იცის, რომელი 16 ფეხბურთელი მოეწონება? ცოტა არ იყოს, უცნაურია...

ბაჩა ზალამბერიძე

# ბულგარეთმა ლატვია შეათანხმა

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქე ბულგარეთი ამხანაგურ მატჩს გამართავს ლატვიასთან.

შეხვედრა 12 აგვისტოს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ საქართველო — ბულგარეთის თბილისური მატჩი 0:0 დასრულდა, სოფიაში კი ეს გუნდები 14 ოქტომბერს შეხვდებიან ერთმანეთს.

ოთარ მხეიძე

www.pfl.ge

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

## ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

გორი. 29 აპრილი. 16 საათი. თ. ბურჯანაძე

### ვიტ ჯორჯია — ოლიმპი (2:4)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია, პ. დოგრაშვილი

თბილისი. 29 აპრილი. 16 საათი. ეროვნული

### დინამო — ლოკომოტივი (2:0)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. ჯვარიძე, ლ. თოდრია, მ. ბეუქლიშვილი

# ინტრიგა მკვდარია



გიორგი ონიანის (№3) „ოლიმპს“ ჯაბა ლიპარტიას „ვიტ ჯორჯია“ წინ აღარ გადაუდგებაო...

29 აპრილს საქართველოს თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩებია და, სადღაა ინტრიგა?

ყველაფერი პირველ შეხვედრებში გაირკვა — თბილისის „დინამომ“ სტუმრად 2:0 მოუგო თანაქალაქელ „ლოკომოტივს“ და, ფაქტობრივად, გაინაღდა ფინალისტობა; თბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და რუსთავის „ოლიმპს“ შორის დატრიალებულ ამბებზე კი აქამდეც არაერთხელ დაგვიწერია — ეჭვები, რომ „ოლიმპს“ „ვიტ ჯორჯია“ „გაატარებდა“, სამწუხაროდ, მართლდება.

ამ საქმის გამოძიებას დღემდე არ დაადგა საშველი და იმედი ვიქონიოთ, რომ ვისაც ეს ეხება, ყურადღებას „არ მოადუნებს“. თორემ აგერ თქვენ და აგერ საპასუხო მატჩები: წინასწარვე ვიტყვით, ფინალი „დინამო“ — „ოლიმპია“!

ოთარ მხეიძე

# ახალგაზრდულს ჭედია გამოაკლდა

„სამშაბათობა“ მოაწყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა კახა ცხადაძემაც.

გუნდი ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ შეიკრიბა და ეროვნული ნაკრების ვარჯიშის დასრულების შემდეგ საგურამოს ბაზას მიაკითხა.

ცხადაძემ ეს ფეხბურთელები ნახა საქმეში:

*მეკარეები:* რევაზ თევდორაძე (გაგრა), გიორგი ლოხაბერიძე (დინამო 2);

*მცველები:* გურამ ადამაძე (ვიტ ჯორჯია 2), ლაშა კასრაძე (ვიტ ჯორჯია 2), ლაშა ჩადუნელი (დინამო 2), გიორგი ხატიაშვილი (ამერი), ბექა გიორგაძე (მგლები);

*ნახევარმცველები:* თორნიკე თარხნიშვილი (სპარტაკი), დავით ხურცილავა (ვიტ ჯორჯია), გიორგი ჯანელიძე (ვიტ ჯორჯია 2), გიორგი ვასაძე (ვიტ ჯორჯია 2), ვაჟა ნემსაძე (დინამო), ნიკა ჯიშკარიანი (დინამო 2), ნიკა მაისურაძე (სპარტაკი), ზაქარია ბეგლარიშვილი (დილა), იოსებ გილაური (ლოკომოტივი), გიორგი განუგრავა (უგუნდოდ);

*თავდამსხმელები:* ზვიად ქანთარია (დინამო 2), დავით ჯანელიძე (ამერი), ირაკლი სვანიძე (ვიტ ჯორჯია), ილია პაპლიაშვილი (მორჯომი).

ვარჯიშზე ვერ გამოცხადდა ზუგდიდის „მგლების“ თავდამსხმელი გიორგი ჭედია, ვისაც ტრავმა აწუხებს.

ბაჩა ზალამბერიძე

# მოლდოვა ერთი დღით ადრე

საქართველოსა და მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი 6 ივნისის ნაცვლად 5 ივნისს ჩატარდება.

ეს ინფორმაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.

შეხვედრა თბილისში გაიმართება და თარიღი მოლდოველთა თხოვნით შეიცვალა.

ოთარ მხეიძე



# რას იტყვის უეფა?

## საქართველომ ჩვიდმეტს ერთი უნდა მიუმატოს

**წინა კვირაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფადან ავსტრიელი იოჰან ჰანტჩაი სტუმრობდა და ამ ვიზიტის მიზანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტისთვის კონსულტაციის გაწევა გახლდათ. დაგეგმილია, რომ ჩვენი ფედერაცია უეფას მსაჯთა კონვენციას მიუერთდება და ჰანტჩაის სტუმრობაც ამან განაპირობა. ქართულ შთაბეჭდილებებს ავსტრიელი ჩინოვნიკი უეფას წარუდგენს და ჩვენც უეფასგან პასუხს დაველოდებით კონვენციასთან მიერთების თაობაზე. რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ქართულ ფეხბურთს ამ კონვენციამ, ამის თაობაზე სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ავთანდილ შალამბერიძეს ვკითხეთ. საუბარი კი სხვა თემით დავიწყეთ — 29 მაისს შალამბერიძე და ფიფას არბიტრი ლევან ფანიაშვილი ვენაში გაემგზავრებიან, სადაც ფიფა-უეფას მსაჯთა ინსტრუქტორების გაერთიანებული სემინარი ჩატარდება...**

— ამგვარი სემინარები პერიოდულად ტარდება ხოლმე. მისი მიზანია, მსაჯები და მსაჯთა დამკვირვებლები იმ სიახლეებს გავეცნოთ, რომლებსაც ფიფა და უეფა ნერგავს.

**— კონკრეტულად თუ იცით, რა სიახლეებზე იქნება ლაპარაკი?**

— ლაპარაკი იქნება, მაგალითად, როგორ უნდა მოიქცეს მსაჯი მოედანზე წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციებისას; როგორ უნდა შეაფასოს დამკვირვებელმა მსაჯის მუშაობა...

**— თქვენთან ერთად ვენაში ლევან ფანიაშვილიც იქნება, რომელიც შარშან ავარიაში მოხვედრის მერე მკურნალობდა...**

— საბედნიეროდ, ფანიაშვილი უკვე გამოჯანმრთელდა და ვარჯიშიც დაიწყო. სულ მალე ტესტებსაც გაივლის და იმედი გვაქვს, მსაჯობასაც მალე განაახლებს. თავდაპირველად ლევანი დაბალ ლიგას მოემსახურება, სეზონის ბოლოსკენ კი უმაღლეს ლიგაშიც დაბრუნდება.

**— იოჰან ჰანტჩაის სფფ-ში სტუმრობას რა მიზნები ჰქონდა?**

— ის თბილისში უეფას წარმომადგენლის სტატუსით ჩამოვიდა, ისე კი, ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარეა. ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს, გენერალურ მდივან რევაზ არველაძეს, სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე ამირან კაჭახიძეს შეხვდა. საუბარი ჩვენი ფედერაციის უეფას სამსაჯო კონვენციასთან მიერთებას ეხებოდა.

ჰანტჩაისგან რჩევები მივიღეთ და ჩვენი მოსაზრებებიც გავაცანით, თუ რა გვჭირდება მუშაობის გასაუმჯობესებლად.

**— ხომ ვერ დაგვიზუსტებთ?**

— მაგალითად, გვჭირდება ტექნიკური აღჭურვილობა მსაჯებისთვის — ყურსასმენებს და სიგნალიან ალმებს ვგულისხმობ. ჩვენ ვამზადებთ სრულ ნუსხას, თუ რა არის საჭირო. ამას უეფაში განიხილავენ და ბიუჯეტსაც დაგეგმავენ. იმ შემთხვევაში, თუ უეფას სამსაჯო კონვენციაში მიგვიღებენ, სოლიდური დაფინანსება გვექნება. ამითაც არის მნიშვნელოვანი ჩვენთვის ეს კონვენცია.

**— რამდენად დიდია შანსი, რომ ამ კონვენციას მიუერთდებით?**

— რა თქმა უნდა, დიდი იმედი გვაქვს, რასაც იოჰან ჰანტჩაის ვიზიტიც ადასტურებს. აქვე გეტყვით, რომ ამჟამად ამ კონვენციაში 17 ევროპული ფედერაციაა გაერთიანებული.

**ლუკა თალაკვაძე**

# დაკავებულია მეუღლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი

**„შინაგან** საქმეთა სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 1967 წელს დაბადებული თამაზ კიკლიაშვილი, რომელიც ბრალდებულია ეჭვიანობის ნიადაგზე მეუღლის, 1975 წელს დაბადებული თეა ქვარიანის მკვლელობაში. დაკავებულმა დანაშაული აღიარა. გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 108-ე მუხლით. გამოძიებას აწარმოებს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველო" — ეს ინფორმაცია გაავრცელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა ვებგვერდმა.

ამ ამბავმა ჩვენ იმად დაგვაინტერესა, რომ თამაზ კიკლიაშვილი ვეტერანი ფეხბურთელია და თავის დროზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ეროვნულ ჩემპიონატში.

კიკლიაშვილმა ფეხბურთელის კარიერა 2001 წელს დაასრულა და ბოლოს ბავშვთა მწვრთნელად მუშაობდა.

1982 წლიდან 2001 წლამდე კიკლიაშვილმა ეს გუნდები მოიარა: თბილისის „ლოკომოტივი", ქუთაისის „ტორპედო", ოზურგეთის „მერცხალი", „ბათუმი", ფოთის „კოლხეთი" და ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკი".

**კახა შალამბერიძე**

# ერთი გერმანიაში, ორიც ავსტრიაში

## სფფ კონვენციას ელის

**სამი** ამბავი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტიდან:

1. 21-22 აპრილს სფფ-ს უეფას წარმომადგენელი, ავსტრიელი იოჰან ჰანტჩაი სტუმრობდა.

ამ ვიზიტის მიზანი იყო ქართული სამსაჯო კომიტეტისთვის კონსულტაციის გაწევა და სხვადასხვა სახის დახმარება, რათა ჩვენი სამსაჯო კომიტეტი უეფას მსაჯთა კონვენციის წევრი გახდეს.

სფფ-ის პრესსამსახურის ცნობით, ჰანტჩაი 24 ივნისს დაგეგმილ უეფას სხდომაზე თავის მოხსენებას წარადგენს და გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დიდი შანსია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტი უეფას მსაჯთა კონვენციის წევრი გახდეს.

2. 6-18 მაისს გერმანია 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს და ამ ტურნირში ერთი ქართველიც მიიღებს მონაწილეობას — ფიფას ასისტენტი ბესიკ ჭიჭინაძე უკვე ემზადება გერმანიაში წასასვლელად.

3. 29 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით ვენაში ფიფა-უეფას მსაჯთა ინსტრუქტორების გაერთიანებული სემინარი ჩატარდება.

საქართველოდან ამ სემინარში მსაჯთა კომიტეტის უფროსის მოადგილე ავთანდილ შალამბერიძე და ფიფას არბიტრი ლევან ფანიაშვილი არიან მიწვეულნი.

**კახა შალამბერიძე**

# ფეროპლეი

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 28-ე ტურში, „ვიტ ჯორჯია" — „ზესტაფონის" მატჩში (2:1) რამდენჯერმე მოხდა, რომ სტუმრებმა დაშავებული ვიტელების გამო ბურთი გადააგდეს და თამაში შეჩერდა. არადა, ამ დროს „ზესტაფონი" აგებდა... ეტყობა, ეს ბოლო წვეთი იყო იმერული კლუბისთვის და აი, რა განცხადება გაავრცელა ფეროელთა პრესსამსახურმა...**

## საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის პრესსამსახურის განცხადება

როგორც მოგეხსენებათ, უკანასკნელ პერიოდში ქართული მედიის ფურცლებზე გაიმართა და დღემდე მიმდინარეობს დისკუსია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის" თასის გათამაშების შეხვედრებში „პატიოსანი თამაშისა" და ზოგადად, სპორტული პრინციპების დაცვის აუცილებლობაზე.

ქართული ფეხბურთის წინაშე არსებული პრობლემატური საკითხებისადმი საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" ხელმძღვანელობას გააჩნია საკუთარი ხედვა. ამასთან დაკავშირებით, კლუბის პრესსამსახური უფლებამოსილია, განაცხადოს შემდეგი:

1. საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი" საჯაროდ აცხადებს „პატიოსანი თამაშის" (FAIR PLAY) პრინციპების პატივისცემისა და ერთგულების შესახებ.

2. სწორედ „პატიოსანი თამაშის" (FAIR PLAY) პრინციპების დაცვის მიზნით კლუბი აცხადებს იმის შესახებ, რომ შემდგომში, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის" თასის გათამაშების შეხვედრების მიმდინარეობისას, კლუბის ფეხბურთელები არ გადააგდებენ ბურთს მოედნის ფარგლებს გარეთ იმ შემთხვევებში, როდესაც მოწინაალმდეგე გუნდის ფეხბურთელები თამაშის შეწყვეტას და სამედიცინო დახმარებას მოითხოვენ. რასაკვირველია, საუბარი არაა ისეთ სიტუაციებზე, როდესაც მოწინაალმდეგე გუნდის ფეხბურთელის ჯანმრთელობას ნამდვილად ემუქრება საფრთხე. მატჩის მსვლელობის შეჩერების ინიციატორი მატჩის არბიტრი უნდა იყოს.

3. ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე გასამართი მატჩების მიმდინარეობისას, საფეხბურთო მატჩების თამაშის ტემპის დაჩქარებისა და სათამაშო დინამიკის შენარჩუნების მიზნით, ს.კ. „ზესტაფონი" თავის თავზე იღებს ვალდებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ შეხვედრები გაიმართება 12 სათადარიგო ბურთისა და ბურთების დროულად მოწოდებისათვის საჭირო დამხმარე ბიჭუნების შესაბამისი რაოდენობის გამოყენებით.

4. როგორც მოგეხსენებათ, საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი" განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ზესტაფონის ცენტრალური სტადიონის მინდვრის საფარის მდგომარეობას. გვინდა განვაცხადოთ იმის შესახებ, რომ ს.კ. „ზესტაფონი" საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის" თასის გათამაშების შეხვედრების წინა დღეს მზადაა, დაუთმოს მოწინაალმდეგე გუნდებს ზესტაფონის ცენტრალური სტადიონის მოედანი წინასამატჩო ვარჯიშის ჩასატარებლად, თუ ასეთი მზადყოფნას სხვა კლუბებიც დააფიქსირებენ.

5. საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი" იმედოვნებს, რომ ქართული კლუბები არამარტო გაგებით მოეკიდებიან ამ განცხადებაში გაჟღერებულ ინიციატივებს, არამედ შეუერთდებიან მათ.

## ქართული სიტყვა უცხო პრესაში

# როგორ უნდა დაეწყო 5-მილიონიან ქვეყანას ომი 600-მილიონიანი ქვეყნის წინააღმდეგ?!

## შოთა არველაძე: საქართველოს ნაკრები ოჯახში წავაგე

**„თაიმსის“ ჟურნალისტი დუგლას ალექსანდერი შოთა არველაძეს ამსტერდამის სასტუმრო „ლეიდსპლეინის“ ბარში შეხვდა და აქ ამ ინტერვიუს თარგმანს შემოგთავაზებთ. შოთა არველაძესთან ინტერვიუ არასდროს ყოფილა უინტერესო და ახლაც არაერთ საგულისხმო ამბავს ამოიკითხავთ. მაგალითად, როგორ უთხოვია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შოთასთვის საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა...**

შოთა არველაძე კითხვებს ამომწურავად და გულღიად პასუხობს, თუმცა არის ერთი კითხვა, რომელზე პასუხიც მას არ აქვს...

„ჩემი შვილებისთვის ვერ ამიხსნია, როცა ევროპა ასეთი გახსნილია და ადამიანებს თავისუფლად გადაადგილება შეუძლიათ, რატომ მოახდინა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მხოლოდ იმისთვის, რომ საქართველოს ნატოში შესვლა სურს. ჩვენ არ ვართ ტერორისტული ქვეყანა, ჩვენ გვინდა, მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დამცველი საუკეთესო ორგანიზაციის, ნატოს წევრები ვიყოთ. ქართველები ის ერი ვართ, რომელსაც სიძულვილი არ შეუძლია, ჩვენ მხოლოდ სიყვარული შეგვიძლია. არ გვაქვს ნავთობი, მაგრამ ვიცით, როგორ გავუფრთხილდეთ ადამიანებს.“

ეს მცირე ნაწილია ყოფილი რეინჯერსელის შთამბეჭდავი გულისთქმისა. საქართველო და რუსეთი დღემდე ერთმანეთს ადანაშაულებენ ხუთდღიან ომში, რომელიც აგვისტოში მოხდა სამხრეთ ოსეთში და რომელმაც საერთაშორისო კონფლიქტის სახე მიიღო.

დიახ, არველაძე სულაც არ იხდის ბოდიშს თავისი პატრიოტიზმის გამო, როცა „დედა რუსეთსა“ და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის რთულ დამოკიდებულებაზე ლაპარაკობს.

„როგორ უნდა დაეწყო 5-მილიონიან ქვეყანას ომი 600-მილიონიანი ქვეყნის და მისი არმიის წინააღმდეგ?! მთელი ჩემი ოჯახი საქართველოში იყო, მშობლები, ძმები, მათი შვილები. მათ წასასვლელი არსად ჰქონდათ — ყველა საელჩო დაკეტილი იყო.“

რუსეთმა დაბომბა საქართველოს აეროპორტები და სამხედრო ბაზები იმ მოტივით, რომ სამხრეთ ოსეთში რუს სამშვიდობო ჯარებზე თავდასხმა მოხდა.

არველაძე კი გვეუბნება, რომ რუსი ჯარისკაცები უნიტაზებს იპარავდნენ.

არველაძე დასავლეთ ევროპაზეც განაწყენებულია...

„გერმანია ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა და ის საქართველოს ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოვიდა. გერმანელებს აღარ ახსოვთ, რომ მათი ქვეყნის ნახევარს ცოტა ხნის წინ რუსეთი აკონტროლებდა. ან, კარგი იქნება, ვინმე რომ მოვიდეს და ნიდერლანდების სამეფოს ჰოლანდია წაართვას?!“



შოთა არველაძემ შოტლანდია და ესპანეთი მოიარა და ახლა მისი სახლი ჰოლანდიაშია. ფეხბურთელის კარიერა „ლევანტეში“ თამაშისას, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალის“ წინააღმდეგ მატჩით დასრულა. იქამდე მუხლზე ხუთი ოპერაცია გადაიტანა და კარიერის დასრულებაც ამ მიზეზით მოუხდა.

კარიერის დასრულებისთანავე ორი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სამწვრთნელო შეთავაზება მიიღო. ერთი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა იყო, მეორე — „ალკმაარში“ ლუის ვან გაალის თანაშემწეობა, ვისთანაც ფეხბურთელობისას უმუშავია.

არველაძე ჭკვიანი ფეხბურთელი იყო, ნათელი გონება აქვს და იუმორის შესანიშნავი გრძნობის გამო როუენ ატკინსონს ადარებენ.

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელობა შემომთავაზა, რამაც ძალიან მომხიბლა. ჩემს თავს ვუთხარი, მიდი, შოთა, დათანხმდი ნაკრების მწვრთნელობას, მაგრამ უარის თქმა მომიხდა, რადგან „ოჯახური არჩევნები“ წავაგე. ჩემი ცოლი, ძმა, ყველანი ამის წინააღმდეგნი იყვნენ. „ალკმაარში“ მუშაობით კი სამწვრთნელო გამოცდილებას მივიღებდი.“

„ალკმაარში“ მუშაობა მშვენივრად აეწყო. გუნდმა „აიაქსს“ და „ტვენტეს“ გადაუსწრო, ერედივიზიონი მოიგო და ჩემპიონთა ლიგაში ადგილი მოიპოვა. სხვათა შორის, ამან ძალიან გაანაწყენა „აიაქსის“ მწვრთნელი, რომელიც არასდროს ყოფილა ვან გაალის ფანი.

არველაძე ამის თაობაზე ამბობს: „მარკო ვან ბასტენმა ერთხელ თქვა, რომ „ალკმაარი“ არ თამაშობს საუკეთესო ფეხბურთს. ხანდახან, როცა თამაში არ მიგვდის, მას ვეთანხმები კიდეც, მაგრამ მთლიანობაში ჩვენ საუკეთესონი და ყველაზე ორგანიზებული გუნდი ვართ. და რით მოგვხიბლა ვან ბასტენმა? მწვრთნელ ვან ბასტენს ვგულისხმობ და, ცხადია, არა ფეხბურთელ ვან ბასტენს.“

„რვა თვეა, რაც ვან გაალთან ერთად ვმუშაობ და გაოცებული ვარ, რამდენი რამ ყოფილა, რაზეც ფეხბურთელობისას წარმოდგენაც არ მქონდა. ვან გაალი საოცარი ენთუზიასტია. უამრავ მწვრთნელს ვიცნობ, თამაშის მერე გასახდელში ფეხბურთელებს რომ უყვირის. მაგრამ ეს უკვე დაგვიანებულია. მე ყოველი თამაშის წინ და შესვენებისას ვუყურებ, და მესმის, როგორ ნათლად და მკაფიოდ უხსნის ვან გაალი თითოეულ ფეხბურთელს, თუ რა უნდა გააკეთონ მოედანზე. ვან გაალი ძალიან მკაფიოდ ხედავს და აღიქვამს თამაშს. ისიც მინახავს, რომ გასახდელში მწვრთნელს არავინ უსმენს, ვან გაალი კი 10 წუთში ახერხებს ყველაფრის ახსნას.“

# არშავინმა გაასამა

## ქართველს და უკრაინელს რუსი შეუამხანაგდა




**არსენალელმა** ანდრეი არშავინმა „ლივერპულთან“ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა და მთელი ევროპა აალაპარაკა.

რუსულმა პრესამ კი სტატისტიკას გადაავლო თვალი და აღმოჩნდა, რომ არშავინი მხოლოდ მესამე პოსტსაბჭოთა სივრციდან, ვინაც წამყვანი ქვეყნის ჩემპიონატში პოკერი მიითვალა.

აქამდე ასეთთა შორის ქართველი შოთა არველაძე („აიაქსი“) და უკრაინელი ანდრეი შევჩენკო („მილანი“) იყვნენ.

შოთამ ამსტერდამის „აიაქსში“ თამაშისას ორჯერ შეარსულა პოკერი — როტერდამის „სპარტასთან“ (9:0) და „პსვ ეინდჰოვენთან“ (5:0).

**ბახა ფალამბერიძე**

# აბრამიძე-აშვეთიას გოლაობა

**რუსეთის** მეორელიგელმა ბარნაულის „დინამომ“ თურქული შეკრება ამხანაგური მატჩით დაასრულა. ბარნაულელებმა 3:1 მოუგეს თურქეთის ქვედალიგელ გუნდს და აქედან ორი გოლი ქართული იყო — ვალერი აბრამიძემ და მიხეილ აშვეთიამ გამოიჩინეს თავი.

შეგახსენებთ, რომ ორივე ჩვენიანი დაახლოებით ერთი თვის წინ გადავიდა „დინამოში“.

**ოთარ მხეიძე**

## კვირის ქრონიკა

### ქართველობა ფინალში

**დავით ოდიკაძის** და რატი ალექსიძის „დიორ ეტო“ უნგრეთის თასის ფინალში გავიდა. დიორელებმა სტუმრად 2:2 ითამაშეს მტკ-სთან, შინ კი 2:1 ჰქონდათ მოგებული.

ოდიკაძე მწვრთნელმა მე-80 წუთზე შეცვალა, ალექსიძე კი სათადარიგო გახლდათ.

„დიორ ეტოს“ მეტოქე ფინალში „ჰონვედი“ იქნება.

### სამი წინ, ერთი შინ

**„მოსკვამ“** 2:1 დაამარცხა „ტომი“ და რუსეთის თასის ნახევარფინალში დავით კვირკველიას, ლაშა სალუქვაძის და ნუკრი რევიშვილის „რუბინს“ შეხვდება.

„ტომთან“ მატჩში მოსკოველთა ქართველმა მცველმა გია გრიგალავამ სრულად ითამაშა.

რაც შეეხება კიდევ ერთ ქართველს — დავით მუჯირის „ლოკომოტივი“ ცსკა-სთან 0:1 დამარცხდა და თასს გამოეთიშა.

მუჯირი 77-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

### ტატანაშვილი უთასოდ

**ჩეხეთის** თასს ერთადერთი ქართველი, დიმიტრი ტატანაშვილი გამოაკლდა.

ჩვენებურის „ვიქტორია პლზენი“ შინ 0:3 განადგურდა პრაღის „სპარტასთან“.

ტატანაშვილი შესვენების შემდეგ ჩაერთო თამაშში, თუმცა გუნდის გადარჩენა ვეღარ მოახერხა...



# აბრამოვიჩმა კოკოითს ხელი და ფული გაუწოდა

## ბინძურმა ინტერესებმა ფეხბურთიც დაიპყრო

სამხრეთ ოსეთში ფეხბურთის განვითარებას რომან აბრამოვიჩის ფონდი მიხედავს!

ეს ინფორმაცია რუსულმა სააგენტოებმა გაავრცელეს და, ბუნებრივია, უყურადღებოდ ვერ დავტოვებდით.

სეპარატისტები ყველანაირად ცდილობენ, რუსეთთან კავშირები გააღრმავონ და ამაში უკვე სპორტსაც იყენებენ.

სამხრეთ ოსეთის ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობისა და ცხინვალის სტადიონის შესასწავლად მოსკოვიდან უკვე ჩავიდა კიდეც მილიარდერ აბრამოვიჩის დელეგაცია — რუსეთის ფეხბურთის ნაციონალური აკადემიის ხელმძღვანელმა ნიკოლაი სოკოლოვმა დეტალურად დაათვალიერა ედუარდ კოკოითის სამფლობელო. .

„აბრამოვიჩის ფონდი მოსკოვში 2004 წლიდან ფუნქციონირებს. ეს ფონდი მნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსული ფეხბურთის განვითარებაში. ამ წლების განმავლობაში უამრავი საქმე გავაკეთეთ — მწვრთნელებისა და მსაჯების მომზადება, ინფრასტრუქტურის განვითარება... ბევრი ლიტერატურა გვაქვს რუსულ ენაზე გადმოთარგმნილი და ამ ყველაფერს ჩვენს ოს მეგობრებსაც არ დავამალით. ჩვენ მზად ვართ, სამხრეთ ოსეთის ფეხბურთს დავეხმაროთ" — განუცხადა სოკოლოვმა ჟურნალისტებს.

გადაწყვეტილია ისიც, რომ მალე რუსეთის ფეხბურთის განვითარების ფონდსა და სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთს შორის ოფიციალურად გაფორმდება თანამშრომლობა და სოკოლოვის თქმით, დახმარება ამის მერე უფრო სერიოზულ სახეს მიიღებს...

**ბახა შალამბერიძე**

# კრასნოჟანს ლოკომოტივში ქართველები მიჰყავსო

## ვისთვის ჭირი და ვისთვის...



რუსული პრესის ვარაუდით, ნალჩიკის „სპარტაკის" თავკაცი იური კრასნოჟანი მოსკოვის „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნება და ამ გუნდში თან რამდენიმე შეგირდსაც წაიყვანს — მათ შორის დასახელდნენ ალექსანდრე ამისულაშვილი, გოგიტა გოგუა და ჩერნოგორიელი მიროსლავ ჯუდოვიჩი.

საინტერესო ცნობაა, თუმცა ჯერჯერობით კრასნოჟანი ყველაფერს უარყოფს — „ლოკომოტივთან" მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებ და ეს ჭორიაო.

მოკლედ, დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ის კი ფაქტია, რომ რკინიგზელები დაუძლურებულ რაშიდ რახიმოვს დღე-დღეზე მიუთითებენ კარისკენ და...

**ბახა შალამბერიძე**

# ბარაბაძე გოლით დაბრუნდა



დანიური ჰიკ-ის ქართველმა თავდამსხმელმა მიხეილ ბარაბაძემ ტრავმა მოირჩინა და გუნდს დაუბრუნდა.

ბარაბაძეს მუხლის მყესები ჰქონდა დაჭიმული და კარგა ხნის განმავლობაში მკურნალობდა.

20 წლის ქართველი ფეხბურთელის მოედანზე დაბრუნება კი იღბლიანი გამოდგა — ჰიკ-ი 2:3 აგებდა მეორე ლიგის ლიდერ „სლაგელსესთან" და შეცვლაზე შესულმა ბარაბაძემ ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

ადრეც ვწერდით, მას დანიაში კარგი პრესა აქვს და ალბათ მალე უკეთეს კლუბში გადავაო — ჩანს, ეს სეზონის დასრულებისთანავე მოხდება და ვნახოთ, რომელ გუნდს აირჩევს ჩვენიანი...

**ოთარ მხეიძე**

# სპარტაკს ანანიძის გოლი აღარ ეყო



რუსეთის დუბლების ჩემპიონატში მოსკოვის „სპარტაკის" ახალგაზრდული გუნდი ყაზანის „რუბინს" ესტუმრა და უცნაური ანგარიშით, 4:5 დამარცხდა.

მოსკოველთა ქართველი თავდამსხმელი ჯანიკო ანანიძე ბოლო წუთზე გატანილი ერთი გოლით გამოირჩა.

16 წლის ანანიძემ, ვინაც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრია, სრულად ითამაშა.

**ოთარ მხეიძე**

# მეორე ლიგა

## აღმოსავლეთი

ამერი 2 1:0 ლიახვი
35-ე სკოლა 0:4 იბსუ
ლოკომოტივი 2 6:0 იმედი
დუშეთი 3:0 არაგველები
სამგორი 6:0 ერთობა
ბორჯომი 2 0:3 ალგეთი
ჰერეთი 2 2:3 გარეჯი
ზოოვეტი 2:0 ალაზანი
ნ. დინამო 2 0:3 სპარტაკი 2
არაგველები 0:2 ლოკომოტივი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 26 | 17 | 4 | 5 | 63:28 | 55 |
| ამერი 2 | 25 | 16 | 3 | 6 | 48:19 | 51 |
| სპარტაკი 2 | 25 | 15 | 5 | 5 | 62:28 | 50 |
| დუშეთი | 25 | 15 | 4 | 6 | 49:28 | 49 |
| იბსუ | 25 | 15 | 2 | 8 | 58:37 | 47 |
| გარეჯი | 25 | 14 | 4 | 7 | 43:26 | 46 |
| ლიახვი | 25 | 13 | 4 | 8 | 47:36 | 43 |
| 35-ე სკოლა | 25 | 13 | 4 | 8 | 48:40 | 43 |
| სამგორი | 25 | 10 | 6 | 9 | 56:39 | 36 |
| ალგეთი | 25 | 9 | 4 | 12 | 34:53 | 31 |
| იმედი (რ) | 25 | 8 | 7 | 10 | 33:42 | 31 |
| ჰერეთი 2 | 25 | 9 | 3 | 13 | 44:41 | 30 |
| არაგველები | 26 | 8 | 6 | 12 | 30:39 | 30 |
| ერთობა | 25 | 7 | 2 | 16 | 29:65 | 23 |
| ზოოვეტი | 25 | 6 | 5 | 14 | 29:50 | 23 |
| ბორჯომი 2 | 25 | 7 | 1 | 17 | 23:58 | 22 |
| ალაზანი | 25 | 6 | 3 | 16 | 19:42 | 21 |
| ნ. დინამო 2 | 25 | 3 | 3 | 19 | 17:61 | 12 |

## დასავლეთი

მერანი (მ) 0:0 მერცხალი
იმერეთი 2:0 კოლხეთი 2
ბაია 2 2:0 სამტრედია 2
ადელი 3:1 ნორჩი ტორპედო
გურია 2 1:1 მარგვეთი
სქური 1:1 ტორპედო 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 18 | 13 | 5 | 0 | 34:11 | 44 |
| ბაია 2 | 18 | 10 | 5 | 3 | 37:17 | 35 |
| კოლხეთი 2 | 18 | 10 | 2 | 6 | 29:19 | 32 |
| მერანი 2 (მ) | 17 | 9 | 3 | 5 | 26:18 | 30 |
| იმერეთი | 17 | 9 | 1 | 7 | 24:20 | 28 |
| სამტრედია 2 | 18 | 8 | 3 | 7 | 21:20 | 27 |
| გურია 2 | 18 | 6 | 3 | 9 | 30:31 | 21 |
| ტორპედო 2 | 16 | 6 | 3 | 7 | 26:30 | 21 |
| მარგვეთი | 17 | 5 | 5 | 7 | 18:26 | 20 |
| ადელი | 17 | 5 | 4 | 9 | 23:28 | 19 |
| ნ. ტორპედო | 18 | 5 | 2 | 11 | 15:25 | 17 |
| სქური | 18 | 5 | 2 | 11 | 20:32 | 17 |
| ჭიათურა 2 | 17 | 4 | 0 | 13 | 17:43 | 12 |

„ჭიათურა 2" მოხსნილია გათამაშებიდან

# სამხრეთ ოსეთის ჩემპიონატი

## 1992-93-წლიანები

### I ჯგუფი

მეტალურგი 0:2 XXI საუკუნე-1
განთიადი 3:0 სასკო
ბერმუხა 2:2 გედა
მთ. გლობუსი 0:2 XXI საუკუნე-3
ნ. დინამო 3:2 35-ე სკოლა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განთიადი | 14 | 10 | 2 | 2 | 47:13 | 32 |
| XXI საუკუნე-1 | 14 | 10 | 1 | 3 | 48:25 | 31 |
| გედა | 14 | 9 | 4 | 1 | 39:11 | 31 |
| ბერმუხა | 14 | 8 | 2 | 4 | 40:22 | 26 |
| ნ. დინამო | 14 | 8 | 1 | 5 | 39:31 | 25 |
| მეტალურგი | 14 | 6 | 3 | 5 | 31:22 | 21 |
| 35-ე სკოლა | 14 | 6 | 0 | 8 | 37:47 | 18 |
| სასკო | 14 | 3 | 1 | 10 | 20:39 | 10 |
| XXI საუკუნე-3 | 14 | 3 | 0 | 11 | 20:41 | 9 |
| მთ. გლობუსი | 14 | 0 | 0 | 14 | 14:84 | 0 |

### II ჯგუფი

ერთობა 2:0 ოლიმპიკი
იმედი 3:0 XXI საუკუნე-2
თეთრი არწივი 0:2 სკალდი
ნ. დინამო 2 1:2 შავნაბადა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი (რ) | 13 | 11 | 1 | 1 | 44:10 | 34 |
| ერთობა | 12 | 7 | 2 | 3 | 31:17 | 23 |
| სკალდი | 12 | 7 | 1 | 4 | 22:24 | 22 |
| ნ. დინამო | 12 | 6 | 2 | 4 | 33:16 | 20 |
| შავნაბადა | 13 | 6 | 2 | 5 | 26:24 | 20 |
| თეთრი არწივი | 13 | 6 | 1 | 6 | 27:25 | 19 |
| XXI საუკუნე-2 | 12 | 4 | 1 | 7 | 13:22 | 13 |
| გეორგია | 12 | 1 | 3 | 8 | 9:30 | 6 |
| ოლიმპიკი | 13 | 0 | 3 | 10 | 11:48 | 3 |

## 1994-წლიანები

ნ. დინამო 2 2:3 განთიადი
ნ. დინამო 1 3:0 ავაზა
35-ე სკოლა-1 3:0 აიაქსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გედა | 17 | 14 | 1 | 2 | 78:18 | 43 |
| განთიადი | 17 | 14 | 1 | 2 | 40:15 | 43 |
| იმედი (რ) | 15 | 13 | 0 | 2 | 42:9 | 39 |
| ნ. დინამო-1 | 17 | 11 | 1 | 5 | 43:25 | 34 |
| ლომები | 17 | 8 | 3 | 6 | 39:31 | 27 |
| ავაზა | 17 | 8 | 1 | 8 | 34:30 | 25 |
| შევარდენი (რ) | 16 | 7 | 4 | 5 | 30:21 | 25 |
| ნ. დინამო-2 | 16 | 7 | 4 | 5 | 36:33 | 25 |
| XXI საუკუნე | 17 | 7 | 4 | 6 | 28:27 | 25 |
| 35-ე სკოლა-1 | 17 | 6 | 0 | 11 | 27:49 | 18 |
| იმედი (თბ) | 17 | 2 | 1 | 14 | 21:65 | 7 |
| 35-ე სკოლა-2 | 17 | 1 | 0 | 16 | 26:68 | 3 |
| აიაქსი | 18 | 1 | 0 | 17 | 7:60 | 3 |

## 1995-წლიანები

მეტეხი-4 14:2 იმედი
მეტეხი-3 1:2 იბერია-ამერი
ნ. დინამო-3 11:1 35-ე სკოლა
35-ე სკოლა-2 0:8 ნ. დინამო-1
35-ე სკოლა-1 4:1 ნ. დინამო-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო-1 | 16 | 14 | 2 | 0 | 80:14 | 44 |
| ნ. დინამო-3 | 16 | 14 | 1 | 1 | 77:6 | 43 |
| ოლიმპიკი | 15 | 11 | 0 | 4 | 42:14 | 33 |
| მეტეხი-4 | 15 | 9 | 2 | 4 | 57:32 | 29 |
| იბერია-ამერი | 15 | 9 | 0 | 6 | 48:33 | 27 |
| ნ. დინამო-2 | 15 | 8 | 0 | 7 | 29:37 | 24 |
| მეტეხი-3 | 16 | 4 | 1 | 11 | 30:47 | 13 |
| იმედი | 16 | 4 | 1 | 11 | 27:66 | 13 |
| 35-ე სკოლა | 15 | 4 | 0 | 11 | 19:68 | 12 |
| 35-ე სკოლა-1 | 16 | 2 | 1 | 13 | 25:71 | 7 |
| 35-ე სკოლა-2 | 15 | 2 | 0 | 13 | 12:58 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა — 27 ტური

### აღმოსავლეთი

**ამერი 6:1 კახეთი**

1:0 ტიკურიშვილი (8), 2:0 ჩიმაკაძე (15), 3:0 ლ. ნადირაშვილი (21პ), 4:0, 5:0, 6:0 ჯანელიძე (25, 36, 50), 6:1 ტეტიაშვილი (76)

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, გ. ნადირაშვილი (თ. სანიკიძე 46), ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე (მელიქიშვილი 52), ბენდელიანი, სუხიაშვილი, ტიკურიშვილი, დ. ჯანელიძე (ნ. ქებაძე 55), ჩიმაკაძე

*სათადარიგონი:* გვენცაძე, ლაფერაშვილი, ცხოვრებაშვილი, ბოჯგუა

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

**კახეთი:** კობრიაშვილი, ხამხაძე (ჭურღულაშვილი 71), ნინიკელაშვილი (მეგუთენიშვილი 41), ტარუღაშვილი, ლ. აბდულაევი, ხუციშვილი (ხუროშვილი 70), ზურაბაშვილი, იმერლიშვილი, გენგაშვილი, ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი

*სათადარიგო:* ბორჩაშვილი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

გაფრთხილება: აბდულაევი

მსაჯი: თ. გვანცელაძე

**თბილისი 2:2 სიონი 2**

1:0 ჯაში (60), 1:1 ოქროპირიძე (67), 1:2 გიგინეიშვილი (85), 2:2 ზვიადაძე (88)

**თბილისი:** გიორგობიანი, სარაჯიშვილი, ოდიშარია, ჭაფოძე, სებისკვერაძე, გურეშიძე, ხოხონიშვილი, კბილცეცხლაშვილი, ჯაში (გოგოხია 85), ბროლაძე (ზვიადაძე 65), ტორონჯაძე

*სათადარიგონი:* გედენიძე, დ. ამისულაშვილი, ი. დევდარიანი, შუშიაშვილი

მწვრთნელი: გელა გომელაური

**სიონი 2:** გურგენიძე, ლ. ჩხეტიანი, გიორბელიძე, პატარქალაშვილი, არღვლიანი, გაბრიჭიძე, ალფაიძე (გიგინეიშვილი 67), უგულავა, ბუბუტეიშვილი (კახნიაშვილი 67), უგრეხელიძე, ოქროპირიძე (ჯოხაძე 90)

*სათადარიგონი:* ბ. მესხი, გოგილაძე, ქობულაძე, რუსიეშვილი

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

გაფრთხილება: ხოხონიშვილი

მსაჯი: ხ. გაგნიძე

**ჩიხურა 2:2 ვიტ ჯორჯია 2**

1:0 კობახიძე (33), 1:1 ვასაძე (52), 1:2 სვანიძე (77), 2:2 კობახიძე (81პ)

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, დოლონაძე, ბარაბაძე, ცარციძე, ტყებუჩავა, ზ. ნოზაძე (ჭილლაძე 70), ლ. ჩიკვაიძე, ქამუშაძე (ზაბახიძე 59), დეკანოიძე (ბ. პეტრიაშვილი 63), მ. მიქაძე, კობახიძე

*სათადარიგონი:* ბეგაშვილი, ხვედელიძე, ენუქიძე, როგავა

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

**ვიტ ჯორჯია 2:** ა. მიქაბერიძე, ვეკუა, ადამაძე, კასრაძე, გამრეკლიძე, იოსელიანი, ზ. დათუნაშვილი (ფურცელაძე 46), ვასაძე, ზაქრაძე (ხოკერაშვილი 63), გ. ჯანელიძე, ი. სვანიძე (გოგიაშვილი 80)

*სათადარიგო:* ცხოვრებაძე, ღანიაშვილი, რუხაია, ღურბელეიშვილი

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: ჯანელიძე, მიქაბერიძე, ვასაძე

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

**დინამო 2 4:2 ჰერეთი**

1:0 სიხარულიძე (12), 2:0 კაკუბავა (17), 2:1 ფოფხაძე (32), 3:1 სიხარულიძე (61), 4:1 ჯოხაძე (74), 4:2 თაბუკაშვილი (80)

**დინამო 2:** ლოსაბერიძე, კეკელია, გეთიაშვილი, კაკუბავა (მამრაში 72) ჯიშკარიანი, ვ. ბოლქვაძე (მამუჩიშვილი 63), ქავთარაძე, ჩადუნელი, გ. ჯოხაძე, ქანთარია (მინდორაშვილი 59), სიხარულიძე

*სათადარიგონი:* ნადირაძე, გ. ჩიკვაიძე, ზ. ლობჟანიძე, კოპაძე

მწვრთნელი: დავით კეკლიშვილი

**ჰერეთი:** ყალიაშვილი, აბაშიძე, წვერავა, მაჭარაშვილი, ხარაიშვილი, ოქრუაშვილი, თაბუკაშვილი, თანდაშვილი, რეხვიაშვილი, ბ. ფოფხაძე (ვ. კურტანიძე 60), ბილიხოძე

*სათადარიგონი:* ჯ. კურტანიძე, გვარაძე

მოთამაშე-მწვრთნელი: კარლო წვერავა

გაფრთხილება: სიხარულიძე, აბაშიძე, მაჭარაშვილი

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

**ნორჩი დინამო — გაგრა 2**

**გადაიდო**

### XXVIII ტური

26 აპრილი

ჰერეთი 3:1 თბილისი

ვიტ ჯორჯია 2 0:1 ამერი

გაგრა 2 3:1 დილა

სიონი 2 1:4 დინამო 2

კახეთი 0:3 ჩიხურა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 26 | 19 | 5 | 2 | 51:12 | 62 |
| ჩიხურა | 25 | 15 | 7 | 3 | 46:16 | 52 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 25 | 15 | 6 | 4 | 41:11 | 51 |
| დინამო 2 | 25 | 14 | 8 | 3 | 49:20 | 50 |
| დილა | 25 | 9 | 8 | 8 | 33:25 | 35 |
| თბილისი | 26 | 10 | 4 | 12 | 41:41 | 34 |
| სიონი 2 | 26 | 7 | 6 | 13 | 30:57 | 27 |
| გაგრა 2 | 25 | 7 | 3 | 15 | 34:51 | 24 |
| ჰერეთი | 25 | 4 | 8 | 13 | 25:51 | 20 |
| კახეთი | 26 | 3 | 6 | 17 | 17:56 | 15 |
| ნ. დინამო | 24 | 2 | 7 | 15 | 23:50 | 13 |

### XXIX ტური

30 აპრილი

დილა – ჰერეთი

ვიტ ჯორჯია 2 – გაგრა 2

ნორჩი დინამო – სიონი 2

ჩიხურა – თბილისი

ამერი – დინამო 2

### დასავლეთი

**სამტრედია 6:1 კოლხეთი**

1:0 ჯიქიძე (35), 2:0 თ. შალიკაშვილი (48), 3:0 ბეგოიძე (74), 4:0 ხაჭიპერაძე (77), 4:1 წიქარიშვილი (85პ), 5:1 ხაჭიპერაძე (89), 6:1 ჯიქიძე (90)

**სამტრედია:** ი. შენგელია, გოგია, თ. შალიკაშვილი, ძაგანია, კირთაძე, გუბელაძე, ბაკურაძე (ბეგოიძე 68), ბოხუა (თელია 75), ეცადეიშვილი (ადეიშვილი 67), ჯიქიძე, ხაჭიპერაძე

*სათადარიგონი:* გიორგაძე, სალდაძე, დარჯანია, მუკბანიანი

მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

**კოლხეთი:** გ. შენგელია, გეგელია, ცხვიტარია, ლვანია, გელაჭეიშვილი, აბურჯანია, გულუა (ვახანია 68), გვალია (ჯახია 75), გვიჩია, გოგნაძე (შ. გაბუნია 58), წიქარიშვილი

*სათადარიგონი:* ჩემია, ლორია

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: თ. შალიკაშვილი, გელაჭეიშვილი, წიქარიშვილი, გოგნაძე

გაძევება: გელაჭეიშვილი

მსაჯი: ი. ურუშაძე

**ბაია 5:0 გურია**

1:0 წურწუმია (34პ), 2:0 ეხვაია (56), 3:0 პაჭკორია (65), 4:0 ვართაგავა (69), 5:0 პაჭკორია (87)

**ბაია:** ზარქუა, კვეკვესკირი, პაჭკორია, გ. ჟვანია (კ. შონია 72), ძალამიძე, სიხარულია, ეხვაია, ვართაგავა (ნ. შონია 79), წურწუმია, ქირია (რაფავა 69), სვირავა

*სათადარიგონი:* ჯალაღონია, კუტალია, კაკუშაძე, აფაქიძე

მწვრთნელი: ელგუჯა ქომეთიანი

**გურია:** კეკელიძე, ლ. ჯორბენაძე, გოგიბერიძე, იმნაიშვილი, ქურიძე, კილაძე, კუკულაძე, წილოსანი (ს. ურუშაძე 61), შენირული (ლ. ციკოლია 76), ჯაყელი (უგლავა 64), მგელაძე

*სათადარიგო:* გოგუაძე

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

გაფრთხილება: ჯორბენაძე, ჯაყელი

მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

**ბათუმი 2:2 ზესტაფონი 2**

1:0 თედორაძე (4), 2:0 ტულუში (28), 2:1 კაკალაძე (34), 2:2 ბერიძე (47)

**ბათუმი:** თოთლაძე, სამსეიშვილი, ფარტენაძე, ბ. თედორაძე, რამიშვილი, ზ. ლობჟანიძე, ბ. მახარაძე (მალაზონია 50), გ. გრიგალაშვილი (გ. გოგიტიძე 88), დემურაძე, მ. ჯორბენაძე (ლ. კალანდაძე 54), ტულუში

*სათადარიგონი:* მამეიშვილი, მერაბიშვილი, ზოიძე, მამინაშვილი

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

**ზესტაფონი 2:** მეშველიანი, კაჭკაჭიშვილი, კვესიეშვილი, ბერუაშვილი, კაკალაძე, ც. ბუკია, ხიხაძე, ბერიძე, ხვადაგიანი (ჯულელი 46), ჭანკოტაძე (ხაჩიძე 78), კირკიტაძე

*სათადარიგონი:* ძაძამია, არეშიძე, ლაბაძე, კვიკვინია

მწვრთნელი: მალხაზ ლონლაძე

გაფრთხილება: ტულუში, კაჭკაჭიშვილი, ჯულელი

მსაჯი: კ. ჭაჭუა

**ტორპედო 2008 1:0 მერანი (მ)**

1:0 ხარებავა (9)

**ტორპედო 2008:** მიგინეიშვილი, ვაჩიბერაძე, ხარებავა, ბიბილაშვილი, ჭანკვეტაძე, ჩხარტიშვილი (ლ. კირკიტაძე 56), ლომაშვილი (ცაგარეიშვილი 73), ჩხეტიანი, ჩიხლაძე (ხაბურძანია 77), ზ. ქუთათელაძე, იმედაძე

*სათადარიგონი:* კუჭუხიძე, ნუცუბიძე, გურული

მწვრთნელი: იასონ ბზიკაძე

**მერანი (მ):** ქვილითაია, ფარცვანია, ჩხიკვაძე (ო. ტორაძე 84), იობაშვილი, ლომიძე, ილურიძე, პაპადოპულოსი, ჩომახიძე, ჩალაძე, ციცხვაია (ლ. ტორაძე 46), ძველაია (წოწორია 65)

*სათადარიგონი:* დ. თოდუა, ნოზაძე, შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: ჩხარტიშვილი, ვაჩიბერაძე, იობაშვილი

მსაჯი: მ. ურუშაძე

**ხობი 0:2 ჭიათურა**

0:1 ტყემალაძე (41), 0:2 ლაშხი (59)

**ხობი:** ჭურღულია, მ. შონია, ა. კვირკველია, გ. გოგენია, ჩაჩიბაია, ალანია, ლეფსაია, კ. გოგენია (ლატარია 58), ფირცხელავა, წულაია (ლ. თოდუა 58), გაგუა

*სათადარიგონი:* გელაშვილი, ჩიტაია, ლ. გოგენია, ჩარგაზია, ცობეხია

მწვრთნელი: ლევან ნოდია

**ჭიათურა:** ბადურაშვილი, გაფრინდაშვილი, სამხარაძე, ბრეგვაძე, ცუცქირიძე, ვაშაძე, ნ. ტყემალაძე, შეყილაძე, თემირ მიშველიძე, სევასტოპულო, ლაშხი (ბარათაშვილი 80)

*სათადარიგონი:* ტატაშიძე, რობაქიძე, ასანიძე, დარბაიძე

მწვრთნელი: დავით იობაშვილი

გაფრთხილება: გაგუა, ვაშაძე

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

### XXVIII ტური

26 აპრილი

მერანი (მ) 2:1 ბაია

ზესტაფონი 2 0:2 სამტრედია

ჭიათურა 1:0 მეშახტე

გურია 1:1 ტორპედო

კოლხეთი 0:0 ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 26 | 19 | 2 | 5 | 53:20 | 59 |
| ბაია | 26 | 17 | 5 | 4 | 51:16 | 56 |
| მერანი (მ) | 25 | 15 | 6 | 4 | 35:19 | 51 |
| კოლხეთი | 26 | 10 | 6 | 10 | 34:34 | 36 |
| ჭიათურა | 26 | 11 | 2 | 13 | 34:39 | 35 |
| ტორპედო | 25 | 10 | 3 | 12 | 25:20 | 33 |
| ხობი | 25 | 10 | 3 | 12 | 26:39 | 33 |
| ბათუმი | 25 | 8 | 6 | 11 | 28:37 | 30 |
| გურია | 26 | 8 | 5 | 13 | 33:45 | 29 |
| ზესტაფონი 2 | 25 | 6 | 6 | 13 | 24:35 | 24 |
| მეშახტე | 25 | 2 | 4 | 19 | 14:53 | 10 |

### XXIX ტური

30 აპრილი

მეშახტე – მერანი (მ)

ზესტაფონი 2 – ჭიათურა

ხობი – გურია

ბათუმი – ბაია

სამტრედია – ტორპედო

# ელიტ-ლიგა

### 1992-წლიანები

ამერი-2 1:1 შევარდენი

ნ. დინამო 0:2 ქართლი

აკადემია 0:5 დინამო

აკადემია-92 1:4 იმედი

ავაზა 5:2 თბილისი

ამერი 1:1 ოლიმპიკი

35-ე სკოლა 6:1 გარეჯი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 17 | 1 | 1 | 77:9 | 52 |
| ქართლი | 18 | 12 | 5 | 1 | 40:16 | 41 |
| ამერი | 19 | 12 | 4 | 3 | 42:15 | 40 |
| ნ. დინამო | 19 | 11 | 2 | 6 | 42:30 | 35 |
| ავაზა | 18 | 11 | 1 | 6 | 42:24 | 34 |
| 35-ე სკოლა | 19 | 10 | 2 | 7 | 39:23 | 32 |
| თბილისი | 19 | 8 | 4 | 7 | 37:29 | 28 |
| ოლიმპიკი | 19 | 7 | 6 | 6 | 28:28 | 27 |
| იმედი | 19 | 6 | 2 | 11 | 28:43 | 20 |
| შევარდენი | 19 | 5 | 5 | 9 | 25:33 | 20 |
| გარეჯი | 18 | 5 | 3 | 10 | 22:48 | 18 |
| აკადემია-92 | 19 | 4 | 2 | 13 | 20:47 | 14 |
| ამერი-2 | 18 | 3 | 2 | 13 | 21:56 | 11 |
| აკადემია | 19 | 0 | 1 | 18 | 8:70 | 1 |

### 1993-წლიანები

ვეფხვები 0:3 შევარდენი

ვეფხვები-2 1:2 ოლიმპიკი

საბურთალო 2:1 მთ. გლობუსი

35-ე სკოლა-3 1:1 ამერი

იმედი 1:0 აკადემია-2

ავაზა 7:0 35-ე სკოლა-2

ნ. დინამო-2 1:8 ნ. დინამო-1

35-ე სკოლა-4 — 35-ე სკოლა-1 გად.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო-1 | 19 | 17 | 1 | 1 | 90:10 | 52 |
| აკადემია-1 | 18 | 15 | 0 | 3 | 60:26 | 45 |
| შევარდენი | 19 | 13 | 4 | 2 | 44:19 | 43 |
| 35-ე სკოლა-1 | 18 | 12 | 3 | 3 | 55:22 | 39 |
| ავაზა | 18 | 12 | 1 | 5 | 50:22 | 37 |
| ოლიმპიკი | 19 | 11 | 4 | 4 | 49:20 | 37 |
| საბურთალო | 19 | 9 | 5 | 5 | 42:23 | 32 |
| მთ. გლობუსი | 18 | 7 | 5 | 6 | 44:31 | 26 |
| 35-ე სკოლა-2 | 19 | 5 | 5 | 9 | 32:48 | 20 |
| ნ. დინამო-2 | 18 | 5 | 4 | 9 | 30:37 | 19 |
| ამერი | 17 | 5 | 3 | 9 | 21:38 | 18 |
| ვეფხვები-2 | 19 | 4 | 5 | 10 | 20:31 | 17 |
| 35-ე სკოლა-4 | 18 | 4 | 3 | 11 | 15:34 | 15 |
| აკადემია-2 | 19 | 4 | 3 | 12 | 23:58 | 15 |
| იმედი | 19 | 4 | 2 | 13 | 20:61 | 14 |
| ვეფხვები | 18 | 3 | 2 | 13 | 22:63 | 11 |
| 35-ე სკოლა-3 | 19 | 1 | 2 | 16 | 20:94 | 5 |

### 1994-წლიანები

I ჯგუფი

ამერი 1:1 აკადემია

საბურთალო 7:7 ვეფხვები

35-ე სკოლა-1 2:1 აკადემია-1

ნ. დინამო-1 0:0 ლოკომოტივი

ავაზა 3:0 თბილისი-2

ერთობა — 35-ე სკოლა-3 დღეს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 17 | 15 | 2 | 0 | 83:4 | 47 |
| 35-ე სკოლა-1 | 16 | 14 | 1 | 1 | 54:12 | 43 |
| ნ. დინამო-1 | 18 | 13 | 2 | 3 | 44:11 | 41 |
| საბურთალო | 17 | 10 | 2 | 5 | 53:40 | 32 |
| ამერი | 18 | 10 | 1 | 7 | 36:25 | 31 |
| აკადემია | 18 | 7 | 7 | 4 | 27:26 | 28 |
| თბილისი-2 | 18 | 8 | 2 | 8 | 32:40 | 26 |
| ვეფხვები | 17 | 5 | 5 | 7 | 31:45 | 20 |
| 35-ე სკოლა-3 | 17 | 4 | 2 | 11 | 24:41 | 14 |
| ავაზა | 18 | 3 | 1 | 14 | 21:69 | 10 |
| ერთობა | 15 | 1 | 1 | 13 | 9:37 | 4 |
| აკადემია-1 | 17 | 0 | 0 | 17 | 5:69 | 0 |

II ჯგუფი

35-ე სკოლა-2 3:0 ნ. დინამო-2

ამერი-2 2:3 შევარდენი

გორი 0:2 იმედი

35-მეტეხი 0:2 აკადემია-94

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 14 | 13 | 0 | 1 | 37:11 | 39 |
| აკადემია-94 | 15 | 11 | 2 | 2 | 39:12 | 35 |
| იმედი | 13 | 10 | 0 | 3 | 43:14 | 30 |
| თბილისი-1 | 13 | 8 | 4 | 1 | 36:11 | 28 |
| ოლიმპიკი | 14 | 7 | 3 | 4 | 26:16 | 24 |
| 35-მეტეხი | 16 | 5 | 1 | 10 | 26:35 | 16 |
| ვეფხვები-2 | 14 | 4 | 4 | 6 | 22:33 | 16 |
| 35-ე სკოლა-2 | 16 | 5 | 0 | 11 | 24:56 | 15 |
| გორი | 13 | 3 | 1 | 9 | 15:32 | 10 |
| ამერი-2 | 13 | 2 | 2 | 9 | 17:30 | 8 |
| ნ. დინამო-2 | 15 | 1 | 1 | 13 | 10:45 | 4 |

### 1995-წლიანები

ნ. დინამო 3:0 აკადემია-1

საბურთალო 0:6 ავაზა-2

35-ე სკოლა-3 0:6 აკადემია-95

ჰერეთი 3:0 ავაზა-1

35-ე სკოლა-2 0:6 35-ე სკოლა-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 15 | 13 | 0 | 2 | 64:5 | 39 |
| აკადემია-95 | 15 | 11 | 1 | 3 | 50:11 | 34 |
| აკადემია-1 | 15 | 10 | 0 | 5 | 26:13 | 30 |
| ავაზა-2 | 15 | 10 | 0 | 5 | 35:26 | 30 |
| ჰერეთი | 15 | 7 | 3 | 5 | 27:32 | 24 |
| საბურთალო | 15 | 7 | 2 | 6 | 44:36 | 23 |
| 35-ე სკოლა-1 | 15 | 7 | 1 | 7 | 43:35 | 22 |
| ავაზა-1 | 15 | 3 | 0 | 12 | 18:39 | 9 |
| 35-ე სკოლა-2 | 15 | 2 | 1 | 12 | 13:67 | 7 |
| 35-ე სკოლა-3 | 15 | 0 | 2 | 13 | 18:74 | 2 |

### 1996-წლიანები

აკადემია-1 3:1 ამერი

აკადემია-2 0:1 ოლიმპი

ოლიმპიკი 0:1 ჩემპიონი

ლოკომოტივი 3:3 ვეფხვები-1

ნ. დინამო-2 6:1 ვეფხვები-2

ნ. დინამო-1 1:2 35-ე სკოლა

საბურთალო 3:3 შევარდენი

იმედი 1:3 გორი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გორი | 18 | 15 | 2 | 1 | 62:19 | 47 |
| 35-ე სკოლა | 19 | 14 | 5 | 0 | 78:16 | 47 |
| ჩემპიონი | 19 | 13 | 3 | 3 | 74:31 | 42 |
| ოლიმპი | 20 | 13 | 1 | 6 | 65:18 | 40 |
| ოლიმპიკი | 20 | 12 | 3 | 5 | 51:24 | 39 |
| აკადემია-1 | 20 | 11 | 4 | 5 | 58:35 | 37 |
| ვეფხვები-1 | 20 | 9 | 4 | 7 | 59:34 | 31 |
| ნ. დინამო-1 | 20 | 9 | 4 | 7 | 76:53 | 31 |
| ამერი | 20 | 8 | 5 | 7 | 45:51 | 29 |
| თბილისი | 17 | 9 | 1 | 7 | 38:30 | 28 |
| შევარდენი | 19 | 8 | 4 | 7 | 34:25 | 28 |
| იმედი | 20 | 6 | 0 | 14 | 34:56 | 18 |
| აკადემია-2 | 20 | 4 | 5 | 11 | 37:56 | 17 |
| საბურთალო | 20 | 4 | 3 | 13 | 37:83 | 15 |
| ლოკომოტივი | 20 | 3 | 4 | 13 | 32:62 | 13 |
| ვეფხვები-2 | 20 | 2 | 0 | 18 | 8:114 | 6 |
| ნ. დინამო-2 | 20 | 1 | 2 | 17 | 34:117 | 5 |

### 1997-წლიანები

35-ე სკოლა-1 3:4 საბურთალო

ნ. დინამო-3 3:5 ნ. დინამო-1

აკადემია 3:0 ამერი

ნ. დინამო-2 0:9 ლოკომოტივი

თბილისი-1 9:5 თბილისი-2

ავაზა 3:3 35-ე სკოლა-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი-1 | 17 | 16 | 0 | 1 | 87:20 | 48 |
| 35-ე სკოლა-2 | 16 | 11 | 3 | 2 | 47:16 | 36 |
| ავაზა | 16 | 8 | 4 | 4 | 34:24 | 28 |
| ლოკომოტივი | 16 | 8 | 3 | 5 | 53:31 | 27 |
| იმედი (თბ) | 15 | 8 | 3 | 4 | 39:27 | 27 |
| ნ. დინამო-1 | 17 | 8 | 2 | 7 | 49:51 | 26 |
| საბურთალო | 16 | 7 | 1 | 8 | 40:40 | 22 |
| თბილისი-2 | 16 | 6 | 4 | 6 | 40:40 | 22 |
| 35-ე სკოლა-1 | 15 | 6 | 1 | 8 | 28:44 | 19 |
| აკადემია | 17 | 5 | 3 | 9 | 33:37 | 18 |
| ამერი | 17 | 3 | 3 | 11 | 18:62 | 12 |
| ნ. დინამო-3 | 15 | 2 | 2 | 11 | 21:37 | 8 |
| ნ. დინამო-2 | 17 | 2 | 1 | 14 | 29:89 | 7 |

### 1998-წლიანები

ლოკომოტივი 4:1 აკადემია

ნ. დინამო-1 2:1 ნ. დინამო-3

გორი 3:0 ავაზა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 14 | 10 | 1 | 3 | 50:22 | 31 |
| გორი | 13 | 9 | 3 | 1 | 38:20 | 30 |
| ავაზა | 14 | 8 | 0 | 6 | 31:31 | 24 |
| ნ. დინამო-1 | 13 | 7 | 3 | 3 | 33:23 | 24 |
| აკადემია | 14 | 7 | 1 | 6 | 29:25 | 22 |
| შევარდენი | 14 | 6 | 1 | 7 | 30:32 | 19 |
| ნ. დინამო-3 | 13 | 5 | 1 | 7 | 28:38 | 16 |
| ამერი | 13 | 3 | 1 | 9 | 27:41 | 10 |
| ნ. დინამო-2 | 14 | 0 | 1 | 13 | 3:47 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი



იმედი გვაქვს, შარშანდელი ჩემპიონი რუმინეთი ასე ველარ გაიხარებს

# მოდი, გავამართლოთ ვარაუდი!

**საქართველოს** 21-წლამდელთა ნაკრები პარასკევს ესპანეთში გაემგზავრა, სადაც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

შეჯიბრი 3 მაისს იწყება, იქამდე კი ახალგაზრდა ბორჯღალოსნები საკონტროლო მატჩსაც გამართავენ მადრიდის ნაკრებთან. ეს მატჩი 29 აპრილსაა დანიშნული.

ჩვენს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე სამი მატჩის ჩატარება მოუწევს. პირველ შეხვედრაში ესპანეთს დავუპირისპირდებით და თუ დავამარცხეთ, ნახევარფინალში რუსეთთან ან უკრაინასთან მოგვიწევს ჭიდილი. ხოლო თუ ფინალშიც გავედით, სავარაუდოდ, რუმინეთს გადავეყრებით. ყოველ შემთხვევაში, ვარაუდი ასეთია, რაკი საქართველო და რუმინეთი ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტებად ითვლებიან.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლოზ ჭავჭავაძემ ესპანეთში 26 მოთამაშე იახლა, რომელთაგან სამი ლეგიონერია. არჩილ კობაური ფრანგულ „მასში“ თამაშობს, გიორგი ტორაძე ფრანგულსავე „მორეკოში“, ხოლო ჯაბა კიკვიძე „ლონდონის“ მორაგბეა.

აქვე ნაკრების შემადგენლობას გაგაცნობთ, შუა სვეტში კი მოთამაშეთა ამპლუაა მოცემული.

**ოთარ მხეიძე**

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები**

| | | |
|---|---|---|
| ირაკლი მირცხულავა | 1 | ლელო |
| ლადო გუნიავა | 1 | თსუ |
| ვასილ კაკოვინი | 2 | თსუ |
| შალვა მამუკაშვილი | 2 | ყოჩები |
| გიორგი ჯამიტაშვილი | 3 | ხულიგანა |
| გიორგი ტორაძე | 3 | აია |
| ლექსო იორდანიშვილი | 4 | ლელო |
| ილია სურგულაძე | 5 | თსუ |
| ბექა ნიკოლაიშვილი | 5 | ყოჩები |
| დავით ჩიჩუა | 7 | ყოჩები |
| არჩილ კობაური | 6 | მასი |
| ვიქტორ კოლელიშვილი | 8 | ლელო |
| ჯაბა კიკვიძე | 8 | ლონდონი |
| გიორგი კალმახელიძე | 7 | ყოჩები |
| გიორგი როხვაძე | 9 | აია |
| შალვა მახარაშვილი | 9 | ყოჩები |
| ლაშა ხმალაძე | 10 | ლელო |
| გიორგი ლომინაძე | 10 | ლელო |
| ალექსანდრე ტუჩაშვილი | 11 | ლოკომოტივი |
| რატი ხუციშვილი | 11 | თსუ |
| დავით გრძელიშვილი | 12 | ყოჩები |
| რატი ნუცუბიძე | 12 | თსუ |
| გიგა კორკელია | 13 | ლელო |
| სანდრო ჩნაშვილი | 14 | ყოჩები |
| გოდერძი ჯოგლიძე | 15 | ლელო |
| გიგი გაბუნია | 15 | ყოჩები |

მთავრი მწვრთნელი: ნიკოლოზ ჭავჭავაძე, მწვრთნელი: სპირიდონ ლიპარტელიანი, მენეჯერი: ოთარ იაშვილი

**მეოთხედფინალი**
3 მაისი
**რუმინეთი — შვედეთი A**
**რუსეთი — უკრაინა B**
**საქართველო — ესპანეთი C**
**პორტუგალია — გერმანია D**

**სანუგეშო ნახევარფინალი**
3 მაისი
**A წაგებული — D წაგებული**
**B წაგებული — C წაგებული**

**ნახევარფინალი**
3 მაისი
**A მოგებული — D მოგებული**
**B მოგებული — C მოგებული**

**ფინალები**
9 მაისი

# ნაკლული ტური უსახური ანგარიშით

**ვინაიდან** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ ესპანეთში გაემგზავრა, ჩვენმა რაგბის კავშირმა ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი თავიდანვე ისე დაგეგმა, რომ მეორე ტურის ორი თამაში ივლისში უნდა ჩატარდეს. გადადებულია თსუ — „ყოჩებისა“ და „აია“ — „ლელოს“ მატჩები. ოთხივე გუნდიდან ბლომად მორაგბეები არიან სანაკრებოდ გამოძახებულნი.

შესაბამისად, წინა კვირაში ჩემპიონატის ორი თამაში ჩატარდა:

**აკადემია 3:0 რუსთავი**
**ბათუმი 18:28 ლოკომოტივი**

„სინათლეზე“ ჩატარებული თამაში რომ ვერაფერი ბენედა გამოდგა, ანგარიშიდანაც ჩანს. „აკადემიამ“ ერთადერთი ჯარიმით მოიგო და ამ მატჩში მეტი არც არაფერი მომხდარა.

ბათუმურ მატჩში კი ჩემპიონმა „ლოკომოტივმა“ პირველ ტურში განცდილი მწარე მარცხი გაითვალისწინა, უმაღლესი ლიგის ახალწვეულს მონდომებით ეთამაშა და ქულებიც აღარ დაკარგა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 2 | 2 | 0 | 0 | 32:17 | 4 |
| ლელო | 1 | 1 | 0 | 0 | 59:19 | 2 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 41:36 | 2 |
| რუსთავი | 2 | 1 | 0 | 1 | 18:16 | 2 |
| ყოჩები | 1 | 1 | 0 | 0 | 18:15 | 2 |
| აია | 1 | 0 | 0 | 1 | 15:18 | 0 |
| უნივერსიტეტი | 1 | 0 | 0 | 1 | 17:29 | 0 |
| ბათუმი | 2 | 0 | 0 | 2 | 37:87 | 0 |

**III ტური**
(16 მაისი)
**რუსთავი — ბათუმი**
**ყოჩები — აკადემია (შევარდენი)**
**ლელო — თსუ (სინათლე)**
**ლოკომოტივი — აია (სინათლე)**

ჭიდაობა

# ტაშკენტიდან ოქრო-ვერცხლით

**საქართველოს** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ტაშკენტიდან ოქრო-ვერცხლ-ბრინჯაოთი მკრედდამშვენებული დაბრუნდა.

საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 18 ქვეყნის ფალავნები მონაწილეობდნენ, 66 კგ-ში კობა კაკალაძემ უკრაინელი ლეონიდ ბაზანი დასცა და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

120 კგ-ში ალექსი მოდებაძე ფინალში რუს ბილილ მახოვთან დამარცხდა და ვერცხლი ერგო, ხოლო 96 კგ-ში ბელდუხ გავაშელიშვილმა ბრინჯაო მოინაგრა.

პირველადგილოსნებს სამ-სამ ათასი დოლარი მიართვეს, ვერცხლოსნებს 2000, ხოლო ბრინჯაოსნებს — 1000.

საქართველოს ნაკრები, რომელსაც დავით ხურცია წვრთნის, ტაშკენტში ასეთი შემადგენლობით იმყოფებოდა: მალხაზ ქურდიანი და მალხაზ ზარქუა (60 კგ), კობა კაკალაძე (66 კგ), გელა საღირაშვილი (74 კგ), ნიკო გაგნიძე (84), ბელდუხ გავაშელიშვილი და დავით ქერაშვილი (96 კგ), ალექსი მოდებაძე და დავით ოთიაშვილი (120 კგ).

**ოთარ მხეიძე**

კალათბურთი

# ბალტიის ლიგის ქართული ბრინჯაო

**გიორგი ცინცაძის** და ვიქტორ სანიკიძის „როკმა“ ბალტიის ლიგა მესამე ადგილზე დასრულა. ოთხთა ფინალში გასული ქართველების გუნდმა ნახევარფინალი „ჟალგირისთან“ დათმო (74:85), მერე კი მესამე ადგილისთვის მატჩში გაიმარჯვა — „რიგას“ 85:76 მოუგო.

მოგებულ თამაშში ქართველები ტრადიციულად გამოირჩნენ. ვიქტორ სანიკიძემ 12 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. არანაკლებ შედეგიანი გიორგი ცინცაძე გახლდათ, რომელმაც 15 ქულა, 8 მოხსნა და 6 პასი მოაგროვა.

ჩემპიონი „ლიეტუვოს რიტასი“ გახდა, რომელმაც „ჟალგირისს“ ფინალში 97:74 მოუგო.

**ირაკლი ნინიძე**

პლაჟის ფრენბურთი

# ჩვენები ნელა ხურდებიან




კრისტინა და ანდრეზა

**რა ხანია**, ალარაფერი დაგვიწერია ჩვენს პლაჟის ფრენბურთელთა შესახებ. ზამთრის პერიოდში მათ არდადეგები ჰქონდათ და ახლა იწყებენ გახურებას.

გეორ-გიამაც და საქა-რთველომაც წინა კვირაში ბრაზილიაში ითამაშეს მსოფლიო ტურის ეტაპზე და ბევრიც ვერაფერი გაახერხეს.

კრისტინამ და ანდრეზამ (საქა-რთველო) შეჯიბრი მე-13-მე-16 ადგილზე დაასრულეს და 180 სარეიტინგო ქულასთან ერთად 4 250 დოლარიც მიიღეს.

უფრო ცუდად ითამაშეს რენატომ და ჟორჟმა (გეორ-გია), რომლებმაც ტურნირზე ერთი მატჩიც ვერ მოიგეს და 25-ე-32-ე ადგილს დასჯერდნენ, თუმცაღა 2 000 დოლარი ჩაიჯიბეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უზომო ქართული სტუმართმოყვარეობა
## ჩვენზე მეტად სხვებმა გაიხარეს




**60 კგ. ნესტორ ხერგიანი**

I წრე: გამოტოვა.

II წრე: შეხვდა გერმანელ რობერტ კოპისკეს. დაამარცხა იუკოთი. მეტოქეს ქულა არ მოუპოვებია.

III წრე: შეხვდა ავსტრიელ ლუდვიგ პაიშერს. დაამარცხა იპონით 1:58 წუთში. მეტოქეს ქულა არ მოუპოვებია.

ნახევარფინალი: შეხვდა უკრაინელ გიორგი ზანთარაიას. ნესტორმა მოიპოვა იპონი, მაგრამ მეტოქემ ვაზარი აიღო და ფინალშიც გავიდა.

ბრინჯაოსთვის: შეხვდა ჰოლანდიელ რუბენ ჰოუკსს. დაამარცხა ვაზარით.

4 ორთაბრძოლაში მოიპოვა 1 იპონი, 1 ვაზარი და 2 იუკო.

კვარცხლბეკი: 1. არსენ გალუსტიანი (რუსეთი), 2. გიორგი ზანთარაია (უკარინა), 3. ნესტორ ხერგიანი (საქართველო), 3. ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია)

**66 კგ. მიხეილ ხომიზური**

I წრე: შეხვდა რუმინელ გეორგე დან ფასიეს. დაამარცხა იპონით 59 წამში.

II წრე: შეხვდა პოლონელ ტომაშ კოვალსკის. დაამარცხა იპონით. მეტოქემ 2 იუკოც აიღო. თავად 1 იუკო ჰქონდა.

2 ორთაბრძოლაში მოიპოვა 1 იპონი და 1 იუკო.

კვარცხლბეკი: 1. მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი), 2. ტომაშ კოვალსკი (პოლონეთი), 3. ალიმ გადანოვი (რუსეთი), 3. დენის კოზლოვსი (ლატვია)

**73 კგ. თენგიზ პაპოშვილი**

I წრე: შეხვდა ჰოლანდიელ დექს ელმონტსს. დამარცხდა იუკოთი. თავად ქულა არ მოუპოვებია.

კვარცხლბეკი: 1. ვლადიმირ სოროკა (უკრაინა), 2. დექს ელმონტი (ჰოლანდია), 3. ჟილ ბონომე (საფრანგეთი), 3. მარსელ ტრუდოვი (მოლდოვა)

**81 კგ. ლევან წიკლაური**

I წრე: გამოტოვა.

II წრე: შეხვდა პოლონელ რობერტ კრაჟიკს. დაამარცხა ვაზარით და იუკოთი. მეტოქემ იუკო მოიპოვა.

III წრე: შეხვდა იტალიელ ანტონიო ჩიანის. დამარცხდა იპონით. მეტოქემ ვაზარი და იუკოც მოიპოვა. თავად ქულა არ აუღია.

რეპეშაჟი: შეხვდა ესპანელ ხორხე ბენავენტეს. დაამარცხა იუკოთი. მეტოქეს ქულა არ მოუპოვებია.

ბრინჯაოსთვის: შეხვდა ფრანგ ალექს კლერჟეს. დაამარცხა იუკოთი. მეტოქეს ქულა არ მოუპოვებია.

4 ორთაბრძოლაში მოიპოვა 1 ვაზარი და 3 იუკო.

კვარცხლბეკი: 1. ივან ნიფონტოვი (რუსეთი), 2. ანტონიო ჩიანი (იტალია), 3. ლევან წიკლაური (საქართველო), 3. ალიაჟ სედეი (სლოვენია)

**48 კგ. ნაია ვეშაგური**

I წრე: შეხვდა ბელარუს ვოლია ლეშჩენკას. დამარცხდა იპონით. მეტოქემ იუკოც მოიპოვა. თავად ქულა არ აუღია.

კვარცხლბეკი: 1. ფრედერიკა ჟოსინე (საფრანგეთი), 2. ევა ჩერნოვიცკი (უნგრეთი), 3. მიხაელა ბაშინი (გერმანია), 3. ალინა დუმიტრუ (რუმინეთი)

**52 კგ. არავინ**

კვარცხლბეკი: 1. ნატალია კუზიუტინა (რუსეთი), 2. ანა კარასკოსა (ესპანეთი), 3. კიტი ბრავიკი (ჰოლანდია), 3. ილსი ჰეილენი (ბელგია)

**57 კგ. ლუიზა ფევაძე**

I წრე: გამოტოვა.

II წრე: შეხვდა ბერძენ იოლეტა ბუკუვალას. დამარცხდა იპონით. თავად ქულა არ აუღია.

კვარცხლბეკი: 1. ტელმა მონტეირო (პორტუგალია), 2. სარა კლარკი (დიდი ბრიტანეთი), 3. ჰედვიგ კარაკასი (უნგრეთი), 3. მორგან რიბუ (საფრანგეთი)

**63 კგ. შორენა შარაძე**

I წრე: გამოტოვა.

II წრე: შეხვდა ხორვატ მარიანა მისკოვიჩს. დამარცხდა იპონით. მეტოქემ 2 იუკოც აიღო. თავად ერთი იუკო მოიპოვა.

კვარცხლბეკი: 1. ულსკა ზოლნირი (სლოვენია), 2. ვერა კოვალი (რუსეთი), 3. მარიანა მისკოვიჩი (ხორვატია), 3. ალის შლეზინგერი (ისრაელი)

**70 კგ. სალომე წოწკოლაური**

I წრე: შეხვდა ესპანელ ხესილია ბლანკოს. დამარცხდა იპონით. თავად ქულა არ აუღია.

კვარცხლბეკი: 1. ლუსი დეკოსი (საფრანგეთი), 2. კერსტინ ტილე (გერმანია), 3. ელიტ ბოსხი (ჰოლანდია), 3. კატერინ ჟაკე (ბელგია)

**თბილისი** სტუმართმოყვარედ დახვდა 38 ქვეყნის 248 სპორტსმენს და ამთ გარდა 13 ძიუდოისტი ქართველი იყო.

ჰოდა, თქვა კიდევაც რუსმა ჩემპიონმა ნატალია კუზიუტინამ, რომ მოვდიოდი, ცოტა არ იყოს, ვნერვიულობდი, რუსებს როგორ მიგვიღებდნენ, ახლა კი შემიძლია ვთქვა, როს სანერვიულო არაფერი მქონია, ისეთი საუკეთსო დახვედრა მოგვიწყვეს ქართველებმაო.

დიახ, რუსებსაც და ბუნებრივია, სხვებსაც კარგად დავხვდით. ერთი ეგ არის, რომ ქართველი სპორტსმენები არ უნდა იყვნენ მაინცდამაინც კმაყოფილები. მწირმედლიანობას რომ ერთი წუთით თავი დავანებოთ, არ გვგონია, სპორტის სასახლეში უამრავ ცარიელ ადგილს სასიკეთო განწყობა შეექმნა ჩვენი სპორტსმენებისთვის.

და აქ არ იქნება, კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ ის ბუნტი, ამ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპზე რომ მოხდა და ქართველ ძიუდოისტთა ნაწილმა ბაკურიანული შეკრება მიატოვა. ამის დამტკიცება შეუძლებელია, მაგრამ ჩვენც და თქვენც, ვინძლო გული გვეუბნება, ქართული ძიუდოს თემში განხეთქილება რომ არა, ჩვენი მონაგარი უფრო უხვი იქნებოდა.

ევროპის ჩემპიონატის გუშინდელი, ბოლო დღის შედეგებს „სარბიელის" ბოლო გვერდზე შეგიძლიათ გაეცნოთ, აქ კი პარასკევ-შაბათის ამბებს მოგახსენებთ.

კაცთა შეჯიბრში 104 ორთაბრძოლიდან 42, ანუ 40 პროცენტი იპონით დასრულდა. მაყურებელმა ამის გარდა 38 ვაზარი და 98 იუკოდ შეფასებული გდება იხილა.

იპონს ქალები უფრო სწყალობდნენ, რაკი 100 ორთაბრძოლიდან 54 ბეჭებზე გაკვრით დასრულდა. ქალებმა 27 ვაზარი და 68 იუკოც მოინაგრეს.

ზემოთ რუსი ჩემპიონი ვახსენეთ და ესეც ვთქვათ: არსენ გალუსტიანის ოქრო მე-100 მედალი იყო ევროპის ჩემპიონატებზე რუსებისთვის.

უნგრელი მიკლოშ უნგვარისთვის თბილისში მოპოვებული ოქრო მეორეა კარიერაში. პირველად ევროპის ჩემპიონი 7 წლის წინ გახდა.

პორტუგალიელი ტელმა მონტეირო მესამე გახდა ევროპის ჩემპიონი, ოღონდ 57 კგ-ში აქმდე არასდროს ეჩემპიონა.

უკვე სამგზის ევროპის ჩემპიონია ფრანგი ფრედერიკა ჟოსინე. საერთოდაც, ფრანგი ქალები შესაშური ბარაქიანობით გამოირჩევიან და ევროპის ჩემპიონატებზე ჯამში 75 ოქროს მედალი აქვთ მოგებული.

ჩვენს ნესტორ ხერგიანს კი სამშობლოშიც არ გაუმართლა. მართლაც რა უბედურებაა, ევროპის ჩემპიონატზე მეშვიდე ბრინჯაოს მედლის მოგება. ნახევარფინალი ნესტორის აქილევსის ქუსლად რჩება.

ლევან წიკლაურმა კი ბრინჯაო პირველად მოიგო.

**ოთარ მხეიძე**



ნესტორ ხერგიანი ლუდვიგ პაიშერის ძლევის მერე



მიხეილ ხომიზური (მარცხნივ) და ტომაშ კოვალსკი




ნესტორ ხერგიანის მძლეველმა გიორგი ზანთარაიამ ფინალი წააგო

# კვირაცხოვლობის წინ



ვანო ნორაკიძე

**ბრწყინვალე** შვიდეულის დღეების დაღგომისთანავე დელისის იპოდრომის საკონკურო მოედანს მზრუნველი ხელი დაეტყო: ტრიბუნებზე მაყურებელთათვის სამ რიგად ძელსკამები გაიმართა, ზემოდანაც გადაიხურა (საამისო კონსტრუქციები კი იყო, მაგრამ შემოდგომიდან, კავკასიის თასის გათამაშების შემდეგ, ან პატრონები ინახავდნენ, ანდა ხელს გაჰყვებოდა). შეიღება და გალამაზდა მსაჯთა ჯიხური, შინდისფერი წიდა მოეყარა ორმხრივ მისასვლელ გზებს. საკუთრივ ასპარეზსაც მიხედეს: ახალი საფარი (წვრილმარცვლიანი ხრეში) დაიყარა, დაიტკეპნა, დაბრკოლებებიც შეივსო და შეიღება. მოკლედ, ყველაფერს ისეთი იერი დაედო, როგორიც ჩვეულებრივ შეშვენის ძველი მხედრული ტრადიციებისა და არცთუ უსახელო საცხენოსნო სპორტული წარსულის მქონე დედაქალაქის ცხენთსარბიელს, თუნდაც რიგითი კალენდარული შეჯიბრის წინ.

არადა, კვირაცხოვლობის ძალზე — გასულ პარასკევ-შაბათს ჩატარებულ შეჯიბრს სულ რიგითსაც ვერ დავარქმევთ: გათამაშდა თბილისის მერიის თასი დაბრკოლებათა გადალახვაში (ძირითადი და ახალგაზრდა ცხენებით) და თუ დედაქალაქის მერიის შესატყვისი სამსახურის მიერ გამოყოფილ საპრიზო ფონდსაც გავითვალისწინებთ და ზემოთ მოხსენიებულ სამზადისსაც, ამ შეჯიბრს შეიძლება, საეტაპოც კი ვუწოდოთ. არ არის მიჩვეული თბილისი და, საერთოდ, საქართველოს მხედრობა ასეთ სახელმწიფოებრივ ყურადღებას.

თასი თბილისის მერიისა იყო და თითქოს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ, უმადურობაში ნუ ჩამომართმევთ და, აქ ერთი ვითარებაა საგულისხმო: დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა, ყოველ შემთხვევაში მისმა საკმაოდ მაღალჩინოსანმა მოხელეებმა თავის დროზე ფრიად გამოკვეთილი პოზიცია დაიკავეს დედაქალაქის კულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში (და არა მარტო ამ სფეროში) ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის მიმართ, როგორიც შპს „ჟოკეიკლუბის“ მიერ პრივატიზებული დელისის იპოდრომის გაყიდვა და ახალი ცხენთსარბიელის გამართვა იყო.

„აბა, გახედეთ, ერთი ხე მაინც დგას ამ იპოდრომზე, ამხელა ამბავი რომ არის ატეხილი?!“ — დაახლოებით ასე მიმართა ერთი გაზეთის კორესპონდენტს 2005 წელს დიდმოხელემ, როცა ჯერ კიდევ გაცხარებული დავა-კამათი იყო ამტყდარი ქალაქის ცხოვრებაში დელისის სარბიელის სარეკრეაციო დანიშნულების შესახებ.

მადლობა ღმერთს, ხეები ჯერ კიდევ დგანან! ეგ კი არა, ამ ათიოდე წლის წინ დახურულ მანეჟს და საკონკურო მოედანს შორის თვით იპოდრომის მაშინდელი დირექციის მიერ ჩაყრილმა და გახარებულმა წიწვოვანმა ნერგებმა ისე აიყარეს ტანი აქაურ ნოყიერ მიწაზე, რომ ეს კითხვა სასაცილოდ ჟღერს.

2007 წელს კი სხვა, მგონი უფრო მაღალმა მოხელემ, თბილის იპოდრომის (ლისის ტბის მიდამოებში) პრეზენტაციაზე საზეიმოდ დაუდასტურა პოპულარული გაზეთის კორესპონდენტს, რომ თბილისს აქვს ახალი სრულფასოვანი საცხენოსნო კერა...

მკითხველს ბოდიშს ვუხდი, რომ კონკრეტულ თარიღებსა და სახელებს არ ვასახელებ. ეს ყველაფერი ზუსტადაა აღბეჭდილი და თუ საჭირო იქნა, წარმოვადგენ კიდეც.

ახლა კი ჩატარებული შეჯიბრის თაობაზე მოგითხრობთ. და თუ ტურნირი სწორედ დელისის იპოდრომზე ჩატარდა, ეს არსებულმა სინამდვილემ განაპირობა და მას ყველამ უნდა გაუსწოროს თვალი, ვისაც საქართველოში ცხენოსნობის მომავალთან რაიმე მოვალეობა აკავშირებს...

თბილის მერიის თასის ახლანდელ ტურნირს დიდი სპორტული მნიშვნელობა იმითაც ენიჭება, რომ 9 მაისს ბაქოში გათამაშდება ჰეიდარ ალიევის თასი დაბრკოლებათა გადალახვაში. ეს პირადი შეჯიბრი ამ სახეობაში მსოფლიო თასის ფინალური ტურნირის ერთ-ერთი ეტაპია და მისი გაგრძელება, უკვე ტრადიციისამებრ, ოქტომბრის მიწურულს თბილისში გამართული კავკასიის თასის ტურნირი იქნება.

თბილისის მერიის თასი კი მოიპოვა „თბილისი იპოდრომის“ მხედარმა, „სარბიელის“ მკითხველთათვის, ალბათ, კარგად ნაცნობმა ვანო ნორაკიძემ (მწვრთნელი გელა ტატანაშვილი).

ის ორი ცხენით გამოდიოდა. პირველ დღეს „ქულათა მაქსიმუმის“ ძალზე საინტერესო კონკურში (ასეა, როდესაც ამ შეჯიბრებაში ალტერნატიული დაბრკოლებაა ჩართული), ბუდიონური „დარით“ მან პირველი ადგილი მოიპოვა (1200 ქულა), ხოლო შეთვისებულმა „ეროსმა“ (ყულარის ცხენსაშენი) ნამდვილად დაალალატა — დაბრკოლების წინ გაუჩერდა და წაექცა კიდეც (ამისთვის მონაწილე იხსნება). ძირითად, თასის ერთჰიტიან ასპარეზობაზე (მაქსიმალური სიმაღლე 139სმ) ვანომ და ეროსმა, თითქოს გუშინდელი მარცხი აღარც ახსოვდათ, უჯარიმოდ გაიარა ეს მარშრუტი.

მეორე იყო ტექნიკური და მშვიდი გიორგი სამხარაძე (4 საჯარიმო ქულა, „ელპერილი“ მწვრთნელი ზურაბ დუნდუა). მესამე ადგილიც ნორაკიძეს ხვდა (8 საჯარიმო ქულა, „დარი“).

ეს კონკური ახალგაზრდა ცხენებითაც ლამაზად ჩატარდა. საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციის ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა, ალიევის თასის პირველმა მფლობელმა (2003) ზაზა ჩიტრეკაშვილმა და ფოთელმა გოგიტა კოდუამ („სემირამიდა“) მარშრუტი უჯარიმოდ გაიარეს. მესამეზე გიორგი დათუნაშვილი დარჩა (-4, „ზარზმა“) დამატებით ხტომებში ჩიტრეკაშვილმა ლამის სტიპლჩეიზური სისწრაფით (17 წმ) კვლავ სუფთად გადალახა 4 დაბრკოლება (120 სმ). კოდუამ, ცხადია, გამოწვევა მიიღო, მაგრამ ზღვრულ სისწრაფეში პირველივე დაბრკოლება დააზიანა... ცხენების კლასში სხვაობა აშკარა იყო. ჩიტრეკაშვილის „ალი“ 5 წლის თაფლა ულაყია, მამამისი — „ალუმინი“ რუსეთში გაზრდილი წმინდა სისხლის საუკეთესო არაბული ცხენების ბუდიდანაა, დედა დელისის იპოდრომზე დაბადებული თრაკენული ფაშატია.

„ალი“ თბილისში ძველი ცხენენჯების (მეცხენეების) ტრადიციების გამგრძელებლის თეიმურაზ ბერიშვილის გამოზრდილია. სელექციონერიც თავად იყო, კვიციც თვითონ აღზარდა და მხედარიც თავად შეარჩია.

ზევით ნორაკიძის „დარის“ გამოსვლაზე შევჩერდით. პირველი დღის იმ კონკურში მეორე იყო კოდუა (1100 ქულა, „ზული“). მესამე — ირაკლი გელაშვილი (1050 ქულა, „ელემაქსი“). კოდუა პირველ დღეს ახალგაზრდა ცხენითაც საპრიზო, მესამე ადგილზე გავიდა. ამ „მართვისა და სისწრაფის“ კონკურში პირველი იყო გიორგი ქობლიანიძე („გევა“), მეორე — ჩიტრეკაშვილი.

ფოთელები ნამდვილად ხელდამშვენებულები ბრუნდებიან თავისი ქალაქის საცხენოსნო სკოლაში. კოდუა და მისი თანაგუნდელი გენადი ციგანკოვი, რომელიც ამჯერად ბერეიტორის როლით შემოიფარგლა, გამოჩენილი ვეტერანი მხედრისა და მწვრთნელის ვალერიან მაქაცარიას აღზრდილები არიან. ფოთის საცხენოსნო კლუბის მხედრები კი ჩვენი ცხენოსნობის ბოლო უმძიმეს წლებში ზოგადქართულ მასშტაბს ანიჭებდნენ დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებებს. ამისთვის ისინი ნამდვილი, საქმიანი თანადგომის ღირსნი არიან. სხვათა შორის, ასეთი მეგობრული მხარდაჭერის გამოხატულებაა ყულარში დაბადებული ის ულაყიც, რომლითაც კოდუა ასპარეზობდა. ეს ბედაური, რომელსაც თბილისში ვეტერანი სამჭიდელი აკაკი მანჯავიძე წვრთნიდა (მხედარი მისი ვაჟი ვასილი იყო), ფოთს „ჟოკეიკლუბმა“ გადასცა. დღეს კი ერთი რიგიანი სპორტული ბედაურიც დიდი ძალაა.

**ნოდარ ეგრალიძე**



ზაზა ჩიტრეკაშვილი



გოგიტა კოდუა

საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი. ორ მოგებამდე

# ხუთამდე დათვლას თითქოს რა უნდა?

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ნახევარფინალისტის ვინაობაც გაირკვა. „ენერჯის“, „ავიამშენს“ და „სასოფლოს“ წინა კვირაში თსუ შეუერთდა, რომელმაც ორ მატჩში სძლია „ბათუმს“. პირველი მატჩში სტუდენტებმა 104:80 მოიგეს. მეორეც მათივე გამარჯვებით — 103:73 დასრულდა.

ორივე მატჩის ანგარიში ისეთია, კითხვებს არ უნდა ტოვებდეს, მაგრამ რად გინდა...

საქმე ის არის, რომ მეორე მატჩის დასრულებამდე 26 წამით ადრე ზღვისპირელთა მოთამაშე-პრეზიდენტმა ვანო მაისურაძემ ბურთს ფეხი ამოარტყა და მეტოქის სათადარიგოთა სკამისკენ მოისროლა. ბუნებრივია, რომ მსაჯმა პროტესტის ამგვარი ფორმით გამოხატვისთვის მაისურაძე გააძევა. ამას კი თავის მხრივ, ბათუმელთა მოედნიდან გასვლა მოჰყვა.

ბოლოს როგორც იქნა, ვნებები ჩაცხრა და თამაში დასრულდა.

ვანო მაისურაძის საქციელს მარცხით გამოწვეულ ნერვიულობად მივიჩნევდით, რომ არა თავად ბათუმელთა განმარტება, თუ რამ გამოიწვია მათი აღშფოთება.

დამარცხებული გუნდი რომ ცუდ მსაჯობაზე ლაპარაკობს არახალია, მაგრამ აქ საქმე სხვა პრობლემასთანაც გვაქვს. ბათუმელთა მოთამაშე-მწვრთნელის ლაშა კეშელავას მტკიცებით, სამდივნომ თსუ-ელი ახალკაცის ორი პერსონალური ჯარიმა „მოიპარა“.

დაგვეთანხმებით, აქ საქმე სერიოზულადაა. თუ მოანგარიშეებმა კალათბურთელს ორი ჯარიმა დააკლეს, რაც მას 5-ჯარიმიან ლიმიტს ამოუწურავდა, გამოდის, რომ მოედანზე ყოფილა კალათბურთელი, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა...

მაგრამ ვინ დაამტკიცებს, რომ მართლა ასე მოხდა? ეს უპასუხო კითხვაა, თუკი არ გაქვს მატჩის ჩანაწერი, რომელზეც ყველაფერი ნათლად ჩანს.

მატჩის კომისარმა მურმან ქურიძემაც თქვა, როცა ორი მხარე განსხვავებულად ითვლის, ოფიციალურ წყაროს უნდა დავეყრდნოო.

კომისარი მართალია, იმის დამტკიცებაც შეუძლებელია, რომ სამდივნო შეცდა და იმისიც, რომ ბათუმელებმა ყველაფერი სწორად დაითვალეს.

მოკლედ, რას გაიგებ. ეს ხომ საქართველოა...

**ირაკლი ნინიძე**

**საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში პლეი ოფის დრო მოვიდა და წინა კვირაში რეგულარული ჩემპიონატის მიხედვით საუკეთესო ოთხეულებმა ერთმანეთში საქმის გარკვევა დაიწყეს. ფინალში გასვლა ორ მოგებამდეა და რამდენიმე გუნდმა ეს ამოცანა უკვე გადაჭრა...**

**16-წლამდელები**
23-24 აპრილი
**მართვე-3 65:76 51-ე სკოლა**
**მართვე-3 87:85 51-ე სკოლა**
24-25 აპრილი
**მართვე-4 48:99 ქუთაისი**
**მართვე-4 68:69 ქუთაისი**

პირველ მატჩში წაგების მერე „მართვე-3“ მეორე შეხვედრაში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა და დიდი შესვენებისას 18-ქულიანი სხვაობითაც იგებდა. მართველებს განსაკუთრებით 3-ქულიანები გამოსდიოდათ, ამაში კი ყველაზე მეტად გუგა აბდუშელიშვილი გამოირჩა. მაგრამ, როგორც ხშირად მომხდარა, დაწინაურებულმა გუნდმა საქმე მოთავებულად ჩათვალა და კინაღამ დაისაჯა. 51-ე სკოლამ ანგარიში ხომ გაათანაბრა და ბოლო წუთზე ოთარ ფხაკაძემ მისიანები სულაც წინ გაიყვანა. გიორგი ბეგაშვილს ორიდან ერთი ჯარიმაც რომ ჩაეგდო, საქმე მესამე მატჩამდე აღარც მივიდოდა, მაგრამ ვერ შეძლო და ბოლო წამზე დაჩი დოლიძემ გაათანაბრა. თამაში ოვერტაიმში გადავიდა და „მართვემ“ ორი ქულით იმარჯვა.

მესამე თამაში დღეს ჩატარდება და გამარჯვებული ფინალში „ქუთაისს“ შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ, იოლად მოგებული პირველი თამაშის მერე მეორეში ოდენ ერთი ქულით დაამარცხა „მართვე-4“.

**18-წლამდელები**
23-24 აპრილი
**დინამო 66:58 რუსთავი**
**რუსთავი 58:59 დინამო**
25-26 აპრილი
**აკადემია 86:63 ენერჯი**
**ენერჯი — აკადემია**

რუსთავში, იქაურთა და „დინამოს“ მეორე მატჩში, მასპინძლები 8 ქულით იგებდნენ და თითქოს ფინალისტის ვინაობა მესამე თამაშში უნდა გარკვეულიყო. მაგრამ დინამოელები ბოლო წუთებზე ისე ათამაშდნენ, რუსთაველებმა ვერაფერი დაუპირისპირეს და დასრულებამდე წამებით ადრე „დინამომ“ გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო.

„ენერჯი“ — „აკადემიას“ მეორე მატჩის შედეგი კი 31-ე გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ.

**20-წლამდელები**
23-24 აპრილი
**აკადემია 85:69 მართვე**
**მართვე 77:82 აკადემია**
26-27 აპრილი
**რუსთავი — მაკაბი**
**მაკაბი — რუსთავი**

„აკადემიამ“ ორი მატჩი იკმარა „მართვეს“ დასამარცხებლად და ფინალში გავიდა. მეტოქის ვინაობა ჯერ უცნობია.

# ბაღაფშის სიხარული



**აფხაზურ** წყაროებში ასეთი ინფორმაცია ამოვიკითხეთ: აფხაზეთის კალათბურთის ნაკრებმა როსტოვში იქაურ „სოკოლთან“ ამხანაგურად ითამაშა და 76:31 გაიმარჯვა.

მატჩის ბომბარდირი თენგიზ ავიძბა გამხდარა 34 ქულით.

აფხაზთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა ეს მატჩი ევებ დიდ გამარჯვებადაც ჩათვალოს, მით უმეტეს, რომ თავად ძველი კალათბურთელია. ევებ ბევრმა არც იცოდეს, რომ ბაღაფში თავის დროზე საქართველოს ნაკრებში თამაშობდა.

ნბა. პლეი ოფი. კონფედერაციათა 1/4 ფინალი. ოთხ მოგებამდე

# კარგის ცუდი გაგრძელება

**აღმოსავლეთი**

18 აპრილი
**კლივლენდი 102:84 დეტროიტი**
22 აპრილი
**კლივლენდი 94:82 დეტროიტი**
25 აპრილი
**დეტროიტი 68:79 კლივლენდი**
*სერიაში 3:0 კლივლენდის სასარგებლოდ*

18 აპრილი
**ბოსტონი 103:105 ჩიკაგო**
21 აპრილი
**ბოსტონი 118:115 ჩიკაგო**
24 აპრილი
**ჩიკაგო 86:107 ბოსტონი**
*სერიაში 2:1 ბოსტონის სასარგებლოდ*

20 აპრილი
**ორლანდო 98:100 ფილადელფია**
23 აპრილი
**ორლანდო 96:87 ფილადელფია**
25 აპრილი
**ფილადელფია 96:94 ორლანდო**
*სერიაში 2:1 ფილადელფიის სასარგებლოდ*

20 აპრილი
**ატლანტა 90:64 მაიამი**
23 აპრილი
**ატლანტა 93:108 მაიამი**
26 აპრილი
**მაიამი 107:78 ატლანტა**
*სერიაში 2:1 მაიამის სასარგებლოდ*

**დასავლეთი**

19 აპრილი
**ლეიკერსი 113:110 იუტა**
22 აპრილი
**ლეიკერსი 119:109 იუტა**
24 აპრილი
**იუტა 88:86 ლეიკერსი**
26 აპრილი
**იუტა 94:108 ლეიკერსი**
*სერიაში 3:1 ლეიკერსის სასარგებლოდ*

20 აპრილი
**დენვერი 113:84 ნიუ ორლეანი**
23 აპრილი
**დენვერი 108:93 ნიუ ორლეანი**
25 აპრილი
**ნიუ ორლეანი 95:93 დენვერი**
*სერიაში 2:1 დენვერის სასარგებლოდ*

19 აპრილი
**სან ანტონიო 97:105 დალასი**
21 აპრილი
**სან ანტონიო 105:84 დალასი**
24 აპრილი
**დალასი 88:67 სან ანტონიო**
25 აპრილი
**დალასი 99:90 სან ანტონიო**
*სერიაში 3:1 დალასის სასარგებლოდ*

19 აპრილი
**პორტლენდი 81:108 ჰიუსტონი**
22 აპრილი
**პორტლენდი 107:103 ჰიუსტონი**
25 აპრილი
**ჰიუსტონი 86:83 პორტლენდი**
*სერიაში 2:1 ჰიუსტონის სასარგებლოდ*



ზაზა ფაჩულია კრის ქეინთან ორთაბრძოლაში

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ“ კარგად კი დაიწყო პლეი ოფი, მაგრამ გაგრძელება სახარბიელო ვერ გამოუვიდა. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში ატლანტელებმა „მაიამის“ ოდენ 64 ქულა ჩააგდებინეს და ერთგვარი ანტირეკორდი დაამყარებინეს, აი, სერიის მეორე შეხვედრაში კი სტუმრებმა ასქულიან ზღვარს გადააბიჯეს და ატლანტელები 109:93 დაამარცხეს.

ამ მატჩში ზაზა კვლავ არ ყოფილა სასტარტო ხუთეულში, ჯამში კი მოედანზე 15 წუთი დაჰყო და 3-3 ქულა და მოხსნა მიითვალა. ეს უკან გადადგმული ნაბიჯია, თუ გავიხსენებთ, რომ აღმოსავლეთ კონფერენციის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში ზაზამ ორმაგი დუბლი შეასრულა — 10 ქულას ამდენივე მოხსნა შემატა.

მეორე მატჩში ზაზამ სამჯერ სტყორცნა ორქულიანი ზონიდან და ამათგან მხოლოდ ერთი ჩააგდო. ორი საჯარიმოდან კი ერთი გამოიყენა.

ამ მატჩში კი შეუჩერებელი გახლდათ მაიამელი დუეინ ვეიდი, ვინაც რეგულარულ ჩემპიონატში საშუალოდ 30,2 ქულას აგროვებდა (საუკეთესო შედეგი), „ატლანას“ კი ამ ჯერზე 33 ქულა ჩაუგდო. სწორედ ვეიდის სიზუსტემ გატეხა ფაჩულიას გუნდი, რომლის საუკეთესო მსროლელმა ჯოშ სმიტმა ოდენ 17 ქულა მიითვალა.

მოგეხსენებათ, სერია ოთხ მოგებამდეა. ორი ატლანტური მატჩის მერე ანგარიში 1:1 იყო და გუშინ გამთენიისას გუნდებმა მაიამიში ითამაშეს.

ამ მატჩში „ატლანტამ“ კიდევ უფრო დიდი ანგარიშით წააგო და ახლა თავად არის მდევარი. ზაზა კვლავ არ ყოფილა სასტარტო ხუთეულში, სულ 24:29 წუთი ითამაშა და 8 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა.

მომდევნო, მეოთხე შეხვედრა ისევ მაიამიში ჩატარდება, ჩვენი დროთ 28 აპრილს გამთენიისას. და რაკი უკვე ნათელია, რომ ოთხი მატჩი გამარჯვებულის გამოსავლენად საკმარისი არ არის, მეხუთე თამაში ისევ ატლანტაში იქნება 3 მაისს.

პლეი ოფი. კონფერენციათა 1/4 ფინალი

# ოთხმა საქმე უცბად მოათავა



ბოსტონელმა ჩაკ კობაშევმა ტომ კოსტოპუროსი და „მონრეალელი“ააყირავა

„ბოსტონს“ ოთხი მატჩი ეყო აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალში გასასვლელად, სადაც 1999 წლის მერე არ ყოფილა.

ბოსტონელებმა შარშან მეოთხედფინალში „მონრეალთან“ — ახლა რომ დაამარცხეს — წააგეს, სულ კი ბოლო ათ წელიწადში (ამ სეზონის ჩაუთვლელად) ხუთჯერ გააღწიეს პლეი ოფში და როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ 1999 წელს მოახერხეს კონფერენციის ნახევარფინალში გასვლა.

დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალში პირველი გასული გუნდი კი „დეტროიტი“ გახლავთ, ვინაც სტენლის თასის ახლანდელი მფლობელია.

დეტროიტელები სულ 58-ჯერ არიან გასული პლეი ოფში.

„დეტროიტმა“ შარშან ხომ თასი მოიგო, 2007-ში კონფერენციის ფინალი დათმო.

ნახევარფინალში გავიდა „ვანკუვერიც“, რომელმაც „სენტ ლუისს“ სძლია და მასაც საამისოდ ოთხი მატჩი ეყო.

ვანკუვერელები არასდროს გამხდარან ჩემპიონები, წინა ათწლეულში კი ხუთჯერ ითამაშეს მეოთხედფინალში და ამათგან ორჯერ გავიდნენ კონფერენციის ნახევარფინალში. იქ კი ორჯერვე დამარცხდნენ.

**აღმოსავლეთი**

21 აპრილი
**მონრეალი 2:4 ბოსტონი**
23 აპრილი
**მონრეალი 1:4 ბოსტონი**
*სერიაში 4:0 ბოსტონის სასარგებლოდ*

21 აპრილი
**რეინჯერსი 0:4 ვაშინგტონი**
23 აპრილი
**რეინჯერსი 2:1 ვაშინგტონი**
25 აპრილი
**ვაშინგტონი 4:0 რეინჯერსი**
*სერიაში 3:2 რეინჯერსის სასარგებლოდ*

22 აპრილი
**კაროლინა 4:3 ნიუ ჯერსი**
24 აპრილი
**ნიუ ჯერსი 1:0 კაროლინა**
*სერიაში 3:2 ნიუ ჯერსის სასარგებლოდ*

22 აპრილი
**ფილადელფია 1:3 პიტსბურგი**
24 აპრილი
**პიტსბურგი 0:3 ფილადელფია**
25 აპრილი
**ფილადელფია 3:5 პიტსბურგი**
*სერიაში 4:2 პიტსბურგის სასარგებლოდ*

**დასავლეთი**

22 აპრილი
**ანაჰაიმი 3:4 სან ხოსე**
24 აპრილი
**ანაჰაიმი 4:0 სან ხოსე**
26 აპრილი
**სან ხოსე 3:2 (ოტ) ანაჰაიმი**
*სერიაში 3:2 ანაჰაიმის სასარგებლოდ*

22 აპრილი
**კოლამბუსი 1:4 დეტროიტი**
24 აპრილი
**კოლამბუსი 5:6 დეტროიტი**
*სერიაში : 4:0 დეტროიტის სასარგებლოდ*

22 აპრილი
**სენტ ლუისი 2:3 (ოტ) ვანკუვერი**
*სერიაში 4:0 ვანკუვერის სასარგებლოდ*

21 აპრილი
**კალგარი 4:2 ჩიკაგო**
23 აპრილი
**კალგარი 6:4 ჩიკაგო**
26 აპრილი
**ჩიკაგო 5:1 კალგარი**
*სერიაში 3:2 ჩიკაგოს სასარგებლოდ*

# დომინატორის დაბრუნება



**სტენლის** თასის ორგზის მოგები ლეგენდარული ჩეხი მეკარე დომენიკ ჰაშეკი ყინულს უბრუნდება. ერთწლიანი უქმობის მერე „დომინატორმა“ კონტრაქტი ჩეხურ „პადრუბიცესთან“ გააფორმა. ეს ის კლუბია, სადაც დიადი მეკარის კარიერა დაიწყო.

ჰაშეკი ახლა 44 წლისაა, კონტრაქის ხელმოწერის მერე კი თქვა: „ძალიან მიხარია, ისევ აქ რომ ვარ. „პადრუბიცეში“ არაერთი შესანიშნავი სეზონი მაქვს გატარებული და ვერც წამომიდგენია, სხვა ჩეხურ კლუბში თამაში.“

ჩრდილოამერიკულ ჰოკეიში ჰაშეკი 1983 წლის დრაფტზე „ჩიკაგომ“ აიყვანა. მას მერე მეკარემ 389 მატჩი მოიგო „ჩიკაგოს“, „დეტროიტის“, „ოტავას“ და „ბუფალოს“ შემადგენლობაში. ორი სტენლის თასის გარდა, ექვსჯერ დაასახელეს სეზონის საუკეთესო მეკარედ, ორჯერ კი საუკეთესო ჰოკეისტად. ნაგანოს ოლიმპიადაზე კი ჰაშეკი ჩემპიონი გახდა.

**თეიმურაზ უზაკოვი**

# ტრაგედიის მერე

**სტენლის** თასისთვის ბრძოლის მომდევნო ეტაპზე „ვანკუვერს“ ფორვარდი ტეილორ პიატიც დაეხმარება, ვინაც „სენტ ლუისთან“ მატჩები და იქამდე რეგულარული ჩემპიონატის ოთხი შეხვედრა გამოტოვა. მიზეზი კი ჰოკეისტის საცოლის დაღუპვა გახლდათ, რის მერეც პიატი კარგა ხანს საშინელ დეპრესიაში იყო.

პიატის საცოლე კარლი ბრანიალო დედასთან ერთად იამაიკაზე ისვენებდა და ერთ დღეს, როდესაც სასტუმროდან პლაჟზე მიდიოდა, მისი მანქანა ბოძს შეეჯახა. კარლის გარდა არავინ დაღუპულა, ეს ამბავი კი 2 აპრილს მოხდა.

ყინულზე დაბრუნებულმა ჰოკეისტმა თქვა, მადლობას გიხდით ყველას, ვინც გულთან მიიტანეთ ჩემი პირადი ტრაგედიაო.



# სლოვაკები გვთხოვენ: გაიხსენეთ 2002 წელი

შვეიცარიაში დაწყებული მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ტურში სენსაციები არ მომხდარა, მთავარი მოულოდნელობა კი ის იყო, სლოვაკებს ფრიად რომ გაუჭირდათ უნგრეთის დამარცხება.

თუმცა სლოვაკთა მწვრთნელმა იან ფილცმა თქვა, შვიდი წლის წინანდელი ამბავი გაიხსენეთო.

და რა მოხდა 7 წლის წინ? ის, რომ პირველ ტურში სლოვაკეთს ძალიან გაუჭირდა და უკრაინას ძლივს მოუგო 5:4. აი, ამის მერე კი სლოვაკები ათამაშდნენ და მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

**A ჯგუფი**

24 აპრილი
**ბელარუსი 1:6 კანადა**
**სლოვაკეთი 4:3 უნგრეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 1 | 1 | 0 | 0 | 6:1 | 3 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 3 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | 0 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:6 | 0 |

**C ჯგუფი**

25 აპრილი
**აშშ 4:2 ლატვია**
**შვედეთი 7:1 ავსტრია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 7:1 | 3 |
| აშშ | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ლატვია | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| ავსტრია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:7 | 0 |

**B ჯგუფი**

24 აპრილი
**გერმანია 0:5 რუსეთი**
**შვეიცარია 1:0 საფრანგეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |

**D ჯგუფი**

25 აპრილი
**ნორვეგია 0:5 ფინეთი**
**ჩეხეთი 5:0 დანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |
| დანია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |

*ცხრილებში: I გრაფა — თამაში; II — მოგება; III — ოვერტაიმში წაგება; IV — წაგება; V — შაიბების სხაობა; VI — ქულა*

***ბომბარდირები: ბარტეჩკო (სლოვაკეთი), სტემკოსი (კანადა), ჰიტლი (კანადა) — 2***

**24 აპრილს** შვეიცარიაში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო, ფინალი კი 10 მაისსაა.

პირველ ეტაპზე ჩემპიონატში 16 გუნდი ჩაება, რომლებიც ასე არიან განაწილებული:

A ჯგუფი: ბელარუსი, უნგრეთი, კანადა, სლოვაკეთი;
B ჯგუფი: გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი, შვეიცარია;
C ჯგუფი: ავსტრია, ლატვია, აშშ, შვედეთი;
D ჯგუფი: დანია, ნორვეგია, ფინეთი, ჩეხეთი.

პირველი ჯგუფური ეტაპიდან მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე 3-3 საუკეთესო გუნდი გადის და E და F ჯგუფებში გადანაწილდებიან. E ჯგუფში A და D ჯგუფების სამეულები მოიყრიან თავს, F, ჯგუფში კი — B და C ჯგუფების სამეულები.

ამ ეტაპზე გუნდებს პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები გადაჰყვებათ, გარდა ბოლოადგილოსნებთან აღებული ქულებისა. ამასთანავე, პირველ ეტაპზე თანაჯგუფელებს აღარ შეხვდებიან.

ამის მერე ოთხ-ოთხი საუკეთესო ნაკრები მეოთხედფინალში გადის, საიდანაც კლასიკური პლეი ოფის სისტემით გააგრძელებენ საჩემპიონო ბრძოლას.

პირველ ეტაპზე ბოლო ადგილზე გასული ოთხი ნაკრები კი ერთმანეთს გაეჯიბრება და ორი უარესი მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე დაბალ დივიზიონში ითამაშებს.

# მკვლელობა ვალის გამო

**სლოვაკეთის** პოლიციამ დააპატიმრა „კოშიცეს“ 23 წლის ჰოკეისტი ლადისლავ სკურკო, რომელსაც მკვლელობაში ედება ბრალი. მოკლულია 26 წლის მსაჯი მარეკ ლიპტაი, ოღონდ მკვლელობის მოტივი ჯერ უცნობია.

დანაშაული 2008 წლის იანვარში მოხდა. სკურკომ მსხვერპლი დანით მოკლა და ტყეში დამარხა.

გვამი ერთი წლის მერე იპოვეს, სამედიცინო ექსპერტიზამ კი ვინაობა კბილების მიხედვით დაადგინა. ისიც დაზუსტდა, რომ მოკლულს დანა 14-ჯერ აქვს ჩარტყმული.

როგორც ვთქვით, დანაშაულის მოტივი უცნობია, თუმცალა სლოვაკური მედია ვარაუდობს, მკვლელობა ვალების გამო მოხდაო. ოღონდ ის არ ზუსტდება, ჰოკეისტს ჰქონდა მსაჯის ვალი თუ პირიქით.

კლუბი კომენტარს არ აკეთებს, ხოლო დამნაშავეს 20-წლიანი პატიმრობა ემუქრება.



ლადისლავ სკურკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო ისევ იქ არის

**წინა კვირაში საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებმა ფედერაციის თასზე ითამაშა. სხვადასხვა ტურნირებზეც იყვნენ გაბნეული ქართველები. დიდ ტურნირთაგან კი მხოლოდ ერთი ჩატარდა, რომელსაც ბარსელონამ უმასპინძლა. აქვე ქართველ ჩოგბურთელთა რეიტინგს ახლებური ფორმით გაგაცნობთ და საშუალება გექნებათ, შეიტყოთ თუ გაიხსენოთ, ვის როდის ჰქონდა კარიერის პიკი...**

**საქართველოს** ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებმა წინა კვირაში ფედერაციის თასზე იბორძოლა და მხოლოდ იმას მიაღწია, რომ არც დაქვეითდა და ვერც აღზევდა.

თავიდან მოვყვეთ. საქართველო, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 53-ე ადგილზეა, ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფში გამოდიოდა, სადაც მის გარდა თურქეთის, სამხრეთ აფრიკის, ლატვიის, პორტუგალიის და მაროკოს ნაკრებები იყვნენ თავმოყრილნი.

შეჯიბრს თურქეთმა, კერძოდ კი ანთალიამ უმასპინძლა.

ორგანიზატორებმა ეს ექვსი ნაკრები ორ ჯგუფში გაანაწილა. საქართველო მასპინძელ თურქეთთან და სამხრეთ აფრიკასთან ერთად მოხვდა, რომელთაგან პლეი ოფში ორი საუკეთესო უნდა გასულიყო.

პირველ მატჩში სამხრეთ აფრიკამ თურქეთს 2:1 მოუგო. ამის მერე თურქები ქართველებთან დამარცხდნენ (0:3) და გაირკვა, რომ პლეი ოფში საქართველო და სამხრეთ აფრიკა გავიდა. ამათ შეხვედრას ის აზრიღა ჰქონდა, ვინ გავიდოდა ჯგუფიდან პირველი ადგილით და ვინ, მეორეთი.

მატჩი აფრიკელებმა მოიგეს (2:1) და გაირკვა, რომ პლეი ოფში სამხრეთ აფრიკა მეორე ჯგუფის მეორეადგილოსან პორტუგალიას შეხვდებოდა, საქართველო კი მეორე ჯგუფის გამარჯვებულ ლატვიას. ამ შეხვედრებში გამარჯვებულები გაისად ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფში აღზევდებოდნენ. შევნიშნოთ, რომ მსოფლიო რეიტინგში ლატვია საქართველოზე სამი საფეხურით დაბლა იმყოფებოდა.



ჩვენი ნაკრების ლიდერმა ანა ტატიშვილმა ლატვიელ ანასტასია სევასტოვას პირველი სეტი 6:0 მოუგო, მაგრამ. . .

ეს გადამწყვეტი მატჩი შაბათს ჩატარდა და ბალტიისპირელებმა 3:0 მოიგეს.

მეორე წყვილში პორტუგალიამ გაიმარჯვა.

ისიც ვთქვათ, რომ მაროკო და თურქეთი გაისად მესამე ჯგუფში ითამაშებენ. პირველი ჯგუფიდან ბულგარეთი და ლუქსემბურგი დაქვეითდნენ, ხოლო მესამე ჯგუფიდან საბერძნეთი და სომხეთი აღზევდნენ.

მსოფლიო ჯგუფში კი შაბათ-კვირას ნახევარფინალი გაიმართა. რუსეთმი იტალიას შეხვდა, აშშ კი — ჩეხეთს. შედეგები „სარბიელის" 31-ე გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ. აქ კი ნაკრებთა შემადგენლობებს გაგაცნობთ.

იტალია: ფლავია პენეტა, ფრანჩესკა სკიავონე, სარა ერანი, რობერტა ვინჩი;

რუსეთი: ანა ჩაკვეტაძე, სვეტლანა კუზნეცოვა, ანასტასია პავლიუჩენკოვა, ნადეჟდა პეტროვა;

ჩეხეთი: პეტრა კვიტოვა, ივეტა ბენეშოვა, კვეტა პეშკე;

აშშ: ბეტანი მატეკ-სენდზი, ალექსა გლეტჩი, ლიზელ ჰუბერი.

**გიორგი დარჯანია**

**საქართველო 3:0 თურქეთი**

**მაკა ჩახნაშვილი (217) 7:5 6:2 კაგლა ბუიკაკჩაი (357)**
**ანა ტატიშვილი (163) 6:0 6:3 პერმა ოზგენი (326)**
**მანანა შაფაქიძე (722)/სოფო შაფათავა (253) 6:3 6:7 6:4 იპეკ სენოღლუ (911)/მელის შეზერი (ურეიტინგო)**

**სამხრეთ აფრიკა 2:1 საქართველო**

**ლიზაან დუ პლესისი (647) 6:2 6:4 მაკა ჩახნაშვილი (217)**
**ნატალი გრანდინი (249) 6:2 2:6 6:4 ანა ტატიშვილი (163)**
**კელი ანდერსონი (847)/ნატალი გრანდინი (249) 6:3 6:7 6:4 მაკა ჩახნაშვილი (217)/სოფო შაფათავა (253)**

**ლატვია 3:0 საქართველო**

**ირინა კუზმინა (348) 6:3 6:4 სოფო შაფათავა (253)**
**ანასტასია სევასტოვა (161) 0:6 6:1 6:4 ანა ტატიშვილი (163)**
**ლიგა დეკმეიერი (622)/დიანა მარკინჩევიცივა (943) 6:1 6:2 მანანა შაფაქიძე (722)/სოფო შაფათავა (253)**

## ATP 2009

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 იანვარი - 11 იანვარი | **ბრისბეინი** | 484 750 დოლარი | **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) |
| 5 იანვარი - 11 იანვარი | **დოჰა** | 1 100 000 დოლარი | **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) |
| 5 იანვარი - 11 იანვარი | **ჩენაი** | 450 000 დოლარი | **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) |
| 12 იანვარი - 18 იანვარი | **ოკლენდი** | 480 750 დოლარი | **ხუან დელ პოტრო** (არგენტინა) |
| 12 იანვარი - 18 იანვარი | **სიდნეი** | 484 750 დოლარი | **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) |
| 2 თებერვალი - 8 თებერვალი | **დელ მარი** | 496 750 დოლარი | **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) |
| 2 თებერვალი - 8 თებერვალი | **ზაგრები** | 450 050 ევრო | **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) |
| 2 თებერვალი - 8 თებერვალი | **იოჰანესბურგი** | 500 000 დოლარი | **ჟო-ვილფრედ ცონგა** (საფრანგეთი) |
| 9 თებერვალი - 15 თებერვალი | **სან ხოსე** | 600 000 დოლარი | **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) |
| 9 თებერვალი - 15 თებერვალი | **კოსტა დო სუპე** | 562 500 დოლარი | **ტომი რობრედო** (ესპანეთი) |
| 9 თებერვალი - 15 თებერვალი | **როტერდამი** | 1 445 000 დოლარი | **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) |
| 16 თებერვალი - 23 თებერვალი | **მარსელი** | 576 000 ევრო | **ჟო-ვილფრედ ცონგა** (საფრანგეთი) |
| 16 თებერვალი - 22 თებერვალი | **ბუენოს აირესი** | 600 000 დოლარი | **ტომი რობრედო** (ესპანეთი) |
| 16 თებერვალი - 22 თებერვალი | **მემფისი** | 1 226 500 დოლარი | **ენდი როდიკი** (აშშ) |
| 23 თებერვალი - 1 თებერვალი | **დელრეი ბიჩი** | 500 000 დოლარი | **მარდი ფიში** (აშშ) |
| 23 თებერვალი - 1 მარტი | **დუბაი** | 2 233 000 დოლარი | **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი) |
| 23 თებერვალი - 1 მარტი | **აკაპულკო** | 1 226 500 დოლარი | **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) |
| 12 მარტი - 22 მარტი | **ინდიან-ველში** | 4 500 000 დოლარი | **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) |
| 25 მარტი - 5 აპრილი | **მაიამი** | 4 500 000 დოლარი | **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) |
| 6 აპრილი - 12 აპრილი | **კასაბლანკა** | 450 000 ევრო | **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) |
| 6 აპრილი - 12 აპრილი | **ჰიუსტონი** | 500 000 დოლარი | **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) |
| 13 აპრილი - 19 აპრილი | **მონტე კარლო** | 2 750 000 ევრო | **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) |



ანა ტატიშვილი
მიმდინარე რეიტინგი: 163
საუკეთესო პოზიცია:
150 (23.03.09)
წყვილთა თანრიგში
მიმდინარე: 254
საუკეთესო: 231 (6.10.08)



მაკა ჩახნაშვილი
მიმდინარე რეიტინგი: 217
საუკეთესო პოზიცია:
134 (30.07.07)
წყვილთა თანრიგში
მიმდინარე: 154
საუკეთესო: 150 (9.07.07)



სოფო შაფათავა
მიმდინარე რეიტინგი: 253
საუკეთესო პოზიცია:
243 (9.03.09)
წყვილთა თანრიგში
მიმდინარე: 286
საუკეთესო: 257 (2.03.09)



ოქსანა კალაშნიკოვა
მიმდინარე რეიტინგი: 352
საუკეთესო პოზიცია:
351 (23.03.09)
წყვილთა თანრიგში
მიმდინარე: 307
საუკეთესო: 300 (29.09.08)



ეკატერინე გორგოძე
მიმდინარე რეიტინგი: 599
საუკეთესო პოზიცია:
599 (20.04.09)
წყვილთა თანრიგში
მიმდინარე: 752
საუკეთესო: 607 (5.11.07)



სოფო ქვაცაბაია
მიმდინარე რეიტინგი: 657
საუკეთესო პოზიცია:
649 (27.10.08)
წყვილთა თანრიგში
მიმდინარე: 443
საუკეთესო: 437 (6.10.08)



მანანა შაფაქიძე
მიმდინარე რეიტინგი: 722
საუკეთესო პოზიცია:
583 (7.07.08)
წყვილთა თანრიგში
მიმდინარე: 573
საუკეთესო: 509 (7.07.08)



სალომე დევიძე
მიმდინარე რეიტინგი: 854
საუკეთესო პოზიცია:
254 (26.04.04)
წყვილთა თანრიგში
მიმდინარე: -
საუკეთესო: 250 (10.10.05)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საჩვენო და მათი ტურნირები

**ნიკოლოზ ბასილაშვილი** წინა კვირაში უზბეკურ ნამანგანში 15-ათასიან ტურნირზე გამოდიოდა.

17 წლის ქართველმა პირველ წრეში ბელარუსი კარაჩენია დაამარცხა, მერვედფინალში კი რუს არსენოვს სძლია — 6:4 5:7 6:4. მეოთხედფინალში ნიკოლოზის მეტოქე კიდევ ერთი რუსი კროტიუკი გახლავთ, ვინაც ტურნირზე მე-7 ნომრად არის განთესილი.

სანამ ჩვენი ნაკრების გოგონები ანთალიაში თამაშობდნენ, სოფო ქაცაბაიამ ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმათიში სცადა ბედი 10-ათასიან ტურნირზე და მეოთხედფინალში უკრაინელ არეფიევასთან 0:6 2:6 დამარცხდა.

იქამდე სოფომ ჯერ უკრაინელ ლიტოვჩენკოს მოუგო 6:3 3:6 6:4, მერვედფინალში კი მასპინძელი ბერეჟნაია დაამარცხა — 6:4 6:2.

მსოფლიო ჩოგბურთის კვირის მთავარი ამბავი ბარსელონაში, თითქმის 2 მილიონევროიანი ტურნირი იყო.

რაიმე გამორჩეული მოულოდნელობა იქ არ მომხდარა და რაფაელ ნადალმა იოლად გააღწია ფინალში, რითაც წაუგებელი სერია 31 მატჩამდე გაზარდა.

დღეს კი რომში დაიწყება „მასტერსის“ ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 2 750 000 ევროა. ბარსელონისგან განსხვავებით, რომში როჯერ ფედერერიც ითამაშებს, ბადე კი ისეა შედგენილი, რომ დიდი ოთხეულიდან ერთ მხარეს ნადალი და ენდი მიურეი არიან, მეორე მხარეს — ფედერერი და ნოვაკ ჯოკოვიჩი.

### კაცები

საბადელ ატლანტიკო

თიხნარი. 1 995 000 ევრო

ბარსელონა, ესპანეთი

#### II წრე

**რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — ფრედერიკუ ჟილი (პორტუგალია) 6:2 6:2; **კრისტოფ როკუსი** (ბელგია) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:1 6:7 6:3; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 3:6 7:6 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 7:5 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 7:6 6:2; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — სანტიაგო ვენტურა (ესპანეთი) 2:6 6:4 6:3; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 7:6 6:0; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:6 6:1; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 7:6 6:1; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:2 6:2; **პოტიტო სტარაჩე** (იტალია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 7:6 2:6 6:2; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — მიხაილ კუკუშკინი (ყაზახეთი) 6:3 3:6 6:1; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4 6:4; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — დამიენ ხიმენო-ტრავერი (ესპანეთი) 7:5 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:2 4:6 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 7:5 6:3

#### III წრე

**რაფაელ ნადალი** — კრისტოფ როკუსი 6:2 6:0; **დავიდ ნალბანდიანი** — ნიკოლას ალმაგრო 6:3 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** — ფელისიანო ლოპესი 7:6 3:6 6:4; **რადეკ შტეპანეკი** — სტანისლას ვავრინკა 6:4 1:6 7:5; **ტომი რობრედო** — იგორ ანდრეევი 4:6 6:2 6:3; **დავიდ ფერერი** — პოტიტო სტარაჩე 4:6 7:5 6:2; **ფერნანდო გონსალესი** — ხუან მონაკო 7:6 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** — ტომაშ ბერდიხი 7:5 5:7 6:4

#### მეოთხედფინალი

**რაფაელ ნადალი** — დავიდ ნალბანდიანი უარი; **ნიკოლაი დავიდენკო** — რადეკ შტეპანეკი 6:7 6:2 6:2; **დავიდ ფერერი** — ტომი რობრედო 6:3 6:4; **ფერნანდო გონსალესი** — ფერნანდო ვერდასკო 6:3 4:6 6:4

#### ნახევარფინალი

**რაფაელ ნადალი** — ნიკოლაი დავიდენკო 6:3 6:2; **დავიდ ფერერი** — ფერნანდო გონსალესი 2:6 6:2 6:4

#### ფინალი

რაფაელ ნადალი — დავიდ ფერერი

## WTA 2009

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 იანვარი - 10 იანვარი | ბრისბეინი | 220 000 დოლარი | ვიქტორია აზარენკო (ბელარუსი) |
| 5 იანვარი - 11 იანვარი | ოკლენდი | 220 000 დოლარი | ელენა დემენტიევა (რუსეთი) |
| 11 იანვარი - 18 იანვარი | სიდნეი | 600 000 დოლარი | ელენა დემენტიევა (რუსეთი) |
| 11 იანვარი - 17 იანვარი | ჰობარდი | 220 000 დოლარი | პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) |
| 9 თებერვალი - 15 თებერვალი | პარიზი | 700 000 დოლარი | ამელი მორესმო (საფრანგეთი) |
| 9 თებერვალი - 15 თებერვალი | პატაია | 220 000 დოლარი | ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) |
| 15 თებერვალი - 21 თებერვალი | დუბაი | 2 000 000 ევრო | ვინუს უილიამსი (აშშ) |
| 15 თებერვალი - 21 თებერვალი | მემფისი | 220 000 დოლარი | ვიქტორია აზარენკო (ბელარუსი) |
| 16 თებერვალი - 22 თებერვალი | ბოგოტა | 220 000 დოლარი | მარია მარტინეს-სანჩესი (ესპანეთი) |
| 23 თებერვალი - 1 მარტი | აკაპულკო | 220 000 დოლარი | ვინუს უილიამსი (აშშ) |
| 2 მარტი - 8 მარტი | მონტერეი | 220 000 დოლარი | მარიონ ბერტოლი (საფრანგეთი) |
| 11 მარტი - 22 მარტი | ინდიან-ველში | 4 500 000 დოლარი | ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) |
| 25 მარტი - 4 აპრილი | მაიამი | 4 500 000 დოლარი | ვიქტორია აზარენკო (ბელარუსი) |
| 6 აპრილი - 12 აპრილი | პონტე ვედრა | 220 000 დოლარი | კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) |
| 6 აპრილი - 12 აპრილი | მარბელა | 220 000 დოლარი | ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) |
| 13 აპრილი - 19 აპრილი | ჩარლსტონი | 1 000 000 დოლარი | საბინა ლისიცკი (გერმანია) |
| 13 აპრილი - 19 აპრილი | ბარსელონა | 220 000 დოლარი | რობერტა ვინჩი (იტალია) |

## რეიტინგი

### კაცები

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 15390 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 10760 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 9520 |
| 4. ერდი მიურეი (დ. ბრიტანეთი) | 8950 |
| 5. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 4580 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 4340 |
| 7. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 3790 |
| 8. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3675 |
| 9. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 3670 |
| 10. გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 3460 |
| 11. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 3305 |
| 12. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 2980 |
| 13. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2865 |
| 14. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2825 |
| 15. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2625 |
| 16. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2570 |
| 17. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2460 |
| 18. მარინ ჩილიჩი (ხორვატია) | 2415 |
| 19. რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) | 2370 |
| 20. მარატ საფინი (რუსეთი) | 2105 |

### ქალები

| | |
|---|---|
| 1. დინარა საფინა (რუსეთი) | 8951 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 8272 |
| 3. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 7391 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 7350 |
| 5. ვინუს უილიამსი (აშშ) | 7102 |
| 6. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 6270 |
| 7. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 5174 |
| 8. ვიქტორია აზარენკო (ბელარუსი) | 4646 |
| 9. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 4308 |
| 10. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 3840 |
| 11. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 3790 |
| 12. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 3606 |
| 13. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 3304 |
| 14. ფლავია პენეტა (იტალია) | 3040 |
| 15. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 2665 |
| 16. ციე ჟენი (ჩინეთი) | 2501 |
| 17. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 2415 |
| 18. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) | 2385 |
| 19. კაია კანელი (ესტონეთი) | 2310 |
| 20. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 2269 |



**სოფო მელიქიშვილი**
მიმდინარე რეიტინგი: 890
საუკეთესო პოზიცია: 259 (12.06.06)
წყვილთა თანრიგში მიმდინარე: -
საუკეთესო: 503 (29.05.06)



**ირაკლი ლაბაძე**
მიმდინარე რეიტინგი: 511
საუკეთესო პოზიცია: 42 (5.07.04)
წყვილთა თანრიგში მიმდინარე: 367
საუკეთესო: 100 (29.10.01)



**ლაზარე კუხალაშვილი**
მიმდინარე რეიტინგი: 895
საუკეთესო პოზიცია: 895 (20.04.09)
წყვილთა თანრიგში მიმდინარე: -
საუკეთესო: -



**ლადო ჩიხლაძე**
მიმდინარე რეიტინგი: 996
საუკეთესო პოზიცია: 350 (15.10.07)
წყვილთა თანრიგში მიმდინარე: 713
საუკეთესო: 572 (18.09.06)



**ნიკოლოზ ბასილაშვილი**
მიმდინარე რეიტინგი: 1009
საუკეთესო პოზიცია: 1009 (20.04.09)
წყვილთა თანრიგში მიმდინარე: -
საუკეთესო: -



**ნოდარ ითონიშვილი**
მიმდინარე რეიტინგი: 1306
საუკეთესო პოზიცია: 1058 (18.08.08)
წყვილთა თანრიგში მიმდინარე: -
საუკეთესო: 1219 (28.01.08)



**ბექა ბუჩუკური**
მიმდინარე რეიტინგი: 1548
საუკეთესო პოზიცია: 1540 (4.08.08)
წყვილთა თანრიგში მიმდინარე: -
საუკეთესო: -



**დემეტრე თაქთაქიშვილი**
მიმდინარე რეიტინგი: 1635
საუკეთესო პოზიცია: 1528 (21.07.08)
წყვილთა თანრიგში მიმდინარე: -
საუკეთესო: -

ეროვნული ბიბლიოთეკა

XX საუკუნის უდიდესი სპორტსმენები

# მან დაამარცხა ფიურერი



ბერლინის ოლიმპიადის პოდიუმი სიგრძეზე ხტომაში: შავკანიანი ჩემპიონი და ფაშისტურ ყაიდაზე ხელაღმართული გერმანელი სპორტსმენი

**ისტორიას არაერთი მაგალითი ახსოვს, როცა პოლიტიკურ კონფლიქტებსა და ომებს სპორტი დაუჩაგრავთ. თუნდაც მოსკოვისა და ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშები გავიხსენოთ.**

**გაცილებით ნაკლებია პირიქითა შემთხვევები — როცა პოლიტიკასთან ომში გამარჯვებული სპორტი გამოსულა, ხოლო რაინდ-სპორტსმენებს ულაპარაკოდ დაუჩაგრავთ „ძლიერნი ამა ქვეყნისა“.**

**სწორედ ასეთი რამ მოახერხა 73 წლის წინ შავკანიანმა ამერიკელმა მძლეოსანმა ჯესი ოუენმა, ვინაც თავისი იარაღით — ღონიერი, სწრაფი ფეხებით — ადოლფ ჰიტლერი დაამარცხა...**

ჯეიმს კლივლენდ ოუენი 1913 წლის 12 სექტემბერს დაიბადა მრავალშვილიანი ალაბამელი მუშის ოჯახში. მეათე შვილი იყო. საკმაოდ ხშირად ავადმყოფობდა, რისი მთავარი მიზეზიც უკიდურესი გაჭირვება იყო და, როგორც ხდება ხოლმე, ბავშვის ავადმყოფობა, ოჯახს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებდა. მთელი ზამთარი ღუმელთან იჯდა თბილად შეფუთნული და განუწყვეტლივ ახველებდა. ხელ-ფეხი გამუდმებით ფურუნკულებით ჰქონდა დაფარული. ექიმის და წამლის ფული არ ჰქონდათ და დედა შინაურულად მკურნალობდა — გავარვარებული დანით უჭრიდა ფურუნკულებს.

სკოლა სახლიდან 4,5 მილის მოშორებით იყო და უფროს და-ძმებს რომ არ ჩამორჩენოდა, ექვსი წლის ჯეიმსს ლამის სირბილით უწევდა ყოველდღე მათი დევნა.

სირბილმა ორგანიზმი მოუღონიერა და მტკიცე ხასიათიც ჩამოუყალიბა. საინტერესო უპირატესობაც აღმოაჩინა: კარგად თუ დარბიხარ და სხვებს უსწრებ, პირველმა შეგიძლია დაინახო ნებისმიერი რამ, რასაც სხვები შენს მერე დაინახავენ. ეს ერთგვარი თამაში იყო პატარა ბიჭისთვის.

სახლში ჯეი-სის ეძახდნენ — ორი სახელის პირველი ასოების მიხედვით. სკოლაში რომ მიიყვანეს, მასწავლებელს ბავშვის ჩუმად და მოკრძალებით ნათქვამი ჯეი-სი ჯესიდ მოესმა და ასეც ჩაწერა.

სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა ჩარლი რილიმ უმალ შენიშნა, რომ ჯესის ბავშვის კვალობაზე ფენომენალური სისწრაფე ჰქონდა, ძალიან მოქნილი იყო და მოძრაობის ჩინებული კოორდინაცია გააჩნდა. რილიმ ჯესის მძლეოსნობით სერიოზულად დაკავება ურჩია და არც შემცდარა. 15 წლის ჯესი 100 მეტრს 10,8 წამში გარბოდა, სიგრძეზე 7 მეტრზე ხტებოდა, სიმაღლეზე კი — 1,83 მეტრზე.

ჯესი ოუენი თეთრკანიანი რომ ყოფილიყო და ასეთი შედეგები ჰქონოდა, უმალ ვუნდერკინდად და მსოფლიო სპორტის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხავდნენ, მაგრამ ის ზანგი იყო, ზანგები კი ბავშვობაში ევროპელებზე სწრაფად ვითარდებიან. ამიტომ ამ შედეგების მიუხედავად, მის ვუნდერკინდად მოხსენიებას არავინ ჩქარობდა.

მოგვიანებით თავად დაწერა: „ჯერ კიდევ უმცროსი კლასებიდან მოყოლებული, ყოველდღე ვვარჯიშობდი. არასდროს ერთი დღეც არ ჩამიგდია. ჩემთვის ეს აუცილებელი იყო. მამაჩემი დღიური მუშა იყო, მე კი მსურდა, რაიმესთვის მიმეღწია, განათლება მიმეღო. ამაში სირბილი დამეხმარა. შეიძლება ითქვას, სირბილმა ხალხში გამომიყვანა.“

საუკეთესო სპორტული შედეგების გამოისობით ის ოჰაიოს უნივერსიტეტში მიიღეს, სადაც იმ დროისთვის განთქმულმა მწვრთნელმა ლარი სნეიდერმა შეიფარა. უნივერსიტეტშიც, ისევე როგორც თავის დროზე სკოლაში, ჯესიმ მწვრთნელი თავისი შეუპოვრობით გააოცა. ლარი სნეიდერი იხსენებდა: „მისნაირი შრომისმოყვარე და დამჯერი მოსწავლე არასდროს მყოლია. სტადიონიდან თუ დარბაზიდან ძალით უნდა გამოგეგდო, თავისით ვარჯიშის არ წყვეტდა.“

1935 წლის 25 მაისს კი მოხდა ისეთი რამ, რაც არც მანამდე და არც მას მერე — აგერ უკვე 74 წელია — არ მომხდარა: მიჩიგანის შტატის ქალაქ ენ-არბორში ჩატარებულ „დიდი ათეულის“ ტურნირზე ჯესი ოუენმა ერთ დღეს 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარა და მეოთხე გაიმეორა! დავაზუსტოთ: ეს ყველაფერი 45 წუთში შეძლო!

ახლა გავშიფროთ:

15.15 საათი: 100 იარდზე (91,44 მეტრი) სირბილში მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა — 9,4 წამი;

15.25 საათი: სიგრძეზე 8,13 მეტრზე გადახტა, რითაც ოლიმპიური ჩემპიონის იაპონელი ჩუხეი ნამბუს რეკორდი 15 სანტიმეტრით გააუმჯობესა;

15.45 საათი: 220 იარდზე სირბილში 20,3 წამი აჩვენა;

16.00 საათი: 220 იარდი ბარიერებით — 22,6 წამი.

ამ რეკორდებიდან უდიდესი კი სიგრძეზე ხტომაში დამყარებული გახლდათ. ჯესი ოუენი ისტორიაში პირველი სპორტსმენი გახდა, რომელმაც 8-მეტრიანი ზღვარი დასძლია და ეს რეკორდი მთელი 25 წელი ვერავინ დაამხო.

„რეკორდებზე არც მიფიქრია“ — მოკრძალებულად თქვა ჯესი ოუენმა შეჯიბრის დასრულებისთანავე. პრესამ კი უმალ „შავ ელვად“ მონათლა.

მეტი არც არაფერი რომ არ გაეკეთებინა, მსოფლიო სპორტის ისტორიაში მხოლოდ იმ ერთი დღის, უფრო სწორად, იმ 45 წუთის გამო შევიდოდა, მაგრამ ცხოვრების მთავარი ტრიუმფი წინ ჰქონდა. ბერლინის ოლიმპიადა ახლოვდებოდა, გერმანიას კი რასისტი ფიურერი, ადოლფ ჰიტლერი მართავდა.

ნაცისტები ბერლინის ოლიმპიურ თამაშებს პროპაგანდისტული მიზნებისთვის იყენებდნენ, რათა მსოფლიო თეთრი რასის უძლეველობაში დაერწმუნებინათ.

მიჩვეულები ვართ, რომ ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყანას ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაცია ჰყავს და მსაჯებიც ოდნავი სიმპათიით არიან-ხოლმე მასპინძლების მიმართ განწყობილნი. ესეც რომ არა, გერმანელები ისედაც სპორტული ერია და შეჯიბრებებზე წარმატება მათგან არავის უკვირს.

ჰოდა, ადოლფ ჰიტლერი დიდი სიამოვნებით ადევნებდა თვალს ოლიმპიადას და არიელი სპორტსმენების გამარჯვებებით ტკბებოდა, რომლებმაც 89 მედალი მოიპოვეს (33 ოქრო, 26 ვერცხლი, 30 ბრინჯაო).

ფიურერს კმაყოფილი ღიმილი ჯესი ოუენის 100 მეტრზე გამარჯვებამ გაუქრო.

კვალიფიკაციაში ჯესიმ მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა— 10,3 წამი; მეოთხედფინალში გააუმჯობესა — 19,2 წამი; ნახევარფინალში 10,4 წამი აჩვენა და... გადალახლილს ჩაეძინა.

სად არის ჯესი? — შეშფოთებული კითხულობდნენ თანაგუნდელები და მწვრთნელები და დაეძებდნენ. წუთი წუთზე გარბენი იწყებოდა. იპოვეს და გააღვიძეს. ფინალი 10,3 წამით მოიგო.

ჰიტლერმა დემონსტრაციულად დატოვა სტადიონი.

მეორე დღეს შეჯიბრი სიგრძეზე ხტომასა და 200 მეტრზე სირბილში იყო.

კვალიფიკაციაში ოუენმა ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, საღამოს კი ფინალები იყო.

სიგრძეზე ხტომაში ჯესი ოუენი 7,83 მეტრი შედეგით ლიდერობდა, როცა გერმანელი ლუც ლონგი, მართლაც ბრწყინვალე სპორტსმენი, 7,87-ზე გადახტა. სტადიონზე წარმოუდგენელი ჟრიამული ატყდა, ხარობდა ჰიტლერიც.

ოუენს კი ბოლო ცდა ჰქონდა.

8,06 მეტრი — ახალი ოლიმპიური რეკორდი, მეორე ოლიმპიური ოქრო და ადოლფ ჰიტლერი მეორედ გაცოფდა.

ერთ საათში ჯესმი ოუენმა 200 მეტრი მოიგო კიდევ ერთი ოლიმპიური რეკორდით (20,7წამი) და ჰიტლერის იდეოლოგიას მესამე ლახვარი ჩასცა.

მომდევნო დღეს კი ოუენმა მეოთხე ოქრო მოიგო ესტაფეტაში. (4x100). ამერიკელებმა ფინალი 39,8 წამი შედეგით მოიგეს და ესეც ახალი მსოფლიო რეკორდი იყო, რომელმაც კიდევ 20 წელი გაძლო.

ოთხი ოქრო ერთ ოლიმპიადაზე — ფენომენალური შედეგი, რომლის გამეორებაც მძლეოსნებიდან მხოლოდ კარლ ლუისმა შეძლო ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე 1984 წელს. და თუ გახსოვთ, წინა „სარბიელის“ ამავე რუბრიკაში გვეწერა, როგორ მივიდა პატარა კარლ ლუისთან რომელიღაც შეჯიბრის მერე ჭარმაგი კაცი, წარმატება უსურვა და რომ ის კაცი ჯესი ოუენი იყო...

და კაცმა არ იცის, კიდევ რამდენ ოლიმპიურ ოქროს მოიგებდა ჯესი ოუენი და რამდენ მსოფლიო რეკორდს დაამყარებდა, 23 წლისას სამოყვარულო სპორტიდან წასვლა რომ არ გადაეწყვიტა.

„მე მქონდა დიდება, სახელი, მაგრამ არ მქონდა ფული“ — თქვა ერთხელ ოუენმა. ამიტომაც ათასგვარ კომერციულ შოუებში იღებდა მონაწილეობას. ეჯიბრებოდა ცხენებს, ძაღლებს, ერთხელ კენგურუსაც კი გაეჯიბრა სირბილში.

ფული დააგროვა და ბიზნესს მიჰყო ხელი. 1980 წელს გარდაიცვალა 66 წლისა.

**გიორგი დარჯანია**

# სარბიელი და კრონი

## წარმოგიდგენთ

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **უეფა. ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 1 | ბარსელონა-ჩელსი | 1.75 | 3.35 | 4.85 | 1.14 | 1.28 | 1.98 |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 3 | მანჩესტერი-არსენალი | 1.85 | 3.25 | 4.30 | 1.17 | 1.29 | 1.85 |
| | | **უეფა. უეფას თასი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 5 | დინამო კ-შახტარი | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| 22:45 | 7 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 9 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 2.00 | 3.20 | 4.00 | 1.23 | 1.33 | 1.77 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 31 | ნორვიჩი-რედინგი | 2.45 | 3.20 | 2.80 | 1.38 | 1.30 | 1.49 |
| 22:45 | 32 | ნორვიჩი-რედინგი 0:1 | 5.00 | 4.50 | 1.45 | | | |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 134 | ოსნაბრიუკი-ჰანზა | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 218 | შაფჰაუზენი-ლუგანო | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 247 | ანკონა-ჩიტადელა | 2.15 | 2.70 | 3.70 | 1.19 | 1.35 | 1.56 |
| 23:00 | 248 | პარმა-სალერნიტანა | 1.40 | 3.60 | 9.00 | 1.00 | 1.21 | 2.57 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 393 | სტრასბური-მეცი | 2.45 | 2.90 | 3.00 | 1.32 | 1.34 | 1.47 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 19:15 | 527 | სლავია-ბოლესლავი | 1.60 | 3.60 | 5.70 | 1.10 | 1.24 | 2.20 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 561 | მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 1.35 | 4.40 | 9.00 | 1.03 | 1.17 | 2.95 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 747 | ლეიშოეში-გიმარაეში | 2.35 | 3.00 | 3.10 | 1.31 | 1.33 | 1.52 |
| 23:00 | 748 | ფერეირა-აკადემიკა | 2.15 | 3.10 | 3.45 | 1.26 | 1.32 | 1.63 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 749 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 2.45 | 3.30 | 2.75 | 1.40 | 1.29 | 1.50 |

### I ტაიმის შედეგი

| № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10009 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10031 | ნორვიჩი-რედინგი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10134 | ოსნაბრიუკი-ჰანზა | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10247 | ანკონა-ჩიტადელა | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10248 | პარმა-სალერნიტანა | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10393 | სტრასბური-მეცი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10527 | სლავია-ბოლესლავი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10561 | მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10747 | ლეიშოეში-გიმარაეში | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10748 | ფერეირა-აკადემიკა | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10749 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10001 | ბარსელონა-ჩელსი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10003 | მანჩესტერი-არსენალი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10005 | დინამო კ-შახტარი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10007 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |

### II ტაიმის შედეგი

| № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19009 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 2.35 | 2.45 | 3.40 | 1.19 | 1.38 | 1.42 |
| 19031 | ნორვიჩი-რედინგი | 2.55 | 2.30 | 2.90 | 1.20 | 1.35 | 1.28 |
| 19134 | ოსნაბრიუკი-ჰანზა | 2.90 | 2.40 | 2.65 | 1.31 | 1.38 | 1.25 |
| 19247 | ანკონა-ჩიტადელა | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |
| 19248 | პარმა-სალერნიტანა | 1.75 | 2.40 | 6.50 | 1.01 | 1.37 | 1.75 |
| 19393 | სტრასბური-მეცი | 2.55 | 2.30 | 2.90 | 1.20 | 1.35 | 1.28 |
| 19527 | სლავია-ბოლესლავი | 1.95 | 2.50 | 5.30 | 1.09 | 1.42 | 1.69 |
| 19561 | მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 1.65 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.31 | 1.80 |
| 19747 | ლეიშოეში-გიმარაეში | 2.40 | 2.50 | 3.00 | 1.22 | 1.33 | 1.36 |
| 19748 | ფერეირა-აკადემიკა | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |
| 19749 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 2.55 | 2.30 | 2.90 | 1.20 | 1.35 | 1.28 |
| 19001 | ბარსელონა-ჩელსი | 2.15 | 2.50 | 3.90 | 1.15 | 1.38 | 1.52 |
| 19003 | მანჩესტერი-არსენალი | 2.25 | 2.30 | 4.20 | 1.13 | 1.46 | 1.48 |
| 19005 | დინამო კ-შახტარი | 2.45 | 2.30 | 3.50 | 1.18 | 1.44 | 1.38 |
| 19007 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.45 | 2.30 | 3.50 | 1.18 | 1.44 | 1.38 |

### 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| № | Match | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11009 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11031 | ნორვიჩი-რედინგი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11134 | ოსნაბრიუკი-ჰანზა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11247 | ანკონა-ჩიტადელა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11248 | პარმა-სალერნიტანა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11393 | სტრასბური-მეცი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11527 | სლავია-ბოლესლავი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11561 | მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11747 | ლეიშოეში-გიმარაეში | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11748 | ფერეირა-აკადემიკა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11749 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11001 | ბარსელონა-ჩელსი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11003 | მანჩესტერი-არსენალი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11005 | დინამო კ-შახტარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11007 | ვერდერი-ჰამბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

### ფრეს გარეშე(ძირ დრო)

| № | Match | | |
|---|---|---|---|
| 16009 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.40 | 2.55 |
| 16031 | ნორვიჩი-რედინგი | 1.75 | 1.85 |
| 16134 | ოსნაბრიუკი-ჰანზა | 1.82 | 1.82 |
| 16247 | ანკონა-ჩიტადელა | 1.52 | 2.20 |
| 16248 | პარმა-სალერნიტანა | 1.11 | 5.70 |
| 16393 | სტრასბური-მეცი | 1.75 | 1.85 |
| 16527 | სლავია-ბოლესლავი | 1.22 | 3.40 |
| 16561 | მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 1.10 | 5.50 |
| 16747 | ლეიშოეში-გიმარაეში | 1.65 | 2.05 |
| 16748 | ფერეირა-აკადემიკა | 1.52 | 2.20 |
| 16749 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 1.75 | 1.85 |
| 16001 | ბარსელონა-ჩელსი | 1.25 | 3.40 |
| 16003 | მანჩესტერი-არსენალი | 1.32 | 3.00 |
| 16005 | დინამო კ-შახტარი | 1.50 | 2.45 |
| 16007 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.50 | 2.45 |

**შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე**

| რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი (ძირ. დრო) | | | |
|---|---|---|---|
| *15009 ნიუკასლი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15031 ნორვიჩი-რედინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15134. ოსნაბრიუკი-ჰანზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15247 ანკონა-ჩიტადელა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15248 პარმა-სალერნიტანა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15393 სტრასბური-მეცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15527 სლავია-ბოლესლავი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15561 მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15747 ლეიშოეში-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15748 ფერეირა-აკადემიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15749 ბოდიო გლიმტი-ბრანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15001 ბარსელონა-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15003 მანჩესტერი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15005 დინამო კ-შახტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15007 ვერდერი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო) | | | |
|---|---|---|---|
| *14009 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.70 | 2.20 |
| *14031 | ნორვიჩი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| *14134 | ოსნაბრიუკი-ჰანზა | 1.90 | 1.90 |
| *14247 | ანკონა-ჩიტადელა | 1.75 | 2.10 |
| *14248 | პარმა-სალერნიტანა | 1.20 | 2.60 |
| *14393 | სტრასბური-მეცი | 1.85 | 1.95 |
| *14527 | სლავია-ბოლესლავი | 1.30 | 2.50 |
| *14561 | მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 1.20 | 2.60 |
| *14747 | ლეიშოეში-გიმარაეში | 1.80 | 2.00 |
| *14748 | ფერეირა-აკადემიკა | 1.75 | 2.10 |
| *14749 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| *14001 | ბარსელონა-ჩელსი | 1.45 | 2.40 |
| *14003 | მანჩესტერი-არსენალი | 1.65 | 2.30 |
| *14005 | დინამო კ-შახტარი | 1.75 | 2.10 |
| *14007 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.75 | 2.10 |

| გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 13009 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13031 | ნორვიჩი-რედინგი | 1.60 | 2.00 |
| 13134 | ოსნაბრიუკი-ჰანზა | 1.50 | 2.10 |
| 13247 | ანკონა-ჩიტადელა | 1.70 | 1.90 |
| 13248 | პარმა-სალერნიტანა | 1.90 | 1.70 |
| 13393 | სტრასბური-მეცი | 1.70 | 1.90 |
| 13561 | მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 1.60 | 2.00 |
| 13747 | ლეიშოეში-გიმარაეში | 1.70 | 1.90 |
| 13748 | ფერეირა-აკადემიკა | 1.80 | 1.80 |
| 13749 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 1.50 | 2.10 |
| 13001 | ბარსელონა-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | მანჩესტერი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | დინამო კ-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |

| გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2.(0:0 ითვლება წყვილად) | | |
|---|---|---|
| 17009 ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17031 ნორვიჩი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17134 ოსნაბრიუკი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17247 ანკონა-ჩიტადელა | 1.85 | 1.95 |
| 17248 პარმა-სალერნიტანა | 1.85 | 1.95 |
| 17393 სტრასბური-მეცი | 1.85 | 1.95 |
| 17527 სლავია-ბოლესლავი | 1.85 | 1.95 |
| 17561 მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 1.85 | 1.95 |
| 17747 ლეიშოეში-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17748 ფერეირა-აკადემიკა | 1.85 | 1.95 |
| 17749 ბოდიო გლიმტი-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 17001 ბარსელონა-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17003 მანჩესტერი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17005 დინამო კ-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17007 ვერდერი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |

| პირველი ტაიმი ფრეს გარეშე | | |
|---|---|---|
| 23009 ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.20 | 1.80 |
| 23031 ნორვიჩი-რედინგი | 1.40 | 1.65 |
| 23134 ოსნაბრიუკი-ჰანზა | 1.50 | 1.47 |
| 23247 ანკონა-ჩიტადელა | 1.27 | 1.75 |
| 23248 პარმა-სალერნიტანა | 1.00 | 3.65 |
| 23393 სტრასბური-მეცი | 1.40 | 1.55 |
| 23527 სლავია-ბოლესლავი | 1.08 | 2.85 |
| 23561 მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 1.00 | 3.80 |
| 23747 ლეიშოეში-გიმარაეში | 1.35 | 1.60 |
| 23748 ფერეირა-აკადემიკა | 1.27 | 1.75 |
| 23749 ბოდიო გლიმტი-ბრანი | 1.40 | 1.55 |
| 23001 ბარსელონა-ჩელსი | 1.12 | 2.40 |
| 23003 მანჩესტერი-არსენალი | 1.14 | 2.25 |
| 23005 დინამო კ-შახტარი | 1.20 | 1.80 |
| 23007 ვერდერი-ჰამბურგი | 1.20 | 1.80 |

| რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირ. დრო) | | | | |
|---|---|---|---|---|
| *12009 ნიუკასლი-პორტსმუთი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| *12031 ნორვიჩი-რედინგი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| *12134 ოსნაბრიუკი-ჰანზა | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| *12247 ანკონა-ჩიტადელა | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| *12248 პარმა-სალერნიტანა | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| *12393 სტრასბური-მეცი | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| *12527 სლავია-ბოლესლავი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| *12561 მიდტიულანდი-სიონდერიისკე | 2,5 | 2.30 | 1.50 | 4.00 |
| *12747 ლეიშოეში-გიმარაეში | 2,5 | 1.50 | 2.10 | 7.25 |
| *12748 ფერეირა-აკადემიკა | 2,5 | 1.50 | 2.10 | 7.25 |
| *12749 ბოდიო გლიმტი-ბრანი | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| *12001 ბარსელონა-ჩელსი | 2,5 | 1.90 | 1.80 | 5.00 |
| *12003 მანჩესტერი-არსენალი | 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| *12005 დინამო კ-შახტარი | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| *12007 ვერდერი-ჰამბურგი | 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |

# მოურინიუ იბრას იყიდის



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

**ჟოზე მოურინიუ** არ ღელავს გუნდიდან იბრაჰიმოვიჩის შესაძლო წასვლის გამო.

შვედმა ფეხბურთელმა ინტერვიუში თქვა, რომ სხვა ქვეყნის ჩემპიონატში სიამოვნებით ითამაშებდა.

„ამ ინტერვიუს შესახებ ადრევე ვიცოდი და არა მგონია, რიმე სანერვიულო იყოს — განაცხდა „ინტერი" მწვრთნელმა — იბრაჰიმოვიჩის სიტყვები არაფრით განსხვავდება, მაგალითად, კაკას ან ტევესის სიტყვებისგან.

მეც ვამბობდი, რომ ინგლისური კლუბის გაჩემპიონება მსურდა, მერე ვთქვი, იტალიაში ვიმუშავებდი-მეთქი, ახლა კი გეტყვით, რომ მომავალში ესპანეთში წავალ.

ჩემ ნათქვამი შეიძლება ვილაცამ ისე გაიგოს, თითქოს მე „ინტერიდან" წასვლას ახლავე ვაპირებდე. მაგრამ ეს ასე არაა.

იგივეა იბრაჰიმოვიჩის შემთხვევაშიც. მან მხოლოდ გაამხილა სურვილი, რომ ოდესმე სხვა ქვეყნის ჩემპიონატში თამაში სურს.

არა მგონია, მასიმო მორატიმ შვედი გაყიდოს.

თუ მაინც დააპირებს გაყიდვას, მე ვიყიდი. 10 მილიონ ევროს როგორ ვერ ვიშოვი?"

# ლაურსენმა კარიერის ბოლო დაინახა

**„ასტონ ვილას"** მწვრთნელმა მარტინ ონილმა განაცხადა, რომ მისი გუნდის კაპიტანმა მარტინ ლაურსენმა შესაძლოა, კარიერა დაასრულოს.

დანიელი ფეხბურთელი ტრავმირებულია და 10 იანვრის მერე მოედანზე არ გასულა.

„თვითონ ლაურსენმაც არ იცის, რა იქნება მომავალში, რადგან ექიმი ზუსტ პასუხს ვერ ეუბნება — თქვა ონილმა — იგი ერთ კვირაში მოიფიქრებს, გააგრძელოს თუ დაასრულოს კარიერა. რაც არ უნდა გადაწყვიტოს, ჩვენ მის აზრს პატივს ვცემთ".

# სახალისო ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩემპიონთა ლიგა 2008–2009
### ნახევარფინალი. პირველი მატჩები

# 1894: ისტორიის გაგრძელება

### მანჩესტერი — არსენალი

— „მანჩესტერი"-„არსენალის" შეხვედრების ისტორია 1894 წლის 13 ოქტომბრიდან იწყება. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ეს კლუბები 204-ჯერ დაეჯახნენ ერთმანეთს და „მანჩესტერი" 82:77-ს იგებს.

— „მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგაში ინგლისურ გუნდს მეორედ ხვდება. აქამდე მხოლოდ „ჩელსისთან", ლიგის შარშანდელ ფინალში უთამაშია.

— „არსენალისთვის" „მანჩესტერი" მესამე პრემიერლიგელი მეტოქეა ლიგაში. შარშან „ლივერპულთან" წააგო, მანამდე (2004) კი „ჩელსისთან".

— „მანჩესტერი" ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ათჯერ გასულა, მაგრამ ფინალს მხოლოდ სამჯერ უწია.

| მანჩესტერის ბოლო ათი საშინაო მატჩი | არსენალის ბოლო ათი მატჩი სტუმრად |
|---|---|
| მანჩესტერი 1:0 ევერტონი | ჰალი 1:3 არსენალი |
| მანჩესტერი 3:0 ფულემი | კარდიფი 0:0 არსენალი ათ |
| მანჩესტერი 2:1 ბლექბერნი | ევერტონი 1:1 არსენალი |
| მანჩესტერი 0:0 ტოტენჰემი ლთ | ტოტენჰემი 0:0 არსენალი |
| მანჩესტერი 2:0 ინტერი ჩლ | ვ. ბრომვიჩი 1:3 არსენალი |
| მანჩესტერი 1:4 ლივერპული | რომა 1:0 არსენალი ჩლ |
| მანჩესტერი 3:2 ასტონ ვილა | ნიუკასლი 1:3 არსენალი |
| მანჩესტერი 2:2 პორტუ ჩლ | ვილიარეალი 1:1 არსენალი ჩლ |
| მანჩესტერი 2:0 პორტსმუთი | უიგანი 1:4 არსენალი |
| მანჩესტერი 5:2 ტოტენჰემი | ლივერპული 4:4 არსენალი |



| ბარსელონას ბოლო ათი საშინაო მატჩი | ჩელსის ბოლო ათი მატჩი სტუმრად |
|---|---|
| ბარსელონა 3:2 ესპანიოლი ეთ | უოტფორდი 1:3 ჩელსი ათ |
| ბარსელონა 2:0 მალიორკა ეთ | ასტონ ვილა 0:1 ჩელსი |
| ბარსელონა 3:1 ხიხონი | პორტსმუთი 0:1 ჩელსი |
| ბარსელონა 1:2 ესპანიოლი | ქოვენთრი 0:2 ჩელსი ათ |
| ბარსელონა 2:0 ბილბაო | იუვენტუსი 2:2 ჩელსი ჩლ |
| ბარსელონა 5:2 ლიონი ჩლ | ტოტენჰემი 1:0 ჩელსი |
| ბარსელონა 6:0 მალაგა | ნიუკასლი 0:2 ჩელსი |
| ბარსელონა 4:0 ბაიერნი | ლივერპული 1:3 ჩელსი ჩლ |
| ბარსელონა 2:0 უელვა | არსენალი 1:2 ჩელსი ათ |
| ბარსელონა 4:0 სევილია | ვესტ ჰემი 0:1 ჩელსი |

### ბარსელონა — ჩელსი

— ეს გუნდები პლეი ოფში მესამედ შეხვდებიან. 2000 წელს მეოთხედფინალში „ბარსამ" ორი მატჩის ჯამში 6:4 დაამარცხა ლონდონური კლუბი

2005-ის მერვედფინალში „ჩელსიმ" ორმატჩიან დუელში 5:4 იმარჯვა, ხოლო მომდევნო სეზონში „ბარსელონამ" 3:2 მოიგო და იმ წელს ჩემპიონთა თასიც დაისაკუთრა.

— ჩემპიონთა თასის ცხრა ნახევარფინალიდან „ბარსელონამ" ოთხი გაიარა. (1961, 1986, 1994 და 2006).

— ინგლისურ კლუბებთან 24 საშინაო მატჩიდან „ბარსამ" 13 მოიგო, ცხრა ფრედ დაასრულა და ორჯერ დამარცხდა.

— ბოლო ექვსი წლის განმავლობაში „ჩელსი" მეხუთედ ითამაშებს ნახევარფინალში, ფინალში კი მხოლოდ ერთხელ, შარშან გავიდა.

## უეფას თასი 2008-09. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები

# შინაური გარჩევა ფინალამდე



ორი წლის წინ ამათი მატჩი ასე დასრულდა

| დინამოს ბოლო ათი საშინაო მატჩი | შახტარის ბოლო ათი მატჩი სტუმრად |
|---|---|
| დინამო 1:0 ლვოვი | ტავრია 0:2 შახტარი |
| დინამო 2:1 დნიპრო | ოლექსანდრია 1:2 შახტარი უკთ |
| დინამო 1:0 ფენერბაჰჩე ჩლ | ბარსელონა 2:3 შახტარი ჩლ |
| დინამო 1:1 ვალენსია უთ | ტოტენჰემი 1:1 შახტარი უთ |
| დინამო 4:1 ვორსკლა | ილიჩევეცი 1:2 შახტარი |
| დინამო 1:0 მეტალისტი უთ | ცსკა 1:0 შახტარი უთ |
| დინამო 3:0 არსენალი | მეტალისტი 0:3 შახტარი |
| დინამო 3:0 ჩორნომორეცი | მეტალურგი (ზ) 1:0 შახტარი |
| დინამო 3:0 პსჟ | მარსელი 1:2 შახტარი უთ |
| დინამო — ხარკოვი | მეტალურგი (დ) 1:2 შახტარი |

### დინამო — შახტარი

— უეფას თასზე უკრაინული კლუბები პირველად ამ სეზონში გადაეყარნენ ერთმანეთს და ეს მეორე შეხვედრა იქნება.

კიევის „დინამომ" მერვედფინალში ხარკოვის „მეტალისტს" სძლია. შინ 1:0 მოუგო, ხარკოვში 2:3 წააგო და სტუმრად გატანილი გოლით გავიდა მეოთხედფინალში.

— აქამდე არც ერთი უკრაინული კლუბი უეფას თასის მეოთხედფინალს არ გასცილებია.

— უკრაინის ჩემპიონატში „დინამო" და „შახტარი" 34-ჯერ შეხვდნენ. 15 კიეველებმა მოიგეს, 8 დონეცკელებმა და 11 მატჩი ფრედ დასრულდა.

— „შახტარმა" ბოლოს კიევში 2004 წლის 15 ივლისს მოიგო. ამ გუნდების ბოლო შეხვედრა კი 2008 წლის 16 ნოემბერს დონეცკში „შახტარის" გამარჯვებით დასრულდა.



### ვერდერი — ჰამბურგი

| ვერდერის ბოლო ათი საშინაო მატჩი | ჰამბურგის ბოლო ათი მატჩი სტუმრად |
|---|---|
| ვერდერი 2:1 ვოლფსბურგი | სლავია 0:2 ჰამბურგი უთ |
| ვერდერი 1:2 არმინია | კიოლნი 1:2 ჰამბურგი |
| ვერდერი 1:1 გლადბახი | კარლსრუე 3:2 ჰამბურგი |
| ვერდერი 1:1 მილანი უთ | ნაიმეგენი 0:3 ჰამბურგი უთ |
| ვერდერი 0:0 ბაიერნი | ლევერკუზენი 1:2 ჰამბურგი |
| ვერდერი 1:0 სენტ ეტიენი უთ | გლადბახი 4:1 ჰამბურგი |
| ვერდერი 4:0 შტუტგარტი | გალათასარაი 2:3 ჰამბურგი უთ |
| ვერდერი 4:1 ჰანოვერი | შალკე 1:2 ჰამბურგი |
| ვერდერი 3:1 უდინეზე უთ | შტუტგარტი 1:0 ჰამბურგი |
| ვერდერი 3:2 ბოხუმი | სიტი 2:1 ჰამბურგი |



# ვან პერსი მანჩესტერს ვერ ნახავს

**„მანჩესტერთან"** ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ მატჩში „არსენალს" ტრავმირებული რობინ ვან პერსი ვერ დაეხმარება.

ჰოლანდიელი „ჩელსისთან" სათასო შეხვედრისას დაშავდა და 75-ე წუთზე შეცვალეს.

ვან პერსი ჩემპიონთა ლიგაში „არსენალის" ბომბარდირია 7 მატჩში 4 გოლით.

სავარაუდოდ, „მანჩესტერთან" გუნდს ვერ დაეხმარება მარცხენა მცველი გაელ კლიშიც, მაგრამ საპასუხოსთვის უკვე მწყობრში იქნება.

ამასობაში კი მანუელ ალმუნია, იოჰან ჯურუ და ემანუელ ადებაიორი გამოჯანმრთელდნენ, რომლებიც ოთხშაბათს ლიგის ნახევარფინალში ითამაშებენ.

# წუწუნმა უემბლიზე ბალახი შეცვალა

**ალექს ფერგიუსონმა** და არსენ ვენგერმა იმდენი იწუწუნეს, რომ „უემბლიზე" საფარს შეცვლიან.

„არსენალმა" „ჩელსისთან", „მანჩესტერმა" კი „ევერტონთან" ასოციაციის თასის ნახევარფინალი „უემბლიზე" წააგეს.

წაგებული გუნდების მწვრთნელებმა ორ ხმაში დაიწუნეს ბალახის საფარი და სტადიონის შეფებმა მისი გამოცვლა გადაწყვიტეს.

ახალი ბალახი „უემბლიზე" 9 მაისისთვის მზად იქნება, როცა ერთმანეთს თასის ფინალში „ჩელსი" და „ევერტონი" შეხვდებიან.

ადმინისტრაცია სტადიონისა, რომლის მშენებლობაც 2007-ში დასრულდა, აცხადებს, რომ ბალახის საფარი „უემბლის" უნიკალური არქიტექტურის გამო ფუჭდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემმა დამ შენისთანა სულელს უნდა უსმინოს?

## ფრენკ ლამპარდი: სუსტი, ცუდი, ნაძირალა...



ფრენკ ლამპარდი და ელენ რივსი



ჯეიმს ობრაიენი



ფრენკ ლამპარდის და

**ლონდონის** რადიო ელ-ბი-სი-ს ჟურნალისტმა ჯეიმს ობრაიენმა ფრენკ ლამპარდს სუსტი, ცუდი და ნაძირალა მამა უწოდა.

ლამპარდის ყოფილ ცოლს ელენ რივსს დაუჩივლია:„ მე ორი შვილით პატარა ბინაში ვცხოვრობ, ფრენკი კი 9-მილიონიან სასახლეში".

ობრაიენსაც ამის მერე უთქვამს, ყველა მამა, ვინც ასე მიაგდებს შვილებს, ნაძირალააო.

ეს ამბავი ლამპარდის დას მოუსმენია და ნამტირალევს ძმისთვის დაურეკავს.

ორი წლის ლუნას და ერთი წლის ისლეს მამა გაბრაზებულა და ობრაიენს სტუდიაში დაურეკა:

„ყოველი გირვანქა, რომელსაც ვიღებ და ყოველი მეტრი რომელსაც გავრბივარ მოედანზე, შვილებისთვისაა.

სამწუხაროდ, მე გავშორდი ელენს და ის ბავშვებთან ცალკე ცხოვრობს, მაგრამ სულაც არ არიან პატარა ბინაში.

თქვენ არაფერი იცით ჩემს შესახებ. შეურაცხმყოფელია ჩემთვის, როცა ამბობთ, რომ თქვენ შვილებისთვის კბილებით და ფრჩხილებით იბრძოლებთ, მე კი თურმე ამას არ ვაკეთებ.

თქვენი აზრით, აბა რას ვაკეთებდი ბოლო ორი წლის განმავლობაში? შვილებისთვის ვიბრძვი და ვცხოვრობ.

იცით რა საშინელებაა, ყოველ დილას რომ მეღვიძება და ბავშვები გვერდით არ მყავს?

ჰოდა, სანამ სხვებს სუსტებს და ნაძირლებს უწოდებთ რადიოდან, უნდა დაფიქრდეთ.

არ გისურვებთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თქვენთან მოვიდეს ცოლი და გითხრათ, რომ აღარ უნდიხართ. წავა, წაიყვანს ბავშვებს და მერე ჩემსავით მოგენატრებათ შვილები.

იცით, რა არის ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც დაგირეკეთ? ჩემი და საშინელ დღეში ჩავარდა.

როგორ ფიქრობთ, უნდა მას თქვენისთანა იდიოტების მოსმენა?

ზოგჯერ, სანამ რამეს იტყვი, დაფიქრებაა საჭირო.

მომავალში რადიოშოუ დაივიწყე და როგორც კაცი კაცს, ისე დაგელაპარაკები".

ჯეიმს ობრაიენმა ბოდიში არ მოიხადა.






## ყვირილი ეგრე არ უნდაო

**„მანჩესტერ სიტის"** მწვრთნელი მარკ ჰიუზი და მცველი მაიკა რიჩარდსი ვარჯიშზე შეკამათდნენ.

ჰიუზმა ფეხბურთელებს უხმო და რიჩარდსს რაღაცაზე შენიშვნა მისცა.

გაბრაზებულმა მცველმა მწვრთნელს უყვირა და თავი გასახდელში დურთა.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ ჰიუზმა რიჩარდსი ოთახში დაიბარა და გვარიანად შეჯორა თავნებობისთვის. ამის მერე ფეხბურთელი ბაზიდან თავჩაქინდრული წავიდა. 20 წლის რიჩარდსი ამ სეზონში ცუდად თამაშობს, ადგილი ნაკრებშიც დაკარგა და ფანებმაც აითვალწუნეს.

## ინდოეთს ლივერპული აჩვენეს

**„ნიუს ოფ ზე ვორლდის"** ცნობით, „ლივერპულის" თანამფლობელი ტომ ჰიკსი ინდურ კომპანია GMR-თან მოლაპარაკებას აწარმოებს კლუბის გაყიდვის თაობაზე.

ინდოელი ბიზნესმენები „ლივერპული" — „არსენალის" მატჩზე ჰიკსმა მიიწვია და სტუმრებს მისმა შვილმა ტონიმ უმასპინძლა.

„ლივერპულის" პატრონმა კომპანიასთან უკვე გააფორმა სპონსორული ხელშეკრულება, რაც შეიძლება, სამომავლო გარიგების პირველ ნაბიჯად ჩაითვალოს. GMR ინდოეთის კრიკეტის პრემიერლიგის მფლობელია.

## კაკა სხვისი პირით ლაპარაკობს




**კაკას** აგენტი „მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლებს შეხვდა და ტრანსფერზე ესაუბრა.

„სანის" ცნობით, ეს შეხვედრა პარასკევს გაიმართა და ჯერჯერობით მხოლოდ ფეხბურთელის პირად კონტრაქტზე ილაპარაკეს.

აგენტი კაკასთვის 5-წლიან კონტრაქტს და წელიწადში 7 მილიონ გირვანქას ითხოვს. „მანჩესტერი" არ აპირებს „მილანისთვის" „სიტივით" 100 მილიონის შეთავაზებას და დაახლოებით 50 მილიონის გადამხდელია. ამ ფულს კი „მანჩესტერი" „რეალში" კრიშტიანუ რონალდუს გაყიდვით მოიგდებს ხელში.

რონალდუ ისეთი კარგი ვერაა ამ სეზონში, როგორიც შარშან იყო და კლუბი, ალბათ, შეელევა პორტუგალიელს.

## ალკმაარის ბაზრობა

**ჰოლანდიის** ჩემპიონ „ალკმაარის" ფეხბურთელებზე ბობოლა ევროპულმა კლუბებმა ნადირობა უკვე დაიწყეს.

„ალკმაარის" პრეზიდენტმა დირკ შერინგმა „ტელეგრააფს" განუცხადა, რომ „ვიტესთან" მატჩისას მისი გუნდის ფეხბურთელების სანახავად „ბაიერნის", „შალკეს", „ვერდერის" და რამდენიმე ინგლისური კლუბის სკაუტები მივიდნენ.

განსაკუთრებული მოთხოვნაა მეკარე რომეროზე, მუსა დემბელეზე, დემი დე ზეუვზე და მუნირ ელ ჰამდაუზე.

არგენტინელი რომეროს ყიდვა მიუნხენის „ბაიერნს" სურს.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუნი გამონაკლისია



**უეინ რუნის** ამ ზაფხულს „მანჩესტერი“ ექვსწლიან კონტრაქტს შესთავაზებს.

ინგლისელ ფორვარდს ამჟამინდელი ხელშეკრულება, რომლითაც კვირაში 100 ათას გირვანქას იღებს, 2011-ში ეწურება.

ახალი კონტრაქტით რუნი ფერდინანდს და რონალდუს გაუტოლდება და 125 ათასს ჩაიჯიბავს.

როგორც წესი, „იუნაიტედის“ შეფები ძველი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ორი წლით ადრე არ უხანგრძლივებენ კონტრაქტებს ფეხბურთელებს, მაგრამ რუნის შემთხვევაში გამონაკლისი დაუშვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ადრიანო გაწყვიტეს

**„ინტერმა“** ადრიანოსთან კონტრაქტი ოფიციალურად გაწყვიტა.

ბრაზილიელი ფორვარდი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების შემდეგ სამშობლოდან იტალიაში აღარ დაბრუნდა და თქვა, რომ ფეხბურთისგან დროებით დაისვენებს.

კონტრაქტის გაწყვეტის საკითხი ფეხბურთელის აგენტმა მოაგვარა და ადრიანო 1 აპრილიდან „ინტერის“ მოთამაშედ აღარ ითვლება.

ადრიანოს მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ამ წლის ბოლომდე ის ევროპულ კლუბში თამაშს არ აპირებს.

**რომან თურძია**

# ლუიშ ფელიპე სკოლარი აბრამოვიჩიდან ანგოლამდე

**თებერვალში** „ჩელსიდან“ მოხსნილმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ შესაძლოა, ანგოლის ნაკრები ჩაიბაროს.

პორტუგალიური ყოველკვირეული „სოლის“ ცნობით, ანგოლის ფეხბურთის ფედერაცია ბრაზილიელს ჯამაგირზე უკვე შეუთანხმდა, მაგრამ სკოლარი საბოლოო გადაწყვეტილებას ანგოლაში ჩასვლის შემდეგ მიიღებს.

მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი რომან აბრამოვიჩმა თებერვალში მოხსნა და მის ნაცვლად სეზონის ბოლომდე გუს ჰიდინკი დანიშნა.

ანგოლა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად 2006 წელს ითამაშა, 2010-ის მუნდიალის საგზურისთვის ბრძოლას გამოეთიშა, მაგრამ 2010-ში აფრიკის ერთა თასს უმასპინძლებს.





# არ იყიდება!

**ფრანკ რიბერის** ტრანსფერის გარშემო დიდი ამბავია ატეხილი. ზოგს „მანჩესტერში“ გადაჰყავს, ზოგს „ბარსელონაში“ და ზოგს „რეალში“, მაგრამ „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა თქვა, რომ არც ერთი კლუბისგან ოფიციალური წინადადება არ მიუღია და იმედოვნებს, რომ ფრანგი გუნდში კონტრაქტის ბოლომდე დარჩება.

„რიბერის კონტრაქტი 2011-ში უმთავრდება — განაცხადა მენეჯერმა — და მისი გაყიდვის არანაირი სურვილი არ მაქვს.“

# მილუტინოვიჩს ესლა აკლდა

**64 წლის** სერბი ბორა მილუტინოვიჩი ერაყის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს.

კონტრაქტზე ხელის მოწერისას მილუტინოვიჩმა თქვა, რომ ქვეყანაში მიმდინარე ამბები მას არ აშინებს და სამუშაოზე თანახმაა.

„ბედნიერი ვარ აქ ყოფნით და ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა გუნდი კონფედერაციის თასისთვის სათანადოდ მოვამზადო“— თქვა სერბმა.

ბორა მილუტინოვიჩს მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთი სხვადასხვა ქვეყნის ნაკრები უთამაშებია: მექსიკა (1986), კოსტა რიკა (1990), აშშ (1994), ნიგერია (1998) და ჩინეთი (2002).

ერაყის ნაკრებმა 2007 წელს ბრაზილიელი მწვრთნელი ჟორვან ვიეირას თაკაცობით აზიის თასი მოიგო, მაგრამ ამ წლის თებერვალში მოხსნეს.



# დავეწიოთ და გავასწროთ თეო უოლკოტს

**1946 წლის შემდეგ „ენფილდზე“ „ლივერპულის“ კარში ერთ ფეხბურთელს ოთხი გოლი არ გაეტანა და ეს ანდრეი არშავინმა მოახერხა გასულ კვირაში. 63 წლის წინ კი „ლივერპულთან“ პოკერი „ვულვერჰემპტონის“ მეგოლემ დენის უოსკოტმა შეასრულა. „სპორტ-ექსპრესის“ კორესპონდენტი „არსენალის“ ფორვარდ არშავინს ენფილდურ მატჩზე ესაუბრა...**

**— კარიერაში პირველი პოკერის შემდეგ, თანაც „ენფილდზე“, შეგიძლიათ თუ არა მოძებნოთ სიტყვები, რომლითაც სიხარულს გამოხატავთ?**

— განსაკუთრებული სიტყვები საჭირო არცაა. უბრალოდ, შინაგანად ვგრძნობ სიამოვნებას. თუმცა, ისიცაა, რომ ამაზე უკეთესი შეგრძნება, ალბათ, აღარ მექნება. ოთხი გოლის გატანა „ლივერპულის“ კი არა, მეორე ლიგის გუნდის კარშიც კი ძნელია.

**— ოთხჯერ დაარტყით კარში და ოთხივე გაიტანეთ...**

— თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბურთი სულ რაღაც ათჯერ მივიღე, იმის თქმაც შეიძლება, რომ ამ პოკერში ზებუნებრივი ძალები ჩაერივნენ.

**— განსაკუთრებით რომელი გოლი მოგეწონათ?**

— არ ვიცი. პირველი კარგ კომბინაციას მოჰყვა, მეორე გოლისას კი დარტყმა გამომივიდა ძალია კარგი.

**— მეოთხეზე რას იტყვით? თამაშის ბოლოს როგორ აკრიფეთ ასეთი სისწრაფე, რომ უოლკოტს გაასწარით და საკუთარი საჯარიმოდან მეტოქის საჯარიმომდე მიხვედით...**

— თვითონ მიკვირს. უოლკოტზე სწრაფი „არსენალში“ კი არა, მთელ პრემიერლიგაში რავინაა და მეც არ ვიცი, როგორ მოვახერე. ალბათ, ჩემი დღე იყო.

**— პრემიერლიგელი ფეხბურთელისთვის „ენფილდზე“ პოკერის გარდა უფრო დიდი მიღწევა რა უნდა იყოს?**

— ცხადია, ჩემპიონობა. აბა მე „ოლდ ტრაფორდზე“ ხუთ გოლს ვინ გამატანინებს?

**— თანაგუნდელებმა რა გითხრეს პოკერის შემდეგ?**

— მეხუმრებოდნენ. მეუბნებოდნენ, გაგვგზავნებით, სადაც გინდაო, ან შენს ჩანთას წავიღებთ და ფეხსაცმელს გაგიწმენდთო. ბურთი წავიღეთ, თვითმფრინავში ყველამ ხელი მოაწერა და მე მაჩუქეს.

**— რჩება შთაბეჭდილება, რომ თითქოს თანაგუნდელები ვერ გხედავენ და პასს არ გაძლევენ...**

— ალბათ იმიტომ, რომ ცუდად ვარ გახსნილი, ან ვინმე უკეთეს პოზიციაშია. სხვა მიზეზი არ არსებობს.



ანდრეი არშავინის მეოთხე გოლი „ლივერპულთან“ მატჩში

# ზიდანი: იმაზე ვერ ვილაპარაკებ

**კარიერის დასრულების შემდეგ ზინედინ ზიდანი იშვიათად ჩნდება კამერებთან და კიდევ უფრო იშვიათია მისი ინტერვიუები. სამხრეთ აფრიკაში სტუმრად ჩასულმა ზიდანმა ხუთი-ხუთზე ტურნირში მონაწილეობა მიიღო, ქვეყანა ნახა და fifa.com-ს ინტერვიუ მისცა...**



**— სამხრეთ აფრიკაში გატარებული დღეების შემდეგ როგორია თქვენი შთაბეჭდილება ამ ქვეყანაზე?**

— ძალიან ლამაზია. დიდად მოხიბლული და ნასიამოვნები ვარ. ბევრი არ იცნობს ამ ქვეყანას და ვინც ნახავს, დარწმუნებული ვარ, ჩემსავით კმაყოფილი დარჩება

**— თქვენ წარმოშობით ალჟირელი ხართ. როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ფიფა მსოფლიოს ჩემპიონატს პირველად ჩაატარებს აფრიკის კონტინენტზე?**

— აფრიკული ფეხბურთისთვის ეს განსაკუთრებული ამბავია. ჩემთვის მეტად ამაღელვებელია, კონტინენტისთვის კი იმის დამტკიცების შანსია, რომ აქ დიდი ტურნირის მასპინძლობა კარგად შეუძლიათ. მჯერა, რომ აფრიკული ნაკრებები, როგორც შინაურები, ამ ტურნირზე საუკეთესო თვისებებს გამოავლენენ. ყველა ფეხბურთელისთვის ხომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში დიდი პატივია და თავს არავინ დაზოგავს.

ფრანგებმა საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რომ შენი გულშემატკივრის თვალწინ მოტივაცია გამატება და უკეთესად თამაშობ. სწორედ ეს დაგვეხმარა 1998 წელს ჩემპიონობაში.

**— თქვენი აზრით, რას ნიშნავს მსოფლიოს ჩემპიონატი სამხრეთ-აფრიკელი ხალხისთვის?**

— მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ნებისმიერი ქვეყნისთვის განსაკუთრებული ამბავია და დარწმუნებული ვარ, ეს ტურნირი სამხრეთაფრიკელებისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, ხალხს გააერთიანებს და გაახარებს. მსგავსი რამ ხომ ყოველ წელს არ ხდება.

**— თქვენ კარგად იცით, რას ნიშნავს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა, რადგან 1998-ში საფრანგეთმა ჩემპიონატი შინ მოიგო. ეგებ გაგვიზიაროთ მაშინდელი შთაბეჭდილება?**

— არასოდეს დამავიწყდება ის მომენტი, როცა ფინალის შემდეგ ხალხი ქუჩაში გამოიშალა და მათ შორის ბევრი სიხარულისგან ტიროდა. ყველა ბედნიერი იყო, შავიც და თეთრიც.

ასე ძლიერ, ალბათ, არაფერი არ მოქმედებს ხალხზე.

**— ივნისში ფიფას კონფედერაციათა თასს ვინ მოიგებს?**

— ვერ გეტყვით, ძნელი სათქმელია. ის კი ვიცი, რომ ძალიან საინტერესო ტურნირი იქნება.

**— ალბათ ბევრს უკითხავს თქვენთვის მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალში მომხდარზე. კიდევ ერთხელ რომ გქონდეთ ამ ფინალის თამაშის შანსი, იგივეს გაიმეორებდით?**

— ამაზე საუბარი ნამდვილად არ მსურდა. ძალიან ბევრი ითქვა იმ თამაშზე და ბევრი დაიწერა მომხდარზე და ჩემთვის ის უკვე ისტორიაა, წარსულია. დიდებული მატჩი გამოვიდა, მაგრამ სამწუხაროდ პენალტებში დავმარცხდით.

**— მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატამდე „რეალის" შემადგენლობაში ბოლო მატჩი „ვილიარეალის" წინააღმდეგ ითამაშეთ. რას გრძნობდით „სანტიაგო ბერნაბეუდან" გასვლისას?**

— ძალიან ემოციური მომენტი იყო. ბევრი, ვინც მიცნობს, იტყვის, რომ ემოციებს ძალიან იშვიათად გამოვხატავ, მაგრამ ის დღე განსაკუთრებული იყო.

ტრიბუნაზე ჩემი ცოლ-შვილი და მეგობრები დავინახე. ისინი ჩემს მხარდასაჭერად იყვნენ მოსულნი. ამანაც დიდად იმოქმედა ჩემზე და ის მატჩი კიდევ უფრო განსაკუთრებული გახადა. ძალიან დიდი ძალისხმევა დამჭირდა ცრემლის შესაკავებლად. ყველაზე მძიმე კი იმის გააზრებაა, რომ ეს შენი ბოლო საკლუბო მატჩია.

**— კარიერაში ყველაზე დიდ მიღწევად რა მიგაჩნიათ?**

— რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონობა.

**— თქვენს მერე საფრანგეთის ნაკრებს რთული პერიოდი დაუდგა. ამაზე რას ფიქრობთ?**

— გასაგებია, რომ გულშემატკივრები გუნდისგან უკეთეს შედეგებს ელიან, მაგრამ არასწორია იმის თქმა, რომ ჩვენ ცუდი ნაკრები გვყავს. საფრანგეთში ნიჭიერი ფეხბურთელები კვლავაც არიან და ამ რთულ პერიოდს ნაკრებიც მალე გადალახავს.

# ლუის ვან გაალს ბელგიელები ეძებენ



**ბელგიის** ფეხბურთის ფედერაციას ნაკრების მწვრთნელად ლუის ვან გაალი სურს, რომელმაც ერთი კვირის წინ „ალკმაარი" გაachემპიონა.

გაზეთმა „ჰეტ ლაატსტემ" დაწერა, რომ ფედერაციის რამდენიმე ჩინოვნიკი ჰოლანდიაში ვან გაალთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა.

ჰოლანდიელ მწვრთნელს „ალკმაართან" კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს, მაგრამ გამორიცხული არაა, კლუბში და ნაკრებში ერთდროულად იმუშაოს.

„ეს იდეალური ვარიანტი არაა, მაგრამ ზოგი კანდიდატისთვის მისაღებია" — თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანსუა დე კეერსმაეკერმა.

ბელგიელთა ყოფილი თავკაცი რენე ვანდერეიკენი, რომელიც ნაკრებში 2006 წლიდან იყო, აპრილში მოხსნეს.

მან გუნდი ვერც ევრო 2008-ზე გაიყვანა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევშიც ექვს მატჩში ოდენ შვიდი ქულა მოაგროვა.

ორი კვირის წინ ბელგიელებმა ვანდერეიკენის ადგილი „მარსელის" მწვრთნელს ერიკ გერეტსს შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს.

ვან გაალის გარდა კანდიდატთა სიაში არიან ბელგიელი უგო ბროოსი, მარკ ვილმოტსი, ფრანსუა დე სარტი და რუმინელი ლასლო ბოლონი, რომელიც ამჟამად „სტანდარდს" წვრთნის.

**ვაჟა ხუციშვილი**




# ბანდერასიც ბარსელონაა

**„ბარსელონას"** ქება-დიდებაში ანტონიო ბანდერასიც გაერია. გასულ კვირაში „ბარსა" — „სევილიას" მატჩს (4:0) „კამპ ნოუზე" მალაგაში დაბადებული მსახიობიც დაესწრო და მერე ხუან ლაპორტასთან ერთად სურათიც გადაიღო.

ლაპორტამ ბანდერასს მაისურა უფეშქაშა, მსახიობმა კი გუნდი აქო: „დარწმუნებული ვარ, რომ „ბარსელონა" სამივე ტურნირს მოგებს. ჩემპიონატსაც, ჩემპიონთა თასსაც და სამეფო თასსაც. გუნდი საუცხოოდ თამაშობს, დღეს კი ანდრეს ინიესტა ნამდვილი ვარსკვლავი იყო".

# იდიოტობის მუნოსავი

**„პალერმოს"** მცველი მორის კაროციერი კოკაინზე ჩავარდა. 28 წლის ფეხბურთელი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა.

5 აპრილს „ტორინოსთან" მატჩის შემდეგ კაროციერიმ დოპინგ-ტესტი გაიარა და ანალიზმა კოკაინის კვალი აღმოაჩინა. ამის შესახებ იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადა.

„გაოგნებულები ვართ — თქვა კლუბის პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ — ჩვენ მუდმივად ვებრძვით აკრძალული პრეპარატების გამოყენებას, რომლებიც ახალგაზრდების ჯანმრთელობას ვნებენ. ძალიან სამწუხარო ცნობა მოგვივიდა ოლიმპიური კომიტეტისგან და საწყენია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც ღამის კლუბებში დადიან, ასე იდიოტურად ერთობიან.

ეს მათ სპორტულ ცხოვრებას არაფერს მატებს და ორგანიზმსაც იფუჭებენ. თუ ეს მართალია და კაროციერიმ კოკაინი მიიღო, უნდა აღიაროს".

პალერმოელს, სულ მცირე, ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პეპე: არ ვარ მე ის კაცი!



**პეპეს** წიხლის ქნევით რინგზე მოჩხუბრები ისე მოხიბლულან, რომ რინგზე საჩხუბრად ეპატიჟებიან.

მსოფლიო ვარსკვლავები 2 მაისს პორტუგალიის ქალაქ მატუზინიუშში იკრიბებიან მორიგი შოუს გასამართად და ამ საქმის ორგანიზატორმა თქვა: „ოფიციალურად ვეპატიჟებით პეპეს, რათა აგრესია რინგზე გამოავლინოს“.

ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, მეტსახელად „აისბერგმა“, პეპესთან შერკინების სურვილი გამოთქვა.

30 მილიონ ევროიან პორტუგალიელს კი სულ არ ეაისბერგება.

მისი საქციელი არ იყო ის, რასაც ფეხბურთში წესის დარღვევა ჰქვია. ეს ფაქტობრივად კრიმინალია მოედანზე — სხეულის განზრახ დაზიანება დამამძიმებელ გარემოებაში. ამ შემთხვევაში, წაქცეულის წიხლით ცემა.

რა სატანა შეუძვრა პეპეს, ესპანეთის ჩემპიონატის წინა ტურში, ასე რომ გაიმეტა ხეტაფელი ხავიერ კასკერო? ჯერ ხელი ჰკრა და წააქცია, მერე ორჯერ წიხლი ჩაახილა და ვითომ ბოდიშის მოსახდელად მისულმა, ქაცვები ჩააზილა წვივსუკანა კუნთში.

ამით არ დამთავრებულა.

კასკეროს გამოესარჩლა ხუან ალბინი, რომელსაც გაგოს ზურგსამოფარებულმა პეპემ ყბაში წაარტყა.

არც აქ დამთავრებულა.

მოედნიდან გასვლისას მეოთხე მსაჯი გალანძლა და მიუხედავად იმისა, რომ გაძევებული იყო, იგუაინის გოლის მერე მოედანზე საზეიმოდ შევარდა.

პეპეს 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, რომელიც მომდევნო სეზონში გადაჰყვება. 4 კასკეროს ჩაწიხვლისთვის, 4 ალბინის ცემისთვის, ერთი მსაჯის გალანძღვისთვის და ერთიც წითელი ბარათისთვის.

ამ რიარიაში გაერია „რეალის“ ბრაზილიელი მარსელოც, რომელიც ნამატჩევს ხეტაფელებს ენას უყოფდა, ხელს ფეხებშუა იკიდებდა და ცდილობდა, რომ როგორმე მეტოქის ნერვებზე ეთამაშა.

ბრაზილიელმა საქციელისთვის მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე მოიბოდიშა და თქვა, რომ კლუბი თუ დასჯის, მართალიც იქნება.

„რვა წელია პროფესიულ ფეხბურთში ვარ და ასეთი საშინელი დღე კარიერაში არ მქონია — დაიჩივლა პეპემ — იმ წუთას რას ვაკეთებდი, თვითონაც არ ვიცი. ისე ძალიან მინდოდა მოგება, რომ ბრძოლაში საკუთარ თავზე კონტროლი დავკარგე. ბოდიშს ვუხდი ყველას.

ეპიზოდი განმეორებით რამდენჯერმე ვნახე, მაგრამ საკუთარი თავი ვერ ვიცანი. იმ წუთას ის ადამიანი მე არ ვიყავი.

პირობას ვდებ, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდება. მატჩის შემდეგ ისეთ ხასიათზე ვიყავი, რომ ფეხბურთის თამაშის სურვილიც კი გამიქრა“.

პეპემ კასკეროს დაურეკა მოსაბოდიშებლად, მაგრამ ნაცემმა არ უპასუხა და პორტუგალიელმა შეტყობინება დაუტოვა.

ალბათ, ხუან ალბინსაც დაურეკავს, როცა ნომერს გაიგებს.

„ხეტაფეს“ პრეზიდენტი ანხელ ტორესი გაცოფებული იყო:

„ყელში ამომივიდა ამ ლაწირაკების თავხედობა! „რეალის“ შეფების ადგილზე პეპეს დაუყოვნებლივ გავუშვებდი გუნდიდან. რა არის ეს?! ჯერ ერთი ფეხბურთელი ჩაწიხლა, მეორეს მუშტი ჰკრა, იგუაინის გოლის მერე მოედანზე შემოვარდა და ყველას ნაბიჭვრები გვეძახა.

კიდევ იმ წვინტლიანი მარსელოს საქციელი არ მესმის. შეშლილივით დარბოდა, ხელს იკიდებდა ასოზე და პროვოკატორობდა.

პეპეს და მარსელოს შემხედვარე ბავშვებმა რა უნდა ისწავლონ?“

„არ ვიცი რა გადაუბრუდნა თავში პეპეს, მაგრამ ის, რაც მან ჩაიდინა, ყველა საზღვარს სცდება — თქვა ბარსელონელმა ხავიმ —ეს ძალიან სამარცხვინოა. „ბარსელონას“ და „რეალის“ ფეხბურთელები სამაგალითონი უნდა იყვნენ, ჩვენ კი რას ვხედავთ?“

„რეალის“ მწვრთნელი ხუანდე რამოსი: „პეპემ გაისიგრძეგანა, რომ საზიზღრად მოიქცა და პირობა დადო, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება. ამიტომაც მოითხოვა მედიასთან შეხვედრა და საჯაროდ მოიბოდიშა“.

**ვაჟა ხუციშვილი**





## ვიერი გაღმა მიდის

**„ატალანტადან“** წასულმა კრისტიან ვიერიმ კარიერა შესაძლოა ბრაზილიაში გააგრძელოს — თქვა ფეხბურთელის აგენტმა ფრენკ ასუნსაომ.

იტალიელი ფორვარდი ამ თვის დასაწყისში წავიდა „ატალანტადან“, მას შემდეგ რაც ვარჯიშზე ფანებმა უსტვინეს.

„90 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ვიერი ბრაზილიის ტოპ-კლუბში გადავა — ბრძანა ასუნსაომ — მას კვლავ სურს თამაში და მოხარულია, რომ ამის შანსი ექნება“.

„სკაი სპორტს“-ის ცნობით, ვიერი სავარაუდოდ, „კორინთიანსში“ აღმოჩნდება ყოფილ ინტერელ თანაგუნდელ რონალდოს გვერდით.

მისი ხელფასი კი წელიწადში დაახლოებით მილიონი დოლარი იქნება.

## მაკელელეს ივნისი




**36 წლის** კლოდ მაკელელე ივნისში გადაწყვეტს, გააგრძელებს თუ არა ფეხბურთის თამაშს.

„მე შარშან პსჟ-ში იმ პირობით მოვედი, რომ რამდენიმე წელი კიდევ უნდა მეთამაშა, რადგან კლუბს გრძელვადიანი გეგმები ჰქონდა.

მას შემდეგ ვითარება შეიცვალა და ახლა არ ვიცი, რა იქნება. სეზონის ბოლოს უკეთ გამოჩნდება ყველაფერი და ივნისში ვიფიქრებ, დავასრულო თუ არა კარიერა“.

პსჟ-მ სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ მერე კლუბს ფინანსური საქმეები აეწეწა, პრეზიდენტი შარლ ვილენუევე ამ წლის დასაწყისში გადაგდა და მწვრთნელის, პოლ ლე გუენის მომავალიც გაურკვეველია.

## იუვემ გაზეთი დახია

**„იუვენტუსმა“** უარყო ცნობა იმის თაობაზე, თითქოს ლუჩანო სპალეტით კლაუდიო რანიერის შეცვლას აპირებს.

გაზეთმა „ლა რეპუბლიკამ“ დაწერა, რომ ტურინული კლუბი უკვე დაუკავშირდა „რომას“ თავკაცს და რანიერის ადგილი შესთავაზა.

„იუვენტუსმა“ პასუხი არ დააყოვნა და ვებგვერდზე განცხადება გამოაქვეყნა: „არანაირი კონტაქტი სპალეტისთან არ გვქონია და კლაუდიო რანიერის შეცვლას არ ვაპირებთ.

„ლა რეპუბლიკას“ ინფორმაცია სრულიად უსაფუძვლოა. რანიერი კვლავაც დარჩება მწვრთნელად და ეს „ლაციოსთან“ მარცხის შემდეგაც განვაცხადეთ“.

## კინი დაბრუნდა



**ინგლისის** ჩემპიონლიგის კლუბ „იფსვიჩის“ მწვრთნელად როი კინი დანიშნეს და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

„სანდერლენდის“ ყოფილმა თავკაცმა ჯიმ მაგილტონი შეცვალა, რომელმაც გუნდი პლეიოფში ვერ გაიყვანა და ამიტომ გაუშვეს.

როი კინმა „სანდერლენდს“ 2007-ში პრემიერლიგის საგზური მოაპოვებინა, მერე პრემიერლიგაში ათამაშა, მაგრამ შარშან 18 ნოემბერს გუნდიდან წავიდა და მას შემდეგ უმუშევარი იყო.

# ძოლა ისევ იჩაქუჩებს



სტივ კლარკი და ჯანფრანკო ძოლა

**„ვესტ ჰემის"** მწვრთნელი ჯანფრანკო ძოლა ამ კვირაში კონტრაქტს ოთხი წლით გაახანგრძლივებს და წელიწადში მილიონ 600 ათას გირვანქას მიითვლის.

მისი თანაშემწე სტივ კლარკიც ასევე კიდევ ოთხი წლით დარჩება „ჩაქუჩებში" და პრემიერლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ასისტენტი გახდება ერთი მილიონი გირვანქა ჯამაგირით.

კლარკმა 20 წელი გაატარა „ჩელსიში" როგორც ფეხბურთელმა და მერე როგორც თანაშემწემ.

მან იმუშავა რანიერისთან, მოურინიოსთან, გრანტთან და სკოლარისთანაც, მაგრამ „ვესტ ჰემში" შარშან შემოდგომაზე მისულ ჯანფრანკო ძოლასთან მუშაობა არჩია, რომელსაც „ჩელსიდან" კარგად იცნობს.

„ვესტ ჰემის" შეფები ძოლა-კლარკის შრომით კმაყოფილნი არიან, რადგან გუნდს უეფას თასის საგზურის მოპოვების კარგი შანსი აქვს.

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XXXII ტური

სპარტა — გრააფსხაპი 0:0; როდა — ვოლენდამი 1:1; ჰერენვენი — ტვენტე 1:1; ნაიმეგენი — ბრედა 2:3; ჰერაკლესი — პსვ 0:2; დენ ჰააგი — ფეიენოორდი 2:3; აიაქსი — ალკმაარი 1:1; გრონინგენი — ტილბურგი 0:0; ვიტესი — უტრეხტი 6:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 32 | 23 | 6 | 3 | 57:18 | 75 |
| ტვენტე | 32 | 19 | 9 | 4 | 59:30 | 66 |
| აიაქსი | 32 | 20 | 5 | 7 | 73:37 | 65 |
| პსვ | 32 | 18 | 7 | 7 | 67:32 | 61 |
| ჰერენვენი | 32 | 17 | 8 | 7 | 63:52 | 59 |
| გრონინგენი | 32 | 15 | 5 | 12 | 51:36 | 50 |
| ბრედა | 32 | 13 | 6 | 13 | 44:52 | 45 |
| ფეიენოორდი | 32 | 12 | 8 | 12 | 50:41 | 44 |
| უტრეხტი | 32 | 11 | 9 | 12 | 38:41 | 42 |
| ნაიმეგენი | 32 | 9 | 13 | 10 | 39:38 | 40 |
| ვიტესი | 32 | 10 | 10 | 12 | 39:45 | 40 |
| ტილბურგი | 32 | 9 | 7 | 16 | 34:55 | 34 |
| სპარტა | 32 | 8 | 8 | 16 | 41:59 | 32 |
| ჰერაკლესი | 32 | 7 | 10 | 15 | 34:51 | 31 |
| დენ ჰააგი | 32 | 7 | 7 | 18 | 36:55 | 28 |
| ვოლენდამი | 32 | 7 | 7 | 18 | 36:64 | 28 |
| როდა | 32 | 6 | 9 | 17 | 35:55 | 27 |
| გრააფსხაპი | 32 | 6 | 8 | 18 | 21:56 | 26 |

### ერსტე დივიზიონი

აპელდორნი — როზენდალი 2:0; დორდრეხტი — კამბური 1:0; ეინდჰოვენი — ზვოლე 2:0; ემენი — დენ ბოსხი 0:1; იგლზი — ვენდამი 2:1; ომნივორლდი — ექსელსიორი 1:1; სიტარდი — ვალვაიკი 2:1; ტელსტარი — მაასტრიხტი 1:2; ოსი — ჰელმონდი 1:2; ვენლო — ჰაარლემი 1:0

## სლოვაკეთი

### პრვა ლიგა XXVI ტური

არტმედია — ტრნავა 0:0; ტატრანი — ბანსკა ბისტრიცა 2:1; დუბნიცა — რუჟომბეროკი 1:1; სტრედა — კოშიცე 2:1; ზლატე მორავცე — სლოვანი 0:3; ჟილინა — ნიტრა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვანი | 26 | 18 | 5 | 3 | 56:16 | 59 |
| ჟილინა | 26 | 16 | 5 | 5 | 46:17 | 53 |
| ტრნავა | 25 | 15 | 7 | 3 | 42:23 | 52 |
| კოშიცე | 26 | 9 | 9 | 8 | 34:33 | 36 |
| სტრედა | 26 | 9 | 8 | 9 | 30:44 | 35 |
| არტმედია | 25 | 8 | 9 | 8 | 37:30 | 33 |
| რუჟომბეროკი | 25 | 7 | 9 | 9 | 31:31 | 30 |
| ტატრანი | 26 | 7 | 8 | 11 | 30:42 | 29 |
| ნიტრა | 26 | 7 | 5 | 14 | 23:43 | 26 |
| დუბნიცა | 25 | 6 | 6 | 13 | 29:36 | 24 |
| ბანსკა ბისტრიცა | 26 | 6 | 6 | 14 | 18:27 | 24 |
| ზლატე მორავცე | 26 | 3 | 9 | 14 | 15:49 | 18 |

## აშშ

### მეიჯორ ლიგა

კოლამბუსი — ჩიკაგო 2:2; სოლტ ლეიკი — ნიუ ინგლანდი 6:0; კოლორადო — ლოს ანჯელესი 1:1; ჩივასი — დალასი 2:0; სიეტლი — სან ხოსე 2:0

## სომხეთი

### პრემიერლიგა

შირაქი — კილიკია 3:1; ბანანცი — არარატი 1:0; განძასარი — პიუნიკი 0:4; მიკა — ულისე 0:0

## უელსი

### პრემიერდივიზიონი

კარნარფონი — კარმართენი 1:3; ჰევერფორდვესტი — ნითი 2:0; ლანელი — კონაჰსი 4:1; დრუიდსი — რილი 2:4; ნიუთაუნი — ბანგორი 1:3; პორთმადოგი — აბერისთვითი 4:1; პორტ ტალბოტი — ველშპული 4:0; პრესტატინი — ქეარვსი 3:2; ტნს — ეარბასი 1:0

## ირლანდია

### პრემიერლიგა

ბოჰემიანსი — ბრეი 2:0; კორკი — გალვეი 1:0; დერი — დანდალკი 0:1; დროჰედა — სლიგო 0:0; შემროკი — სტ. პატრიკსი 2:0

## ფინეთი

### I ლიგა. II ტური

პიკ — ტურკუ 2:2; ინტერი — მიუპა 2:1; ლაჰტი — კუოპიო 1:0; მარიეჰამნი — ჰონკა 2:2; ტამპერე — იარო 0:2; ვაასა — ჰაკა 0:1. ივასკიალა — როვანიემი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| პიკ | 2 | 1 | 1 | 0 | 7:3 | 4 |
| მარიეჰამნი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ლაჰტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| იარო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ჰონკა | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ტურკუ | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ივასკიალა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| როვანიემი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| მიუპა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ვაასა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ტამპერე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| კუოპიო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა

უიპეშტი — ჰონვედი 3:0; დებრეცენი — კეჩკემეტი 3:1; ფეჰერვარი — ბორშოდი 2:1; დიოში — პაკსი 4:1; ზალაეგერსეგი — ვაშაში 3:1

## იაპონია

### ჯეი ლიგა

ომია — ნიიგატა 0:1; შიმიცუ — კაშივა 1:1; იამაგატა — კაშიმა 1:1; ჩიბა — ურავა 0:1; კიოტო — ივატა 2:3; ოიტა — ტოკიო 0:1; ჰიროშიმა — კავასაკი 1:1; კობე — ოსაკა 3:1; ნაგოია — იოკოჰამა 2:1

## მოლდოვა

### დივიზია ნაციონალი

დინამო — დაჩია 2:1; ტირასპოლი — რაპიდი 2:1; ნისტრუ — შერიფი 0:3; ოლიმპია — ზიმბრუ 1:0; ტილიგული — აკადემია 1:0

## ჩრდ. ირლანდია

### პრემიერლიგა

ბანგორი — დანგანონი 1:3; კლიფტონვილი — კრუზეიდერსი 0:0; კოლერეინი — გლენტორანი 1:2; გლენავონი — ბალიმენა 2:1; ინსტიტუტი — ნიუ-რი 1:3; ლინფილდი — ლისბურნი 2:0

## შვედეთი

### ალსვენსკა. V ტური

ჰეკენი — ტრელებორგი 1:0; ელფსბორგი — მალმიო 1:0; გეფლე — გაის 0:0; იორგრიტე — აიკ 0:1; ჰელსინგბორგი — ჰალმსტადი 1:3; იორებრო — კალმარი 2:1; ჰამარბი — გიოტებორგი 0:1; იურგორდენი — ბრომაპოიკარნა 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| ელფსბორგი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:3 | 11 |
| ბრომაპოიკარნა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| მალმიო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 10 |
| გიოტებორგი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:5 | 9 |
| იორებრო | 5 | 3 | 0 | 2 | 5:3 | 9 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| გაის | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 |
| ჰალმსტადი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| ტრელებორგი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:3 | 6 |
| გეფლე | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| ჰეკენი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 6 |
| ჰამარბი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | 4 |
| იურგორდენი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:11 | 4 |
| კალმარი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 |
| იორგრიტე | 5 | 0 | 0 | 5 | 1:13 | 0 |

### სუპერეტა

ანგელჰოლმსი — ნორჩიოპინგი 2:1; სირიანსკა — მიალბი 1:2; სუნდსვალი — ასირისკა 2:0; ატვიდაბერგსი — ლიუნგსკილე 2:0; ქვიდინგი — ფალკენბერგსი 2:3; სირიუსი — იონჩოპინგსი 0:0; ტროლჰატენი — ვასბი 1:0; ვაასლუნდი — ლანდსკრონა 1:3

*ტოტალიზატორი*

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული

. კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

(რუბრიკის სპონსორია ჰოტელ კალიფორნია)

— „ბაიერნი" შენც გეწერა?

— იასნია მეწერა და ეგ კლინსმანი მგონი, ჩემი წერა გახდება.

პროსტაამც, მე მაგის კალიფორნიული ფუტბოლისა ვერაფერი გავიგე, ტო!

— რა ბილეთი დამაჭმუჭნინა კლინსმანმა, იცი? „ვერდერის" და „მანჩესტერის" ტაიმბოლით მოგება ცვეტში დავსვი და „ბაიერნის" აძინ-იქსი არ მივაწერე?

არადა, დილიდან „შალკეს" ორიანს ვფიქრობდი, მერე რიბერი გამახსენდა და ერთიანში გამოიკვეთა, მერე კურანიც გამახსენდა და მეთქი, აძინიქსიდან არ გამისხლტება...

— მეც მაგარ აძინ-იქსში ვხედავდი მაგ თამაშს, მარა ხო იცი, ეგეთები იმენა სერიოზულად იგრუზება. „ბაიერნს" რო მოეგო, „ვოლფსბურგს" ნაცემს უკეთებდა და მაგ პონტში უკვე ტოტალიზატორი ერევა.

— ცვეტში ეგრეა. კაროჩეე, მაგ საქმეში მე ჰიონესის სიფათს ვხედავ. ლიგიდან რო გამოვარდნენ, მაყუთი დაკარგეს, ეხლა ჩემპიონობის შანსიც გაემაზათ და ფულის კეთებაზე გადავიდნენ.

ყან რა ტექნიკურად ასრულებენ ეგ არტისტები, ეგენი.

იმენა, რიბერის ჰქონდა დავალებული, რო გაძევება ეჩალიჩა და კიდეც გააძევებინა თავი.

— უეჭველში ეგრე იყო. პროსტაამც, მე იმენა რა მოვწვი, იცი?

— რა?

— რიბერი რო გააძევეს, ჰიონესს როჟაზე შეეტყო, რო გაუხარდა. აზრზე ხარ, რა ნაგლია? იავნად ყიდის თამაშს და კიდე ჩვენ დაგვცინის...

— ერთი „ლიონი" იყო პატიოსანი გუნდი და ეგაც ჩაითრიეს ყომარ-მაფიოზებმა.

— აბაა, ტო! „ლიონზე" რო დადგებოდი, მეშოკ ფულს მოგაგებინებდა, ეხლა კიდე როგორ ჯამბაზობს. მაგას ვინა ჭამს, რო პარასკევს პესეჟეს ჰალალად ვერ მოუგო. ნიჩია დაუზაკაზეს ტოტალიზატორიდან და დასვა კიდეც.

— არადა, მე ვისაც ვიცნობ, ყველას „ლიონის" ლაბავოი ერთიანები ეწერა, იმიტო რო „მარსელს" ეწეოდა.

— ლაბავოიზე გამახსენდა, სამშაბათს „ჩელსის" ორიანს არ ფიქრობ „ბარსასთან"?

— უბერავ?

— რატო?

— „ბარსა" გუნდია, ტო! ეგენი მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგო ბულზსაც" რო შეახვედრო კალათბურთში, მოუგებენ, ტო! „ბარსას" პროწივ როგორ დავდგე, სუ გამოაძინქსდი?

— რატო, ძმაო. ერთი ბარაქიანი თამაში არ უნდა ჩატეხოს გვარდიოლამ? ანრის, ეტოოს და მესის ვალები რო აქ გასასტუმრებელი ლაპორტას, არ იცი?

— მე ის ვიცი, რო ჰიდინკს ბურთს თავზე გადაახევენ და შენ თუ გინდა ორიანი ლეწე.

**ქუჯი ქოჯმარია**

ჩემი მოგებული ბილეთი:

| | წყვილი | შედეგი | |
|---|---|---|---|
| 001 | ლიონი-პსჟ | ჩაწყობილია | დაჯდა |

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ თუ რატომ შეცვალა სამხრეთაფრიკულმა „ტანდა როიალა ზულუმ" შემტევი 1-1-1—7 ტაქტიკა სუპერშემტევი 0—11-ით

114140 *

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ინგლისი

## პრემიერლიგა. XXXIV ტური

# ეს თუ კარგია, ცუდი რომელია?

### გადადებული მატჩები

**ლივერპული 4:4 არსენალი**

0:1 არშავინი (36), 1:1 ტორესი (49), 2:1 ბენაიუნი (56), 2:2, 2:3 არშავინი (67, 70), 3:3 ტორესი (72), 3:4 არშავინი (90) 4:4 ბენაიუნი (90)
გაფრთხილება: სანია (არსენალი)
მსაჯი: ჰოვარდ ვები

**მანჩესტერი 2:0 პორტსმუთი**

1:0 რუნი (9), 2:0 კარიკი (82)
გაფრთხილება: ვიდიჩი (მანჩესტერი)
მსაჯი: პიტერ უოლტონი

**ჩელსი 0:0 ევერტონი**

გაფრთხილება: ფილ ნევილი (ევერტონი)
მსაჯი: მაიკ ჰალსი

### XXXIV ტური

**ბოლტონი 1:1 ასტონ ვილა**

0:1 იანგი (43), 1:1 კოენი (60)
გაფრთხილება: გარეტ ბერი (ასტონ ვილა)
მსაჯი: ლი პრობერტი

5 კარში დარტყმა 3
4 კარისკენ დარტყმა 13
15 ჯარიმა 10
5 კუთხური 5
0 თამაშგარე 4
47 ბურთის ფლობა 53
0 გაფრთხილება 1

**ევერტონი 1:2 სიტი**

0:1 რობინიო (35), 0:2 აირლანდი (54), 1:2 გოსლინგი (90)
გაფრთხილება: ნევილი (ევერტონი), ენუოჰა, ელანო, ფერნანდესი (სიტი)
მსაჯი: ალან ვაილი

4 კარში დარტყმა 8
12 კარისკენ დარტყმა 11
12 ჯარიმა 15
5 კუთხური 3
2 თამაშგარე 3
56 ბურთის ფლობა 44
1 გაფრთხილება 3

**ფულემი 1:0 სტოკი**

1:0 ნიულანდი (29)
გაფრთხილება: ნიულანდი (ფულემი), ლოურენსი, შოუკროსი (სტოკი)
მსაჯი: ლი მეისონი

2 კარში დარტყმა 0
10 კარისკენ დარტყმა 12
9 ჯარიმა 14
5 კუთხური 7
1 თამაშგარე 1
67 ბურთის ფლობა 33
1 გაფრთხილება 2

**ჰალი 1:3 ლივერპული**

0:1 ალონსო (45), 0:2 კუიტი (63), 1:2 ჯოვანი (73), 1:3 კუიტი (89)
გაფრთხილება: მარნი, ბარმბი, ფაგანი (ჰალი), არბელოა (ლივერპული)
გაძევება: ფაგანი (61)
მსაჯი: მარტინ ატკინსონი

**ვესტ ბრომვიჩი 3:0 სანდერლენდი**

1:0 ოლსონი (40), 2:0 ბრანტი (58), 3:0 მენსეგესი (88)
გაფრთხილება: ბერდსლი (სანდერლენდი)
მსაჯი: მაიკ ჰალსი

**ვესტ ჰემი 0:1 ჩელსი**

0:1 კალუ (55)
*70-ე წუთზე მარსიო ნობლემ (ვესტ ჰემი) ვერ გაიტანა პენალტი, მეკარე*
გაფრთხილება: სტეინისლასი (ვესტ ჰემი)
მსაჯი: მაიკ დინი

**მანჩესტერი 5:2 ტოტენჰემი**

0:1 ბენტი (29), 0:2 მოდრიჩი (32), 1:2 რონალდუ (57 პენ), 2:2 რუნი (67), 3:2 რონალდუ (68), 4:2 რუნი (71), 5:2 ბერბატოვი (79)
გაფრთხილება: ტევესი, სქოულზი, რონალდუ (მანჩესტერი), ვუდგეიტი, ჯენასი, გომესი (ტოტენჰემი)
მსაჯი: ჰოვარდ ვები

13 კარში დარტყმა 4
11 კარისკენ დარტყმა 3
19 ჯარიმა 13
6 კუთხური 2
4 თამაშგარე 2
59 ბურთის ფლობა 41
3 გაფრთხილება 3

**ბლექბერნი 2:0 უიგანი**

1:0 მაკარტი (45), 2:0 ნელსენი (60)
მსაჯი: პიტერ უოლტონი

3 კარში დარტყმა 0
4 კარისკენ დარტყმა 7
4 ჯარიმა 5
3 კუთხური 3
4 თამაშგარე 1
55 ბურთის ფლობა 45
0 გაფრთხილება 0

**არსენალი 2:0 მიდლსბრო**

1:0, 2:0 ფაბრეგასი (26, 67)
მსაჯი: კრის ფოი

7 კარში დარტყმა 3
11 კარისკენ დარტყმა 2
8 ჯარიმა 15
8 კუთხური 1
1 თამაშგარე 4
64 ბურთის ფლობა 36
0 გაფრთხილება 0

**5 გოლი** 22 წუთში და საჩემპიონო ფეხბურთით „მანჩესტერმა" ტიტულისკენ მორიგი ნაბიჯი გადაგა.

მდევარ „ლივერპულზე" ერთი მატჩით მეტი აქვს სათამაშო და სამი ქულით უსწრებს.

„ტოტენჰემთან" პირველი ტაიმის სამწუთიან მონაკვეთში გაშვებულმა ორმა გოლმა „მანჩესტერი" აანერვიულა, მაგრამ შესვენებაზე ფერგიუსონმა გუნდი ისე დაქოქა, რომ მეორე ტაიმში 22 წუთი იკმარეს 5 გოლის გასატანად.

რონალდუმ პირველი პენალტით გაქვითა, რომელიც სტუმართა მწვრთნელის აზრით, ჰოვარდ ვებს არ უნდა დაენიშნა.

„ტოტენჰემის" მეკარე გომესმა ბურთი ფეხიდან ააცალა კარიკს და მანჩესტერელი მეკარის ხელზე წაიქცა.

„საშინელებაა! — გაბრაზდა ჰარი რედნაპი — გომესმა ბურთი მოიგერია და კარიკი არ წაუქცევია. ვები პრემიერლიგის საუკეთესო მსაჯად ითვლება და თუ ის საუკეთესოა, მაშ უარესი რომელიღაა?"

რონალდუს გოლით გალაღებული „მანჩესტერი" მიაწყდა მეტოქის კარს და მანამ არ მოისვენა, სანამ კიდევ ოთხი არ შეაგდო.

„ჰალი", რომელიც შემოდგომაზე ზედა ოთხეულში იყო, ისევ იქით მიექანება, საიდანაც შარშან ამოძვრა.

გუნდს წლეულს ერთზე მეტი არ მოუგია და შაბათს შინ „ლივერპულთან" დამარცხდა, რომელმაც ბოლო ექვსი მატჩიდან მხოლოდ ერთში გაიტანა სამ გოლზე ნაკლები.

ლონდონურ დერბიში ჩელსელმა კალუმ გაუტანა „ვესტ ჰემს", მერე კი მანვე პენალტი აიკიდა, მაგრამ სტუმრები პეტრ ჩეხმა იხსნა — ნობლეს თერთმეტი მეტრიდან დარტყმული აუღო.

„სიტის" 31 აგვისტოს აქეთ არ მოეგო სტუმრად და ლივერპულში დაამარცხა „ევერტონი", რომელსაც შინ 7 დეკემბრის მერე არ წაეგო.

სიტელმა რობინიომ პირველი თვითონ გაიტანა, მეორე კი აირლანდს გაატანინა.

უკვე ცხრა ტურია, გამარჯვების გემო არ იცის „ასტონ ვილამ". გუნდი, ისევე როგორც წინა ტურში „ვესტ ჰემთან", ამჯერადაც დაწინაურდა „ბოლტონთან", მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

17 იანვრის მერე პირველი მოგებით გაიხარა „ვესტ ბრომვიჩმა", რომელმიც „სანდერლენდს" სამი გოლით გაუმასპინძლდა.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 33 | 24 | 5 | 4 | 61:23 | 77 |
| ლივერპული | 34 | 21 | 11 | 2 | 66:26 | 74 |
| ჩელსი | 34 | 21 | 8 | 5 | 56:20 | 71 |
| არსენალი | 34 | 18 | 11 | 5 | 60:32 | 65 |
| ასტონ ვილა | 34 | 15 | 10 | 9 | 50:44 | 55 |
| ევერტონი | 34 | 14 | 11 | 9 | 48:36 | 53 |
| ფულემი | 34 | 12 | 11 | 11 | 34:28 | 47 |
| ვესტ ჰემი | 34 | 12 | 9 | 13 | 38:38 | 45 |
| სიტი | 34 | 13 | 5 | 16 | 53:45 | 44 |
| ტოტენჰემი | 34 | 12 | 8 | 14 | 41:41 | 44 |
| უიგანი | 33 | 11 | 8 | 14 | 31:38 | 41 |
| სტოკი | 34 | 10 | 9 | 15 | 33:49 | 39 |
| ბოლტონი | 34 | 11 | 5 | 18 | 40:51 | 38 |
| პორტსმუთი | 33 | 9 | 10 | 14 | 35:50 | 37 |
| ბლექბერნი | 34 | 9 | 10 | 15 | 37:55 | 37 |
| სანდერლენდი | 34 | 9 | 8 | 17 | 31:46 | 35 |
| ჰალი | 34 | 8 | 10 | 16 | 37:59 | 34 |
| მიდლსბრო | 34 | 7 | 10 | 17 | 25:49 | 31 |
| ნიუკასლი | 33 | 6 | 12 | 15 | 37:53 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 34 | 7 | 7 | 20 | 33:63 | 28 |

### ჩემპიონატი. XXXXII ტური

ბლექპული — ნოტინგემი 1:1; ბარნსლი — ვულვზი 1:1; ბრისტოლი — უენსდი 1:1; კარდიფი — იფსვიჩი 0:3; ქოვენთრი — უოტფორდი 2:3; დერბი — ჩარლტონი 1:0; დონკასტერი — კრისტალ პალასი 2:0; ქუინზ პარკი — პლიმუთი 0:0; შეფილდი — სუონსი 1:0; საუთჰემპტონი — ბარნლი 2:2; ბირმინგემი — პრესტონი 1:2; ნორვიჩი — რედინგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 45 | 26 | 9 | 10 | 79:52 | 87 |
| ბირმინგემი | 45 | 22 | 14 | 9 | 52:36 | 80 |
| შეფილდი | 45 | 22 | 13 | 10 | 64:39 | 79 |
| რედინგი | 44 | 20 | 14 | 10 | 69:38 | 74 |
| კარდიფი | 45 | 19 | 17 | 9 | 65:52 | 74 |
| ბარნლი | 45 | 20 | 13 | 12 | 68:60 | 73 |
| პრესტონი | 45 | 20 | 11 | 14 | 64:53 | 71 |
| სუონსი | 45 | 16 | 20 | 9 | 63:49 | 68 |
| იფსვიჩი | 45 | 16 | 15 | 14 | 60:52 | 63 |
| ბრისტოლი | 45 | 15 | 16 | 14 | 54:50 | 61 |
| ქუინზ პარკი | 45 | 15 | 16 | 14 | 41:42 | 61 |
| უენსდი | 45 | 15 | 13 | 17 | 50:58 | 58 |
| დონკასტერი | 45 | 17 | 7 | 21 | 42:52 | 58 |
| კრ. პალასი | 45 | 15 | 11 | 19 | 52:55 | 56 |
| უოტფორდი | 45 | 15 | 10 | 20 | 65:71 | 55 |
| დერბი | 45 | 14 | 12 | 19 | 54:64 | 54 |
| ქოვენთრი | 45 | 13 | 15 | 17 | 46:56 | 54 |
| ბლექპული | 45 | 12 | 17 | 16 | 46:58 | 53 |
| პლიმუთი | 45 | 13 | 12 | 20 | 43:55 | 51 |
| ნოტინგემი | 45 | 12 | 14 | 19 | 47:64 | 50 |
| ბარნსლი | 45 | 12 | 13 | 20 | 43:57 | 49 |
| ნორვიჩი | 44 | 12 | 10 | 22 | 55:64 | 46 |
| საუთჰემპტონი | 45 | 10 | 15 | 20 | 45:66 | 45 |
| ჩარლტონი | 45 | 7 | 15 | 23 | 48:72 | 36 |

### I ლიგა

ლესტერი — სკანთორპი 2:2; სტოკპორტი — ქრიუ 4:3; სუინდონი — ბრისტოლი 2:1; ჩელტენემი — კარლაილი 1:1; კოლჩესტერი — პიტერბრო 0:1; ჰარტლპული — ლიდსი 0:1; ჰადერსფილდი — ბრაიტონი 2:2; მილუოლი — ლეიტონი 2:1; მილტონი — უოლსოლი 0:1; ნორთჰემპტონი — ჰერეფორდი 2:1; ოლდემი — საუთენდი 1:1; ტრანმერი — იოვილი 1:1

### II ლიგა

აკრინგტონი — ჩესტერფილდი 1:0; ალდერშოტი — ჩესტერი 2:2; ბორნმუთი — გრიმსბი 2:1; ბრედფორდი — როტერჰემი 3:0; დარლინგტონი — ბრენტფორდი 1:3; ექსეტერი — მორეკომბი 2:2; ჯილინგემი — ნიური 0:0; ლუთონი — როჩდეილი 1:1; მაკლსფილდი — ბარნეტი 2:1; ნოთსი — დაგენემი 0:3; პორტ ვეილი — უიკომბი 1:1; შრიუსბერი — ლინკოლნი 0:0

### კონფერენსლიგა

ნორთვიჩი — ებსფლითი 2:0; ვეიმუთი — იორკი 1:2; კემბრიჯი — ალტრინჩემი 0:0; ქრიული — ჰისტონი 3:3; ისტბორნი — ბაროუ 0:2; ებსფლითი — სალისბერი 2:2; გრეისი — ფორესტ გრინი 2:1; კიდერმინსტერი — კეტერინგი 0:1; ლიუისი — იორკი 1:1; მანსფილდი — სტივენეიჯი 2:1; ოქსფორდი — ნორთჰვიჩი 1:2; რაშდენი — უოკინგი 3:1; ტორკი — ბარტონი 2:1; ვრექსამი — ვეიმუთი 2:0



უეინ რუნიმ და მისმა თანაგუნდელებმა „ტოტენჰემი" შემუსრეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთი

### პრემიერლიგა. VI ტური

რუბინი — სპარტაკი 0:2; დინამო — კრილია 0:1; ზენიტი — ხიმკი 4:2; ტერეკი — სატურნი 1:1; მოსკვა — ტომი 2:1; ცსკა — როსტოვი 1:2; ნალჩიკი — ამკარი 4:1; კუბანი — ლოკომოტივი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია | 6 | 4 | 1 | 1 | 7:2 | 13 |
| ზენიტი | 6 | 3 | 3 | 0 | 11:5 | 12 |
| რუბინი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:3 | 11 |
| მოსკვა | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 11 |
| ცსკა | 6 | 3 | 1 | 2 | 11:4 | 10 |
| სპარტაკი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| როსტოვი | 6 | 2 | 3 | 1 | 4:3 | 9 |
| დინამო | 6 | 3 | 0 | 3 | 5:7 | 9 |
| ტერეკი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | 8 |
| კუბანი | 6 | 2 | 1 | 3 | 3:6 | 7 |
| ტომი | 6 | 2 | 1 | 3 | 3:6 | 7 |
| ლოკომოტივი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:9 | 6 |
| ამკარი | 6 | 1 | 3 | 2 | 2:5 | 6 |
| ნალჩიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:6 | 5 |
| სატურნი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| ხიმკი | 6 | 0 | 1 | 5 | 5:15 | 1 |

### II დივიზიონი

ალანია — ჩიტა 3:0; ბალტიკა — ვოლგა 0:0; ჩერნომორეცი — კუბანი 1:2; სალიუტ-ენერგია — სიბირი 0:0; შინიკი — კამაზ ჩელნი 2:0; მეტალურგი — ურალი 2:1; ნიჟნი ნოვგოროდი — მვდ 1:1; ვიტიაზი — ანჟი 1:1; ნოსტა — ვოლგარ-გაზპრომი 3:1; ლუჩ ენერგია — ენერგია 2:2

## სლოვენია

### I ლიგა. XXX ტური

კოპერი — ლიუბლიანა 3:0; დომჟალე — ცელიე 0:3; რუდარი — ნოვა გორიცა 1:0; დრავა — მარიბორი 2:1; პრიმორიე — ნაფტა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 29 | 15 | 11 | 3 | 57:33 | 56 |
| ცელიე | 30 | 14 | 8 | 8 | 44:30 | 50 |
| რუდარი | 30 | 14 | 4 | 12 | 39:34 | 46 |
| ნოვა გორიცა | 30 | 13 | 5 | 12 | 47:46 | 44 |
| დომჟალე | 29 | 9 | 12 | 8 | 34:32 | 39 |
| ნაფტა | 30 | 10 | 9 | 11 | 31:41 | 39 |
| ლიუბლიანა | 29 | 10 | 7 | 12 | 41:42 | 37 |
| კოპერი | 30 | 7 | 11 | 12 | 32:43 | 32 |
| პრიმორიე | 30 | 6 | 12 | 12 | 29:44 | 30 |
| დრავა | 29 | 8 | 5 | 16 | 34:43 | 29 |

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XXV ტური

ლვოვი — კრივბასი 1:0; ილიჩევეცი — მეტალურგი დ 0:1; შახტარი — ჩერნომორეცი 1:0; დნიპრო — არსენალი 2:1; ვორსკლა — კარპატი 2:1; მეტალისტი — მეტალურგი ზ 1:1; ტავრია — ზარია 2:1; დინამო — ხარკოვი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 25 | 21 | 1 | 3 | 61:16 | 64 |
| შახტარი | 25 | 15 | 7 | 3 | 38:15 | 52 |
| მეტალისტი | 25 | 13 | 8 | 4 | 36:22 | 47 |
| მეტალურგი დ | 25 | 13 | 4 | 8 | 31:22 | 43 |
| ვორსკლა | 25 | 11 | 7 | 7 | 26:22 | 40 |
| დნიპრო | 25 | 10 | 8 | 7 | 24:20 | 38 |
| მეტალურგი ზ | 25 | 10 | 8 | 7 | 25:25 | 38 |
| კრივბასი | 25 | 8 | 8 | 9 | 21:29 | 32 |
| კარპატი | 25 | 7 | 9 | 9 | 30:29 | 30 |
| ტავრია | 25 | 8 | 6 | 11 | 33:36 | 30 |
| ჩერნომორეცი | 25 | 9 | 2 | 14 | 26:33 | 29 |
| ზარია | 25 | 7 | 7 | 11 | 26:37 | 28 |
| არსენალი | 25 | 6 | 8 | 11 | 20:28 | 26 |
| ლვოვი | 25 | 4 | 7 | 14 | 15:31 | 19 |
| ილიჩევეცი | 25 | 4 | 5 | 16 | 22:47 | 17 |
| ხარკოვი | 25 | 2 | 9 | 14 | 14:36 | 15 |

## ლიტვა

### A ლიგა

ბანგა — ტელედემა 1:0; შიაულიაი — ვეტრა 2:1; ტაურასი — ეკრანასი 0:1; სუდუვა — კრუოია 6:0

# გერმანია

### ბუნდესლიგა. XXIX ტური

# კლინსმანი დაყრუვდა

**ბაიერნი 0:1 შალკე**

0:1 ალთინთოფი (21)

ბაიერნი: ლელი (ბოროვსკი 74), ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ოტლი (პოდოლსკი 46), ვან ბომელი, სოსა (შამით ალთინთოფი 69), ზე რობერტო, რიბერი, ტონი

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

შალკე: ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, კრსტაიჩი, პანდერი (ენგელაარი 71), ჯონსი, კობიაშვილი, ფარფანი, ჰალილ ალთინთოფი (შიოვედესი 65), სანჩესი (ასამოა 89), კურანი

მწვრთნელი: მიხაელ ბუსკენსი

გაფრთხილება: კრსტაიჩი, ჯონსი, რაფინია, რიბერი, ვან ბომელი, ბოროვსკი

გაძევება: ჯონსი (70), რიბერი (76)

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი

**გლადბახი 1:1 არმინია**

1:0 მატმური (12), 1:1 ტეშე (32)

გაფრთხილება: სტალტერი, ბაუმიოჰანი (გლადბახი), კაუფი, ლამეი, მარქსი, ჰალფარი (არმინია)

მსაჯი: მანუელ გრაფე

4 კარში დარტყმა 2
7 კარისკენ დარტყმა 3
22 ჯარიმა 23
3 კუთხური 6
1 თამაშგარე 6
67 ბურთის ფლობა 33
2 გაფრთხილება 4

**კოტბუსი 2:0 ვოლფსბურგი**

1:0 რანგელოვი (72), 2:0 შკელა (86)

გაფრთხილება: ციბიგი (კოტბუსი), გრაფიტე, დეჯაგა (ვოლფსბურგი)

მსაჯი: ჰელმუტ ფლეიშერი

5 კარში დარტყმა 7
5 კარისკენ დარტყმა 8
15 ჯარიმა 18
4 კუთხური 4
8 თამაშგარე 3
52 ბურთის ფლობა 48
1 გაფრთხილება 1

**ჰოფენჰაიმი 0:1 ჰერტა**

0:1 ებერტი (41)

გაფრთხილება: დრობნი (ჰერტა)

მსაჯი: ვოლფგანგ სტარკი

4 კარში დარტყმა 1
21 კარისკენ დარტყმა 8
16 ჯარიმა 14
15 კუთხური 2
1 თამაშგარე 1
55 ბურთის ფლობა 45
0 გაფრთხილება 1

**დორტმუნდი 2:0 ჰამბურგი**

1:0 კელი (32), 2:0 ფრეი (90)

გაფრთხილება: იაროლიმი, ბოატენგი, ოლიჩი (ჰამბურგი)

მსაჯი: მიხაელ კემპტერი

**შტუტგარტი 2:0 აინტრახტი**

1:0 კაკაუ (33), 2:0 გომესი (48)

გაფრთხილება: ჰიბერტი (შტუტგარტი), ოხსი, რუსი (აინტრახტი)

მსაჯი: გვიდო ვინკმანი

**ლევერკუზენი 0:1 კარლსრუე**

0:1 ლანგკამპი (70)

გაფრთხილება: ვიდალი, ბარნეტა (ლევერკუზენი)

მსაჯი: დენიზ აიტეკინი

6 კარში დარტყმა 2
15 კარისკენ დარტყმა 11
18 ჯარიმა 17
11 კუთხური 3
6 თამაშგარე 4
57 ბურთის ფლობა 43
2 გაფრთხილება 0

**ვერდერი 3:2 ბოხუმი**

0:1, 0:2 შესტაკი (16, 44), 1:2 ალმეიდა (54), 2:2 ნალდო (70), 3:2 დიეგო (79)

გაფრთხილება: ფრინგსი, პროდლი, დიეგო (ვერდერი)

მსაჯი: გაუნტერ პერილი

14 კარში დარტყმა 4
16 კარისკენ დარტყმა 5
14 ჯარიმა 13
10 კუთხური 2
2 თამაშგარე 6
70 ბურთის ფლობა 30
3 გაფრთხილება 0

**ჰანოვერი 2:1 კიოლნი**

1:0, 2:0 ანდრეასენი (19, 32), 2:1 ნოვაკოვიჩი (47)

გაფრთხილება: პინტო (ჰანოვერი), ვომე, პეტიტი, ჯერომელი (კიოლნი)

მსაჯი: ლუც ვაგნერი

**„შალკემ"** ზედიზედ ოთხი მატჩი გოლგაუშვებლად მოიგო და მათგან მეოთხე განსაკუთრებული იყო, რადგან მიუნხენში „ბაიერნი" დაამარცხა.

„ალიანს არენამ" იურგენ კლინსმანს უსტვინა, რადგან გუნდის ჩემპიონობა საეჭვო ხდება.

ეს „ბაიერნის" მესამე საშინაო წაგებაა ამ სეზონში.

იურგენ კლინსმანის გუნდი მანამდე „ვერდერთან" და „კიოლნთან" დამარცხდა.

ჰალილ ალთინთოფმა თავურით გაუტანა ბუტს და ამის მერე მასპინძლებს აურაცხელი მომენტი ჰქონდათ გასათანაბრებლად, მაგრამ ბურთს კარისკენ გზა ვერ გაავნებინეს.

„ბაიერნს" იმანაც ვერ უშველა, რომ „შალკეს" ჯონსი გაუძევეს, რადგან მალე ჯონსს რიბერიც მიჰყვა, რომელმაც მსაჯის თვალწინ მეტოქეს ფეხი ჩაარტყა.

„წაგება ცუდია, მაგრამ ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ" — თქვა მარკ ვან ბომელმა.

„ძალიან მწარე მარცხია, რადგან დიდი იმედით მოვედით ამ მატჩამდე და „ვოლფსბურგთან" ქულებით გათანაბრებას ვგეგმავდით „შალკეს" ძლევით. რაღა თქმა უნდა, გულგატეხილი და გაბრაზებული ვარ — განაცხადა იურგენ კლინსმანმა — მაგრამ დარჩენილ მატჩებში ქულათა მაქსიმუმის აღებას მაინც შევეცდებით".

ზედიზედ სამ ტურში წაგების შემდეგ მიჯრით მეორე შეხვედრა მოიგო „ჰერტამ" და „ბაიერნს" პარასკევს გაუსწრო.

ბერლინელებმა ებერტის გოლით სძლიეს „ჰოფენჰაიმს", რომელიც მეორე წრეში პირველის აჩრდილიღაა.

სეზონის ბოლოს მოყოჩაღდა „შტუტგარტი" და ზედიზედ მეხუთე მატჩში იმარჯვა, რითაც მეოთხე ადგილს უწია და ჩემპიონობის თუ არა, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

ბოლო სამ ტურში მარიო გომესმა ხუთი გოლი გაიტანა და ამჯერად „აინტრახტსაც" არ აწყენინა.

„შტუტგარტს" არ ჩამორჩება „დორტმუნდიც", რომელმაც ასევე მიჯრით მეხუთე თამაში მოიგო. დორტმუნდელებმა „ჰამბურგი" დაამარცხეს კელისა და ფრეის გოლებით.

29 ნოემბრიდან შინ არ მოუგია „ლევერკუზენს" და ვერც „კარლსრუესთან" გატეხა ნავსი. „კარლსრუემ" კი, თავის მხრივ, თითქმის სამთვიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და ლევერკუზენიდან სამი ქულა წაიღო.

სტანისლავ შესტაკმა პირველი ტაიმი მოუგო ბრემენში „ვერდერს", მაგრამ მის წყვილ გოლს ბრემენელებმა მეორე ტაიმში სამით უპასუხეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი | 29 | 17 | 6 | 6 | 62:36 | 57 |
| ჰერტა | 29 | 17 | 4 | 8 | 43:35 | 55 |
| ბაიერნი | 29 | 16 | 6 | 7 | 59:37 | 54 |
| შტუტგარტი | 29 | 16 | 6 | 7 | 52:37 | 54 |
| ჰამბურგი | 29 | 17 | 3 | 9 | 42:40 | 54 |
| შალკე | 29 | 14 | 7 | 8 | 43:27 | 49 |
| დორტმუნდი | 29 | 12 | 13 | 4 | 47:33 | 49 |
| ჰოფენჰაიმი | 29 | 12 | 9 | 8 | 54:41 | 45 |
| ლევერკუზენი | 29 | 12 | 6 | 11 | 50:37 | 42 |
| ვერდერი | 29 | 10 | 9 | 10 | 55:41 | 39 |
| აინტრახტი | 29 | 8 | 8 | 13 | 36:47 | 32 |
| კიოლნი | 29 | 9 | 5 | 15 | 31:45 | 32 |
| ჰანოვერი | 29 | 8 | 8 | 13 | 41:59 | 32 |
| ბოხუმი | 29 | 6 | 10 | 13 | 35:47 | 28 |
| კოტბუსი | 29 | 7 | 5 | 17 | 26:51 | 26 |
| არმინია | 29 | 4 | 13 | 12 | 23:42 | 25 |
| გლადბახი | 29 | 6 | 6 | 17 | 35:54 | 24 |
